ეროვნული
ბიბლიოთეკა



ISSN 0130 1624

# დროშა

ივნისი
№ 6 1983 წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## საინფორმაციო ცნობა

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

**1983** წლის **14** ივნისს მუშაობას შეუდგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

სხდომა გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ი. ვ. ანდროპოვმა.

პლენუმზე მოხსენება — „პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური საკითხები“ — გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. უ. ჩერნენკომ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები ვ. ვ. გრიშინი — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, დ. ა. კუნაევი — ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ვ. შჩერბიცკი — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ე. ა. შევარდნაძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პ. ნ. დემიჩევი — სსრ კავშირის კულტურის მინისტრი, ვ. ს. ჩიჩეროვი — „ლენინგრადის ლითონის ქარხნის“ ტურბინმშენებლობის საწარმოო გაერთიანების ამწყობ-ზეინკალთა ბრიგადირი, მ. ზ. შაკიროვი — სკკპ ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. პ. ფილატოვი — სკკპ ნოვოსიბირსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, გ. მ. მარკოვი — სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, ა. ა. ეპიშევი — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, ა. ე. ვოსი — ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

**1983** წლის **15** ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გრძელდებოდა განხილვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. კ. უ. ჩერნენკოს მოხსენებისა „პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური საკითხები“.

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ი. ვ. ანდროპოვმა.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ ამხანაგები შ. რ. რაშიდოვი — უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, კ. გ. ვაინო — ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პ. ნ. ფედოსეევი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, კ. ს. დემირჩიანი — სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ს. გ. ლაპინი — სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, მ. ა. პროკოფიევი — სსრ კავშირის განათლების მინისტრი, ლ. ა. კულიჯანოვი — სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, ს. ა. შალაევი — საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე, ვ. მ. მიშინი — სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განხილულ საკითხზე ერთხმად მიიღო დადგენილება, რომელიც პრესაში ქვეყნდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ამხ. გ. ვ. რომანოვი აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ამხ. მ. ს. სოლომენცევი დაამტკიცა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამხ. ვ. ი. ვოროტნიკოვი აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობიდან წევრებად გადაიყვანა ამხანაგები: ს. თ. ახრომეევი — სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილე, ბ. ვ. ბალმონტი — ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის მინისტრი, ვ. ი. კოჩემასოვი — სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ვ. მ. ჩერდინცევი — ორენბურგის ოლქის კოლმეურნეობა „რასვეტის“ კომბაინერი, ვ. მ. შაბანოვი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გამოიყვანა ნ. ა. შჩოლოკოვი და ს. თ. მედუნოვი, მუშაობაში დაშვებული შეცდომებისათვის.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ამხანაგი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

# ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნეს ამხანაგი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. კუზნეცოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1983 წლის 16 ივნისი.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მშვიდობისათვის, ხალხის ინტერესებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია

საბჭოთა ადამიანი — ქვეყნის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი, კომუნიზმის აქტიური მშენებელი წყვეტს მასშტაბითა და სირთულით გრანდიოზულ ამოცანებს. პარტიის პოლიტიკას იგი აღიქვამს როგორც საკუთარს, რომელიც ხალხის ძირეულ ინტერესებს შეესაბამება.

ყველა საბჭოთა ადამიანი ერთსულოვნად იწონებს ეს-ეს არის გამართული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელზეც განიხილეს პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური საკითხები, ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში, პლენუმის სხვა დოკუმენტებში ყოველმხრივ, რეალისტურად არის გაანალიზებული არსებული მდგომარეობა, განსაზღვრულია საკვანძო ამოცანები, რომლებიც პარტიისა და ხალხის წინაშე დგას განვითარებული სოციალიზმის თანამედროვე ეტაპზე.

კოლექტივიზმის, საზოგადოებრივ საქმეთა გადაწყვეტასთან უშუალო წილნაყარობის გრძნობა, შრომისადმი პატიოსანი, შეგნებული დამოკიდებულება სოციალისტური ცხოვრების წესის განუყოფელი ნიშანი გახდა. საბჭოთა ადამიანებმა იციან: სამშობლოს ინტერების განმტკიცებისათვის რომ ზრუნავენ, მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებაში, უპირისპირდებიან იმპერიალისტური ძალების აგრესიულ კურსს, რომლებიც ცდილობენ შეაფერხონ ისტორიული პროგრესი, შეანელონ რეალური სოციალიზმის — ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების მთავარი ბურჯის მზარდი გავლენა.

16 ივნისს მოსკოვში დიდი პოლიტიკური აღმავლობისა და საქმიანობის ვითარებაში დაიწყო მუშაობა სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიამ.

დილის 10 საათზე გაიხსნა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს ცალ-ცალკე სხდომები.

შეკრებილებმა პატივი სცეს სესიებს შორის პერიოდში გარდაცვლილი დეპუტატების ა. ი. პელშეს, ტ. ი. კისელიოვის, ე. კ. ილტნერის, ვ. თ. მიცკევიჩის, ვ. ვ. პრიშჩეპჩიკის ხსოვნას.

პალატების ცალ-ცალკე სხდომებზე მოისმინეს სამანდატო კომისიათა მოხსენებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლად არჩეული დეპუტატების უფლებამოსილებათა შემოწმების შესახებ. მოხსენებანი გააკეთეს კომისიათა თავმჯდომარეებმა: კავშირის საბჭოში — **კ. ს. დემირჭიანმა**, ეროვნებათა საბჭოში — **ა. გ. კორკინმა.** მოხსენებათა გამო მიღებულია შესაბამისი დადგენილებანი.

პალატების სხდომებზე ერთხმად დამტკიცდა სესიის დღის წესრიგი და მისი მუშაობის წესი.

განსახილველად გამოტანილია საკითხები:

1. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის არჩევა.
2. ზოგიერთი ცვლილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში.
3. საერთაშორისო მდგომარეობა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა.
4. შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი.
5. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტისა და კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს პალატების მუდმივი კომისიების დებულების შესაბამისად შეტანილია ცვლილებანი პალატების ზოგიერთი მუდმივი კომისიის შემადგენლობაში.

* * *

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს პირველი გაერთიანებული სხდომა დაიწყო 11 საათზე კრემლის დიდ სასახლეში.

დეპუტატები და სტუმრები მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **ი. ვ. ანდროპოვს, ჰ. ა. ალიევს, მ. ს. გორბაჩოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, დ. ა. კუნაევს, გ. ვ. რომანოვს, ნ. ა. ტიხონოვს, დ. თ. უსტინოვს, კ. უ. ჩერნენკოს, ვ. ვ. შჩერბიცკის, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, შ. რ. რაშიდოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, მ. ვ. ზიმიანინს, ი. ვ. კაპიტონოვს, ნ. ი. რიჟკოვს, კ. ვ. რუსაკოვს.**

პალატების გაერთიანებული სხდომა გახსნა კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ **ა. პ. შიტიკოვმა.**

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს, დეპუტატ **კ. უ. ჩერნენკოს.**

## ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლა

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს უხუცესთა საბჭოებს თქვენს განსახილველად შემოაქვთ წინადადება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის არჩევის შესახებ. **(მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია. ყველანი ფეხზე დგებიან).**

ეს საკითხი განიხილა ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. სრული ერთსულოვნების ვითარებაში პლენუმმა მიზანშეწონილად ცნო, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვმა ერთდროულად დაიკავოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტი. **(ხანგრძლივი ტაში).**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო და ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ხელმძღვანელობდნენ იმით, რომ საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში, ჩვენს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში კომუნისტური პარტიის მზარდი ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი საბჭოთა ადამიანების მიერ და საზღვარგარეთ სავსებით სამართლიანად აღიქმება პარტიისა და სახელმწიფოს ავტორიტეტის განუყოფლობის დადასტურებად, პარტიისა და ხალხის გონებისა და ნების ერთიანობის გამოხატულებად.

ი. ვ. ანდროპოვის მიზანსწრაფულმა, ენერგიულმა და ინიციატივიანმა მოღვაწეობამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე, მისმა საქმიანმა და ადამიანურმა თვისებებმა, გამოცდილებამ და პოლიტიკურმა სიბრძნემ მოუპოვა მას საყოველთაო პატივისცემა, პარტიისა და ხალხის ნდობა და სიმპათიები. მისი სახით საბჭოთა კომუნისტები, ყველა მშრომელი, ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები ხედავენ ლენინური ტიპის გამოჩენილ ხელმძღვანელს.

ი. ვ. ანდროპოვის მოღვაწეობასთან განუხრელად არის დაკავშირებული პარტიისა და ხალხის ერთიანობის შემდგომი განმტ-

კიცება, ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკის კურსის მემკვიდრეობითობა, განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების შემდგომი სრულყოფის, ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების ღონისძიებანი, რომლებმაც საყოველთაო-სახალხო მოწონება დაიმსახურა.

ი. ვ. ანდროპოვის მოღვაწეობასთან განუყრელად არის დაკავშირებული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მტკიცე და თანამიმდევრული გეზი, რომლის მიზანია საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღება, მოვლენათა განვითარების შემობრუნება დაძაბულობის შენელებისაკენ, თერმობირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისაკენ, ი. ვ. ანდროპოვი ავტორიტეტიანად წარმოადგენს ამ ხაზს მსოფლიო ასპარეზზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის არჩევა სამსახურს გაუწევს ჩვენი საზოგადოებისა და სახელმწიფოს უმაღლეს ინტერესებს, სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა წარმატებით შესრულებას, კომუნისტური მშენებლობის საქმეს.

ნება მიბოძეთ, ამხანაგო დეპუტატებო, თქვენს განსახილველად შემოვიტანო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილების შემდეგი პროექტი:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ამხანაგი იური ვლადიმერის ძე **ანდროპოვი** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ“. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

• • •

დეპუტატები ერთხმად იღებენ დადგენილებას **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის არჩევის შესახებ.** ამ გადაწყვეტილებას დეპუტატები და სესიაზე მყოფი სტუმრები მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ **იური ვლადიმერის ძე ანდროპოვს.**

დამსწრენი ფეხზე დგებიან და ტაშით მიესალმებიან მას.

# ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლა

პატივცემულო ამხანაგო დეპუტატებო!

ნება მიბოძეთ, სულითა და გულით მხურვალე მადლობა გადაგიხადოთ იმ დიდი ნდობისათვის, რომელიც გამიწიეთ, როცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ამირჩიეთ. **(ხანგრძლივი ტაში).**

თქვენს ნდობას მივიჩნევ ნდობად ჩვენი ლენინური კომუნისტური პარტიისადმი, რომლის წევრი უკვე 40 წელზე მეტი ხანია ვარ და რომლის იდეალების ერთგულად მივიჩნევ თავს.

ნება მიბოძეთ, აღგითქვათ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე მთელ ჩემს ძალღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას მოვახმარ იმას, რომ პირნათლად გავამართლო თქვენი დიდი ნდობა. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№6 (558) ივნისი. 1983

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

ხუტა ბერულავა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა



© „დროშა“, 1983 წ.



სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ნათელა გიორგობიანი, თენგიზ გოგოლაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, სერგო დურმიშიძე, ოთარ თურქია, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გურამ ენუქიძე,**
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ძვირფასო ამხანაგებო!

კონსტანტინე გამსახურდია გამორჩეული სახელია მე-20 საუკუნის ქართულ მწერლობაში. იშვიათი მწერლური ტალანტი, ღრმა განსწავლულობა, სწორი ეროვნული კონცეფცია, — აი, ის სამი განსაკუთრებული ფენომენი, რომელსაც ემყარება მისი, როგორც მწერლისა და მოქალაქის მაღალი სახელი და ავტორიტეტი. განსაცვიფრებელია მისი მრავალმხრივობა, სინამდვილის მხატვრული გარდასახვის საკუთარი წესი, რამაც მას სრულიად განსაკუთრებული ადგილი დაუმკვიდრა ჩვენს მწერლობაში. პირველივე ფრაზიდან ცნობდა მას მკითხველი, უყვარდა და ბოლომდე ენდობოდა მას, მასთან ერთად მოგზაურობდა აწმყოსა და წარსულში, განიცდიდა მის მიერ დახატულ გმირთა ბედსა და თავგადასავალს. ხალხის მიერ გამჟღავნებული ასეთი სიყვარული მხოლოდ ჭეშმარიტ შემოქმედთა ხვედრია და, თვით ის ფაქტიც, რომ ხალხმა მწერლის მიერ შექმნილი რომანის სახელწოდება თვით მის შემოქმედებასთან, მის მწერლურ ტალანტთან გააიგივა, ამ საყოველთაო აღიარებისა და სიყვარულის საუკეთესო გამოხატულებაა.

კონსტანტინე გამსახურდიამ დიდი და საინტერესო ცხოვრების გზა განვლო. მას ბედმა არგუნა ყოფილიყო ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ერთ-ერთი უმძაფრესი ეპოქის შვილი. მის თვალწინ განვლო ორმა რევოლუციამ; მან თავისი თვალით იხილა და აღწერა კიდეც მსოფლიოს ისტორიაში უმაგალითო ომები, ქარცეცხლიან გარდატეხათა წლები. რა ზემოქმედებას მოახდენდა მის სამშობლოზე ასეთი გლობალური მნიშვნელობის ისტორიული ძვრები, რა გზა უნდა აერჩია მის ხალხს ამ ისტორიულ გზაჯვარედინებზე, — აი, კითხვები, რომლებიც აგრერიგად აღელვებდა მოაზროვნე ადამიანებს ჩვენში. კონსტანტინე გამსახურდიას, ისევე როგორც ბევრ მის თანამოკალმესა და კულტურის მოღვაწეს, აღმოაჩნდა უცთომელი ალღო და ისტორიული პერსპექტივის განჭვრეტის სწორი უნარი. ისინი, — ქართველი ხალხის ეს მოწინავე შვილები, — განახლებული ქვეყნის აღმშენებლობის ავანგარდში ჩადგნენ და მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ღირსეულად ილვწოდნენ, რათა ჩვენს ხალხს თავისი წვლილი შეეტანა მსოფლიო ისტორიაში სრულიად ახალი ტიპის სახელმწიფოს შექმნისა და აღორძინების დიად საქმეში.

და ამიტომ დღეს, დღევანდელ საიუბილეო საღამოზე, ალბათ, მრავალმხრივ სიმბოლურია იმის გახსენებაც, რომ ამ უკანასკნელ ხანს ასევე დიდის პატივითა და სიყვარულით აღვნიშნეთ მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, გალაკტიონ ტაბიძის და სხვათა საიუბილეო თარიღები, ახლო მომავალში კიდევ მოგველის სხვა გამოჩენილ მწერალთა იუბილეები, და როცა ყველაფერ ამას თვალს ვავლებთ, ნათლად ჩანს, თუ რა ძლიერი, შეიძლება ითქვას, ბუმბერაზული შემოქმედებითი ნიჭისა და მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობის თაობა მოვიდა ქართულ მწერლობაში რევოლუციის გარიჟრაჟზე — მეოცე საუკუნის დასაწყისში.

„ეს ისტორიული კანონზომიერებაა, — აღნიშნავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, — რევოლუციები ახალ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ეპოქებს ქმნიან. ჭეშმარიტ რევოლუციას მუდამ მოსდევს ახალი კულტურული და, მაშასადამე, პოეტური ეპოქაც ბაზისისა და ზედნაშენის განვითარების რთული დიალექტიკის საფუძველზე“.

კონსტანტინე გამსახურდია ახალი ტიპის ქართული ინტელიგენციის ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანია. ეს იყო ილია ჭავჭავაძისა და რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებზე აღზრდილი ქართველ მოღვაწეთა მომდევნო თაობა. მათგან დიდმა ნაწილმა განათლება რუსეთსა და ევროპის ქვეყნების სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში მიიღო. მაღალი იყო მათი განათლების ხარისხი და მრავალმხრივი აზროვნების თვალსაწიერი. მაგრამ მაინც მთავარი აღმოჩნდა ის, თუ ვინ რა პოზიცია შეარჩია იმჟამინდელ ვითარებაში, ვინ როგორ გამოადგა თავის ხალხს, თავის სამშობლოს.

კონსტანტინე გამსახურდიას დიდი ღვაწლი სწორედ ასეთი კრიტერიუმით ფასდება. რთული შემოქმედებითი ძიებებით აღსავსე გზამ იგი მიიყვანა მაღალი იდეალების სამყაროში, სადაც სრულიად ახალ ჰარმონიაში მეფობს ეროვნული სულისკვეთება, სადაც ასეთი არნახული ასპარეზი იშლება ყოველი ერის სულიერი კულტურის აღმავლობისათვის. მწერლის მახვილი თვალი ღრმად სწვდება ისტორიული მოვლენების ლაბირინთებში და აშკარად გამოარჩევს უმთავრესს, უმნიშვნელოვანესს მისი ერის მომავლისათვის. „პერსპექტივის სიახლოვის გამო ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვაფასებთ ჯეროვნად მრავალ დიად ისტორიულ ამბავს, რომელსაც ოქტომბრის რევოლუციის თარიღი უძევს საფუძვლად, — წერდა კონსტანტინე გამსახურდია ოციანი წლების ბოლოს, — რამდენი მიხრწნილი, გადაგვარების პირამდე მისული კულტურა და ენა გადაარჩინა ოქტომბრის რევოლუციამ, რამდენი პატარა ერი გამოსტაცა ხელიდან სიკვდილსა და გაქრობას...!“

კონსტანტინე გამსახურდია მთელი თავისი შემოქმედებით მშობლიურ ნიადაგზეა ამოზრდილი.

ისევე, როგორც ყოველი დიდი მწერალი, იგი მემკვიდრეა ყოველივე იმისა, რაც მისი მშობელი ხალხის შემოქმედებით სულს საუკუნეების მანძილზე შეუქმნია. მან თავისი უშუალო და დიდი წინაპრების — მეცხრამეტე საუკუნის კლასიკოსების კვალდაკვალ განუზომელი ამაგი დასდო ქართული მწერლობის არა მხოლოდ გამოცოცხლებას, არამედ ახალი მწვერვალებისაკენ სწრაფვას. აკი თავადაც ასე ბრძანებდა: „ჟამის უსასრულო სრბოლაში ჩვენმა ხალხმა შექმნა თავისი ეროვნული მწერლობა და ისტორია, თავისი ისტორიული პროზა და ფოლკლორი. ჩვენ ყოველივე ამის მემკვიდრენი ვართ, მაგრამ მუდამ იმის ცდაში უნდა ვიყვეთ, რომ ჩვენ, დღევანდელებმა, შეძლებისამებრ გადავაჭარბოთ კიდევაც ახდომილსა და აღსრულებულს. თავად შევქმნათ ჩვენი დიდი ეპოქის საკადრისი კულტურა სიტყვისა“.

სწორედ ასეთი სწრაფვით, ამ მწერლური პოზიციით შექმნა მან დიდი ეპოქის საკადრისი მხატვრული ნაწარმოებები. მისი დიდებული ნოველები, შესანიშნავი რომანები — „მთვარის მოტაცება“, „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“, „დავით აღმაშენებელი“, „ვაზის ყვავილობა“ — საბჭოთა ლიტერატურის კლასიკურ საგანძურს განეკუთვნებიან, ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან იმაზე, თუ რა სიმაღლეებს დაეუფლა სოციალისტური რეალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული ქართული საბჭოთა მწერლობა.

ამის ნიმუშად, ალბათ, „მთვარის მოტაცებაც“ იკმარებდა, — ეს ფართოპლანიანი რომანი, რომელიც მთელი ჩვენი ლიტერატურის მოვლენად იქცა არა მხოლოდ საბჭოთა სინამდვილის მხატვრული ასახვის მაღალნიჭიერებით, არამედ მძაფრი ისტორიულ-სოციალური პრობლემატიკით, ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნებისაკენ მისწრაფებით.

ისევე, როგორც აშკარად ნოვატორულია გალაკტიონის ღვაწლი ქართული პოეზიის ახალი სივრცეების დაპყრობაში, ასევე კონსტანტინე გამსახურდია ერთი პირველთაგანია იმათ შორის, ვინც გზა გაუკაფა ქართული პროზის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას, მის აყვანას ახალ თვისებრივ დონეზე. დღეს თანამედროვე ქართულ პროზას რომ ასეთი მაღალი ავტორიტეტი მოეპოვება მთელ მსოფლიოში, ეს იმის ღირსებაც და დამსახურებაც არის,

---

გამოსვლა კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეზე, თბილისში, 1983 წლის 6 ივნისს.

რომ თანამედროვე საბჭოთა რომანის ერთი პირველი მეკვლე სწორედ კონსტანტინე გამსახურდია იყო.

კონსტანტინე გამსახურდია დიდი ეროვნული მწერალია, — ამ სიტყვის ყველაზე საუკეთესო, ყველაზე მაღალი გაგებით, რამეთუ მისი მებრძოლი შემოქმედებაც ნათლად განამტკიცებს იმ შეხედულებას, რომ ყოველგვარი კარჩაკეტილობა დამღუპველია, პროვინციალიზმის სახიფათო სენის მიზეზია.

ყველა ხალხის წმიდათაწმიდა მისიას ხომ ისიც შეადგენს, რომ თავისი წვლილი შეიტანოს მსოფლიო კულტურის ერთიან საგანძურში. კონსტანტინე გამსახურდიას, — როგორც მწერლისა და როგორც მოქალაქის ღვაწლი ამ მიმართულებითაც განსაკუთრებული და მნიშვნელოვანია. დიახ, მისი მხატვრული შემოქმედების ეროვნულობა განაპირობებს მის ზოგადსაკაცობრიო ხასიათს, საინტერესოსა და ახლობელს ხდის მას არაქართველი მკითხველისათვის. ეს ორი ხასიათი მასთან განუყოფელია, ისევე, როგორც განუყოფელია მწერლის პატრიოტიზმი მისი ინტერნაციონალიზმისაგან. „ნურავის გეგონებათ, — ამბობდა მწერალი, — მე პირველობას დავუთმობ ვისმე ჩვენი მეზობელი ერების პატივისცემა-სიყვარულში. განსაკუთრებით პატივსა ვცემ ჩვენ მოძმე რუს ერს, მის მშობლიურ ენას“. დიდი მწერლის ეს სიტყვები განსაკუთრებულ ჟღერადობას იძენს დღეს, როდესაც ჩვენი ხალხი ემზადება გეორგიევსკის ტრაქტატის, რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობის ამ მანიფესტის, 200 წლისთავის აღსანიშნავად. საყოველთაოდ ცნობილია მწერლის დამოკიდებულება მოძმე სომეხი ხალხის, მათი ისტორიისა და კულტურის მიმართ: „ჩვენი თაობის მოვალეობაა — არასოდეს არავის დავანებოთ პერმანენტულ სისხლის წვიმებით განმტკიცებული სომეხ-ქართველთა ძმობა, რომელიც საწინდარი იქნება ჩვენი ხალხების გამარჯვებისა. ჩვენს შვილებს უნდა ვუანდერძოთ, ეს შეძმობა მტკიცედ დაიცვან“.

ერთა შორის კავშირი, ძმობა და მეგობრობა მიაჩნდა მას ამ ერების წინსვლისა და განვითარების საწინდრად. აი, რას წერდა იგი ერთ-ერთ თავის წერილში „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინული თარგმანის გამო: „დღეს, როდესაც დღისით, მზისით ევროპის კონტინენტზე თავს ესხმიან უძლურ ერებს დიდები და უნდათ მოახვიონ ისეთი ძალაუფლება და ფორმები ცხოვრებისა და შემოქმედებისა, რომელიც მათ არ უნდათ, ასეთ დროს საბჭოთა კავშირში ხდება უდიდესი მოვლენა, რომელსაც ჩვენი ისტორიის მანძილზე თითქმის ბადალი არა აქვს. ეს არის ქართული კულტურის შედევრების გამოტანა საბჭოთა კავშირის სამზეოზე. ქართული თეატრების გამარჯვება, ქართული პოეზიის გამარჯვება ეს არ იყო არამც და არამც პატარა ამბები, ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა“. მით უმეტეს ეხება ეს ჩვენს დღევანდელობას, რესპუბლიკის კულტურული აღმშენებლობის არნახულ მასშტაბებს უკანასკნელ წლებში, როდესაც საბჭოთა საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევებმა, საერთოდ — მთელმა ჩვენმა კულტურამ ასეთი ფართო რეზონანსი მოიპოვა ჩვენს ქვეყანაში, და არ იქნება გადამეტებული, თუ ვიტყვით — მთელ მსოფლიოშიც.

ნიშანდობლივია, რომ ლენინურ პოლიტიკას კულტურის დარგში ერთი პირველთაგანი კონსტანტინე გამსახურდია-მწერალმა.

კონსტანტინე გამსახურდიას აღფრთოვანებდა ყველაფერი ახალი, პროგრესული; მას ჰქონდა საოცარი თვისება — სწრაფად შეეცნო საზოგადოებაში მომხდარი დადებითი ძვრები, გამხდარიყო მათი თანამდგომი და თანამონაწილე. შემონახულია სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაწერილი მისი წერილები რესპუბლიკის ხელმძღვანელობისადმი, სადაც მხცოვანი მწერალი ჭაბუკური გატაცებით მიესალმება იმ გამაჯანსაღებელ პროცესებს, გადამჭრელ ბრძოლას ცხოვრების ჯანსაღი ნორმების აღსადგენად და დასამკვიდრებლად რომ დაიწყო ამ ათიოდე წლის წინ ჩვენს რესპუბლიკაში.

„არაფერი ისე არ ახარებს თვალსა და გულს, როგორც ეგა: ახლის შექმნის მეთვალყურე იყვე და ახლის შემქმნელს შეაწიო ხმა“, — ეს კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებია. მისი ხმა, მისი პიროვნება, მისი შემოქმედება დღესაც ჩვენთანაა, ჩვენი შემწეა ქართული საბჭოთა კულტურის წინსვლისათვის ბრძოლაში.

დიახ! სწორედ ამგვარი პიროვნების, მოქალაქის, მწერლის, მამულიშვილის დაბადების 90 წლისთავს ვზეიმობთ ჩვენ, ძვირფას სტუმრებთან ერთად: სიამაყით სავსეა ჩვენი გულები იმის გამო, რომ ჩვენ გვყავს ისეთი დიდოსტატი, როგორიცაა კონსტანტინე გამსახურდია!

**ზეიმი აბაშაში**







კონსტანტინე გამსახურდია [illegible]ცხოვლის გალავანში, 1968 წელს.
ფოტო [illegible] მინარიშვილისა.

# დიდოსტატ კონსტანტინეს მშობლიურ სოფელში

ბედმა თუ შემთხვევამ ადრევე, ჩემი სიჭაბუკის ჟამს, შემახვედრა კონსტანტინე გამსახურდიას. შემდეგ ბატონ კონსტანტინეს წიგნების გამომცემელიც ვყოფილვარ და რედაქტორიც, სტუმარიცა და მასპინძელიც.

ამბობენ: კონსტანტინე გამსახურდია ფეხზე ამდგარი შეხვდაო სიკვდილს. სიკვდილამდე რამდენიმე წუთით ადრე კალამიც მოითხოვა თურმე.

სიცოცხლესთან განშორების დროსაც თავისებური დარჩა ეს დალოცვილი!

„დიდოსტატის მარჯვენის“, „დავით აღმაშენებლის“, „მთვარის მოტაცების“, „ხოგაის მინდიას“ გენიალურ ავტორს ხშირად ჰქონია შეჯახება კრიტიკასთან, მაგრამ გატეხილი არავის უხილავს. თავაწეული დადიოდა საქართველოში.

შვილისთვის სიყვარული არ დაუშურებია ერს, რომლის გმირულ წარსულსა და დღევანდელობას განადიდებდა იგი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, დიდ საქმო კავშირსა და მის საზღვრებს გარეთ საყოველთაოდ ცნობილი მწერალი არასოდეს იზნიქებოდა დიდების ტვირთქვეშ.

იმ დღეს, როცა დედათბილისში, გალის ქუჩაზე, კოლხური კოშკის ეზოში მიწას მიაბარეს დიდოსტატი კონსტანტინე, რომლის მარჯვენამაც არაერთი ძეგლი აუგო საქართველოს, მე ვწერდი:

ამიერიდან კოლხური კოშკის ეზო მთაწმინდის განუყრელი ნაწილი ხდება...

პატივცემულო საზოგადოებავ!

წლევანდელი 6 ივნისი არ დაავიწყდება ქართველ ხალხს: იმ დღეს თბილისში გაიხსნა კონსტანტინე გამსახურდიას პირველი ძეგლი, გაჩნდა მისივე სახელობის ქუჩა, გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში გაიჭრა ლენტი მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენისა, ხოლო შემდეგ ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში შედგა დიდოსტატის კონსტანტინეს დაბადების ოთხმოცდაათი წლის თავის აღსანიშნავი საზეიმო საღამო. უფრო ადრე სოხუმის სახელმწიფო ქართულ თეატრს კონსტანტინე გამსახურდიას სახელი მიენიჭა.

დღეს კი, ძვირფასო აბაშელებო, სრულიად საქართველო დგას ამ დალოცვილ კოლხურ, ძველქართულ მიწაზე, იმ პატარა მდინარის პირას, სადაც ოთხმოცდაათი წლის წინათ დაიბადა კონსტანტინე გამსახურდია, ქართლის ცხოვრების დიდი მემატიანე, ერისკაცი და მამულიშვილი.

სრულიად საქართველო დგას ამ წუთებში ამ ბედნიერი აკვნის წინაშე და მთელი ქვეყნის გასაგონად, მტრისა და მოყვრის გასაგონად ეუბნება უკვდავ შვილს:

— შენ ჰეი, მსოფლიოს უმცირესი მდინარის პირას შობილო ბიჭო, ვერ გაჯობეს დიდი მდინარეების პირას დაბადებულმა ადამიანებმა!

სრულიად საქართველო, ერთი აზრით და ერთი ფიქრით შეპყრობილი, სიამაყით აღსავსე, დგას და მადლობას ეუბნება დიდოსტატის კონსტანტინეს მშობლებს, რომელთაც მამულს, სამზეოს, კაცობრიობას გაუზარდეს სახელოვანი შვილი; მადლობას ეუბნება ამ ცისა და მიწის ნაჭერს, ამ პატარა მდინარეს და ამ კარ-მიდამოს, რომელთაც სამუდამოდ დაანათლეს მწერალს კაცთმოყვარეობა, სიმამაცე, სამშობლოსადმი ერთგულების გრძნობა; მადლობას ეუბნება იმ უნაზეს მეგრულ იავნანას, რომლის ძალაც უცხოეთის გზებზე მოხეტიალე ჭაბუკს, მრავალი საოცრებისა და მრავალი ცდუნების მხილველს, დღენიადაგ შთააგონებდა, რომ ყველაზე წმინდა, ყველაზე მთავარი ქართველი კაცისათვის — სიყვარულია მშობელი მიწისა.

ძვირფასო აბაშელებო, პატივცემულო სტუმრებო!

მე რა უნდა მოგახსენოთ დღეს ისეთი, თქვენ რომ არ უწყოდეთ... კონსტანტინე გამსახურდიას ბიოგრაფიის ყველა ფურცელი ცნობილია თანამედროვეთათვის... უზომო ტკივილიც განუცდია, მაგრამ ერის, ქართველი ერის, თვალყური და თაყვანისცემა არასოდეს მოჰკლებია მას.

ხალხის ამ თაყვანისცემისა და სიყვარულის ერთ საგულისხმო გამოხატულებას შეგახსენებთ. როცა ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე ჩვენს რესპუბლიკას ჩაუდგა სათავეში, იგი პირველსავე დღეებში კოლხური კოშკის დიდ ბინადარს, თავის კეთილ მეგობარსა და უსაყვარლეს მწერალს ეწვია შინ, დიდხანს ესაუბრა ქვეყნისა და მშობლიური მწერლობის ავკარგზე, ჯანმრთელობა და ბედნიერება უსურვა დიდოსტატს. თავის მხრივ ბრძენმა მასპინძელმა სულითა და გულით დალოცა სტუმარი, სრული გამარჯვება უსურვა მას თავის ახალ, დიდ სარბიელზე.

კონსტანტინე გამსახურდიამ, როგორც ყოველმა ჭეშმარიტმა მწერალმა, მშვენივრად იცოდა თავისი შემოქმედების ფასი, მაგრამ იგი არასოდეს ურიგდებოდა ისეთ მდგომარეობას, როცა მეტისმეტად გაზვიადებული იყო ხელოვანთა ერთი ნაწილის როლი და დაკნინებული სხვათა შემოქმედების მნიშვნელობა. იგი, როგორც იტყვიან ხოლმე, ხმალამოღებული იცავდა თავის კოლეგებს და თანამებრძოლებს.

რა მოწიწებით, რა მოკრძალებით, რარიგი რაინდული პატივისცემით ეპყრობოდა კონსტანტინე გამსახურდია ქართული კულტურის შესანიშნავ მოღვაწეებს. ყველას როგორ ჩამოვთვლი, მაგრამ დავასახელებ მხოლოდ აბაშის მიწაზე დაბადებულ რამდენიმე დიდებულ ადამიანს — პოეტებს ალექსანდრე აბაშელს და სიმონ ჩიქოვანს, აკადემიკოს ვარლამ თოფურიას და ლიტერატურის მკვლევარს — კონსტანტინე კაპანელს...

კონსტანტინე გამსახურდია ხალხთა ძმობისა და მეგობრობის გულწრფელი მეხოტბე გახლდათ. ამაზე მეტყველებენ, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მწერლის მრავალრიცხოვანი სტატიები. რუსული ლიტერატურის მოღვაწეთაგან მისი პირადი მეგობრები იყვნენ: ალექსეი ტოლსტოი, ალექსანდრე ფადეევი, მიხეილ შოლოხოვი, ნიკოლოზ ტიხონოვი, ალექსეი სურკოვი...

სხვა მოძმე ხალხთა გამოჩენილ მწერლებთანაც გულთბილი დამოკიდებულება ჰქონდა. ეს, რა თქმა უნდა, მისი ინტერნაციონალური ბუნებით აიხსნებოდა.

რაც დრო გადის, უფრო და უფრო პოპულარული ხდება კონსტანტინე გამსახურდიას სახელი ჩვენს პლანეტაზე. უფრო და უფრო ხშირად ისტამბება მისი წიგნები სხვადასხვა ქვეყანაში და კიდევ უფრო ცნობილი ხდება მისი მშობლიური ა ბ ა შ ა.

რარიგ სასიამოვნოა, რომ აბაშელთა გმირული შრომა ჩვენი დიდი სამშობლოს კიდით კიდემდე არის ცნობილი...

რარიგ სასიამოვნოა, რომ ასე გულთბილად და ამაყად მასპინძლობთ კონსტანტინე გამსახურდიას სასურველ სტუმრებს!

ასე მგონია, ვითარცა ცოცხალი, მოღიმარი და მადლიერი გიხმობთ ოთხმოცდაათი წლის კონსტანტინე გამსახურდია:

„თქვენ, ჰეი, მსოფლიოს უმცირესი მდინარის პირას შობილო ბიჭებო და ქალიშვილებო, არ გაჯობონ დიდი მდინარეების პირას გაზრდილმა ადამიანებმა“.

დაე სულ ესმოდეთ აბაშის მკვიდრებს, ისევე როგორც საქართველოს ყველა კუთხის შვილებს, დიდოსტატის კონსტანტინეს ეს უკვდავი, მამაშვილური შეძახილი.

**ხუტა ბერულავა**

11 ივნისი, 1983 წელი,
აბაშა.

# კულტურის კერებს — პარტიული ზრუნვა

**გიორგი ლორთქიფანიძე,**

საქართველოს კპ ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

სკკპ XXVI ყრილობამ შეიმუშავა კულტურული მშენებლობის, კულტურის დაწესებულებათა აღმზრდელობითი ფუნქციების ყოველნაირად გაფართოების მაგისტრალური გზები და მიმართულებანი.

პარტია მოითხოვს, რომ კულტურის მონაპოვარი ყველა საბჭოთა მოქალაქის კუთვნილება გახდეს.

ქალაქ ტყიბულსა და დაქვემდებარებულ სოფლებში 28 საკლუბო დაწესებულება და 46 ბიბლიოთეკა ემსახურება მშრომელებს.

კულტურის დაწესებულებათა ქსელის განვითარებასთან ერთად მეტი ყურადღება დაეთმო მოსახლეობაში მისი განლაგების მოწესრიგებას. შესამჩნევად ამაღლდა კულტურის დაწესებულებათა შემოქმედებითი და მასობრივი მუშაობის ხარისხი.

კულტურის დაწესებულებები იდეოლოგიური მუშაობის ნამდვილ ცენტრებს წარმოადგენენ. ისინი აქტიურად ეხმარებიან პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებს მშრომელთა დარაზმვაში სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის. აქ შეიძლება დავასახელოთ ორპირის კულტურის სახლი, საწირის, კურსების, დაბაძვლის, გელათის № 1 და გურნის სასოფლო კლუბები, ცენტრალური ბიბლიოთეკა და მისი ფილიალები ქალაქში, საწირის, ორპირის, კურსების № 1, ჯვარისის, ცუცხვათის, ნაბოსლევის, ძმუისის, გელათის და ზოგიერთი სხვა სოფლის ბიბლიოთეკა-ფილიალები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის პლენუმმა დიდი ყურადღება დაუთმო კულტურის დაწესებულებათა კადრების განმტკიცებას, აღზრდას, მათი შემოქმედებითი ჰორიზონტის ყოველმხრივ გაფართოებას.

სწორედ ამ პრინციპებით ხელმძღვანელობენ ტყიბულის პარტიული ორგანიზაციები კულტურის დარგის მუშაკთა კადრების იდეურ აღზრდას. კადრების აღზრდის საქმეში გონივრულად არის გამოყენებული კულტურის მუშაკთა საქალაქო სემინარი. რესპუბლიკურ კურსებზე უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად მივლინებული იყო 35 მუშაკი. გაუმჯობესდა კულტურის მუშაკთა კადრების შემადგენლობა.

პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტმა იმსჯელა მოსახლეობაში წიგნის პროპაგანდის გაუმჯობესების ღონისძიებებზე. ამ მიმართულებით პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, კულტურის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად, კარგად იმუშავეს.

გაიზარდა ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი და მკითხველთა რაოდენობა. თუ 1980 წელს კულტურის სამინისტროს სისტემის ბიბლიოთეკებში იყო 340.702 ეგზემპლარი წიგნი, მიმდინარე წლის დასაწყისში მისი რიცხვი შეადგენდა 353.666 ეგზემპლარს, გაიზარდა მკითხველთა რაოდენობაც.

ბიბლიოთეკების ცხოვრებაში სერიოზულ ეტაპს წარმოადგენს სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელის ცენტრალიზაციის მეთოდის დანერგვა, რომელიც 1977 წლიდან განხორციელდა. ქსელის ცენტრალიზაცია საბიბლიოთეკო საქმის განვითარების ახალი მიმართულებაა. იგი საშუალებას იძლევა, მკვეთრად გავაუმჯობესოთ მოსახლეობის წიგნით მომსახურება დამატებითი მატერიალური ხარჯების გარეშე.

ბიბლიოთეკების ახალ სისტემაზე გადასვლამ უკვე გამოიღო კარგი შედეგები: მკითხველთათვის უფრო ხელმისაწვდომი გახდა წიგნი, გაუმჯობესდა ცალკეული დარგების ლიტერატურის პროპაგანდა.

ახალი მეთოდის დანერგვა ბიბლიოთეკებში პარტიული ყურადღების საგნად იქცა, რის შედეგადაც ქსელის ბიბლიოთეკებში გაიზარდა მკითხველთა რაოდენობა და მომსახურების ხარისხი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის პროპაგანდას.

ყურადღება დაეთმო წიგნადი ფონდის დაკომპლექტებას, ხარვეზების შევსებას. ფონდები გაიწმინდა შინაარსობრივად მოძველებული, გამოუყენებელი ლიტერატურისაგან.

სოფლის მშრომელთა წიგნით მომსახურებას ახორციელებს 33 სასოფლო, ერთი საბავშვო და ერთი ავტობიბლიოთეკა, რომელთა ფონდში 318.017 ცალი წიგნია. სოფლის მშრომელთა უკეთ მომსახურებისათვის ბიბლიოთეკები იყენებენ მოძრავ საბიბლიოთეკო ქსელს. 29 მოძრავი და გაცემის პუნქტი ყოველწლიურად ემსახურება 2200-მდე მკითხველს.

გაუმჯობესება დაეტყო სოფლის სპეციალისტთა წიგნით მომსახურებას, რომელიც ხორციელდება ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებებისა და მკითხველთა ცალკეული ჯგუფების სპეციალური კარტოთეკების მეოხებით. ამჟამად ბიბლიოთეკებით სარგებლობს სოფლის მოსახლეობის 95 პროცენტი. პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა პროპაგანდის მიზნით ბიბლიოთეკებში ხშირად ეწყობა მასობრივი ღონისძიებები: შეხვედრები სოფლის მოწინავე მშრომელებთან, ძველ ბოლშევიკებთან, დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან. ბიბლიოთეკებში აწყობენ წიგნების განხილვებს, ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვებს.

მდიდარი წიგნადი ფონდი ინტენსიურად უნდა გამოვიყენოთ თანამედროვე ადამიანის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის. ბიბლიოთეკებში ეწყობა მკითხველთა კონფერენციები და თემატური საღამოები, ლექციების ციკლი და სხვა ღონისძიებანი თანამედროვე ადამიანის იდეური აღზრდის აქტუალურ საკითხებზე.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ბიბლიოთეკებმა მრავალი საინტერესო ღონისძიება განახორციელეს ახალგაზრდობის პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის თვალსაზრისით.

ბიბლიოთეკები ფართოდ ეხმაურებიან ცხოვრებისეულ თვალსაჩინო მოვლენებს, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საიუბილეო თარიღებს.

მოეწყო ექსკურსიები მიძღვნილი გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი (ნიკორწმინდაში, გელათში, სათაფლიაზე).

პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრშია საკლუბო მუშაობა. მიმდინარე წლის დასაწყისისათვის მარტო კულტურის სამინისტროს სისტემის სოფლის საკლუბო დაწესებულებებში 218 წრე და მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივია.

მხატვრული თვითმოქმედების განვითარებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მშრომელთა თვითმოქმედი კოლექტივების პირველი და მეორე სრულიად საკავშირო ფესტივალები. მათ ხელი შეუწყვეს კოლექტივების იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებას, ოსტატობის დახვეწას, თვითმოქმედი ხელოვნების შემდგომ განვითარებას.

ამ ფესტივალების აქტიური მონაწილე იყო ქ. ტყიბულის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივებიც. ამ მხრივ აღსანიშნავია კულტურის სასახლის მომღერალთა აკადემიური გუნდი, ორპირის, საწირის, სოჩხეთის, ჯვარისის, ციხიის, ცუცხვათის, ხრესილის, ძმუისის, კურსების, გელათის № 1 სასოფლო, ლენინის სახელობის შახტის, ორჯონიკიძის სახელობის შახტის, სამკერვალო გაერთიანება „გელათის" ტყიბულის ფაბრიკის, სამრეწველო კომბინატისა და სხვა მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების ნაყოფიერი მუშაობა.

გასულ წელს საინტერესო საიუბილეო ღონისძიებები განახორციელეს მხატვრულმა თვითმოქმედმა კოლექტივებმა. კულტურის სასახლეში ჩატარდა საკავშირო და რესპუბლიკური ფესტივალების ლაურეატების და დიპლომანტი მხატვრული კოლექტივების საზეიმო კონცერტი, რამაც მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ასევე ჩატარდა პატრიოტული სიმღერების საუკეთესო შემსრულებელთა კონკურსი და მხატვრული თვითმოქმედების საქალაქო ოლიმპიადა, სადაც ასპარეზობდა 23 მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივი და ინდივიდუალური შემსრულებელი.

სიამაყით შეიძლება აღინიშნოს, რომ სადღეისოდ მხატვრული თვითმოქმედება ამაღლდა პროფესიონალიზმის დონემდე, იგი პროპაგანდას უწევს როგორც ხალხური, ასევე კლასიკური ხელოვნების სხვადასხვა დარგის მიღწევებს.

მეშახტეთა კულტურის სასახლის მომღერალთა აკადემიურმა გუნდმა, რომელსაც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს ნიჭიერი მუსიკოსი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გივი ბახტაძე, სახელი გაითქვა მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით არამარტო ქალაქის მშრომელებში, არამედ რესპუბლიკასა და მის ფარგლებს



სურათზე: შეხვედრა მოსკოვში ვნუკოვოს აეროდრომზე.

გარეთ მოწყობილ კონკურსებზე.

მხატვრული თვითმოქმედების პროფესიონალიზმთან დაახლოების სხვა ფაქტების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა.

საკლუბო დაწესებულებები კულტმასობრივი მუშაობ ი ს მრავალფეროვანი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით ახორციელებენ პარტიის პოლიტიკის პროპაგანდას, ეწევიან დრომოჭმული ტრადიციების კრიტიკას, ხელს უწყობენ ახალი საბჭოური წეს-ჩვეულებათა დამკვიდრებას, კომუნისტური, თანამედროვეობის ლენინური პრინციპების დანერგვას, სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას.

საყოველთაოდ ცნობილია, რა დიდ ზეგავლენას ახდენს მასების იდეურ-ესთეტი კ უ რ აღზრდაზე, შრომაში მათ მობილიზებაზე თვალსაჩინო აგიტაცია. კულტურის უმეტეს ობიექტებში მიმზიდველად და მაღალ იდეურ-მხატვრულ დონეზეა მოწყობილი ფოტოსტენდები, დიაგრამები, ლოზუნგები და პლაკატები, სოცშეჯიბრების შედეგების მაჩვენებლები, კედლის გაზეთები და სხვა მასალები. ეს საქმე კარგადაა დაყენებული ორპირის კულტურის სახლში, ცენტრალურ, საქალაქო, საბავშვო ბიბლიოთეკებში. სოფლების საწირისა და ციხიის სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელობის თაოსნობით სოფლის ცენტრებში აიგო შინმოუსვლელთა მემორიალური დაფები.

პარტიის საქალაქო კომიტეტს, საქალაქო საბჭოს აღმასკომს დასახული აქვთ, მომავალში კიდევ უფრო მიმზიდველი გახდეს კულტურის დაწესებულებები, ორგანიზებულად განხორციელდეს ღონისძიებანი სოფლის ცენტრების კეთილმოწყობისა და მათი გალამაზებისათვის.

პარტიული მზრუნველობის ცენტრშია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების და სათანადო პირობების შექმნის ამოცანები.

ამჟამად ტყიბულს აშენებს კულტურის, სპორტის, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეები. სოფლის 21 საკლუბო დაწესებულებას სპეციალურად აგებული შენობები აქვს.

კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიექცევა სოფლის კულტურის კერების საბინაო პირობების გაუმჯობესებას. ახალ ბინებს მიიღებენ მუხურის კიროვის სასოფლო ბიბლიოთეკები, კაპიტალურად შეკეთდება 5 სასოფლო კლუბი. 1984 წელს დაიწყება საწირის სასოფლო კულტურის სახლისა და მუხურის სასოფლო კლუბის მშენებლობა.

ჩვენს რაიონში 1982 წლის 27 აგვისტოს გაიხსნა ტყიბულის რაიონის (ოკრიბის) მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ტყიბულის რაიონს, რომელიც ისტორიულად „ოკრიბის მხარეს" მოიცავს, ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს.

ისტორიული „ოკრიბის მხარე", — მდინარე წყალწითელას ხეობა მდიდარია როგორც ბუნების მრავალფეროვნებით, ისე არქეოლოგიური და ისტორიული ძეგლების სიმრავლით.

განსაკუთრებით საყურადღებოა „ოკრიბის მხარის" ისტორია ფეოდალურ ხანაში. აქ დაცულია ქართული არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლები: გელათის სამონასტრო ანსამბლი, მოწამეთის „ნაქალაქარი", კურსების 4 ეკლესია, ბუეთის „მთავარანგელოზების" ეკლესია, ძიროვნის, კისორეთის და ჯონიის ეკლესიები... შემორჩენილია ბევრი ციხე: გელათი, კურსები, ცუცხვათი, ოხომირა, ძიროანი, კისორეთი, ხრესილი, საწირე და სხვა. გვხვდება ფეოდალური ხანის თაღოვანი ხიდები მდინარე წყალწითელასა და მის შენაკადებზე. შესწავლილია მხარის კარსტული მღვიმეები, რომლებშიც ადამიანის ცხოვრების კვალი მოჩანს.

ყოფილი „ოკრიბის მხარე" მდიდარია ბუნებრივი რესურსებითაც: აქაური კურსების გრანიტი ცნობილია მსოფლიოში, ხოლო გიშრის წარმოებას ძველთაგანვე დიდი საექსპორტო მნიშვნელობა ჰქონდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქვანახშირის მოპოვებამ საფუძველი ჩაუყარა დაბა ტყიბულს, რომელიც ამჟამად თანამედროვე სოციალისტური ქალაქია. აქ 9 სოციალისტური შრომის გმირი ცხოვრობს, 110 მშრომელი ლენინის ორდენის კავალერია, დიდ სამამულო ომში რაიონიდან წარგზავნილთაგან 3 მებრძოლს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა...

ახლოვდება გეორგიევსკის ტრაქტატის — რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის მანიფესტის — ხელმოწერის 200 წლისთავი.

ამჟამად, როდესაც ერთიან ძმურ ოჯახში საქართველოს მშრომელები, მათ შორის ტყიბულელები, ენერგიულად შრომობენ სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1983 წ.). პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, კულტურის დაწესებულებები, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, ყოველმხრივ ხელს უწყობენ წარმოება-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას.

წარმატებებია მოპოვებული მოსახლეობის კინომომსახურებაში მაგრამ ამ მხრივ გასაკეთებელი კიდევ ბევრია. 45 დასახლებული პუნქტიდან კინომომსახურების გარეშეა დარჩენილი 23 სოფელი... ამ საქმის მოგვარებას სჭირდება დამატებითი კინომოძრავი ავტომანქანა. ამ საქმეში საქართველოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის დახმარებას მოველით. ზამთრის პერიოდში სოფლის მოსახლეობის კინომომსახურება ფერხდება იმის გამოც, რომ ნაწილი კლუბებისა კეთილმოუწყობელია და არ თბება.

მხატვრულ წრეებში, კულტურულ-საგანმანათ ლ ე ბ ლ ო მუშაობაში უფრო მეტად უნდა ჩავაბათ მუშათა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის საუკეთესო ძალები.

ჯერ კიდევ დიდი დაბრკოლებებით ხორციელდება საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის დაკომპლექტება მკითხველისათვის საინტერესო და საჭირო წიგნებით. ბიბლიოთეკებში მეტად მცირე რაოდენობითაა დამხმარე სახელმძღვანელოები.

მკვეთრ გაუმჯობესებას მოითხოვს კულტურის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ახალი კონტინგენტის შერჩევისა და მიღების სისტემა, სწავლებისა და აღზრდის ხარისხი.

კვლავ ბევრია გასაკეთებელი კულტურის ობიექტების წესრიგში მოსაყვანად, მათი მატერიალურ-ტექნიკური პირობების კიდევ უფრო გასამტკიცებლად.

ბავშვებისათვის

**ავთანდილ მეგრელიშვილი**

## ჯიუტი მზია

მზიას სახლში უთო მიაქვს,
მეზობლისგან უთხოვია.

ხან წვავს უთოს, ხან წვავს კაბას,
გაუწყალა გული პაპას.
ბოლოს პაპამ ასე უთხრა:
— მომისმინე, თვალისჩინო.
უთოს დაწვას ვინ დაეძებს,
ხანძარი არ გამიჩინო!..

მზიას ისევ უთო მიაქვს,
მეზობლისგან უთხოვია.

## იები

პაწაწინა იებმა
მოაშურეს მზიანეთს.
დაეპკურათ ცის ნამი
ცისფერ თვალებიანებს.

მოგვიხატეს მთა-ველი,
თავი მორცხვად დახარეს.
გააცილეს ზამთარი,
გაზაფხული გვახარეს.

## ლუკა

ნახეთ, დღესაც ლუკამ
გაიშარა — შუკა.
არ შევიდა სახლში,
არ შეჭამა ლუკმა.

არ კითხულობს წიგნებს,
დროს ატარებს უქმად.
დადის, დააზმორებს,
მიტომ იღებს ორებს!

## კირითხურო

ვუშინდები განა,
წვიმასა და ქარს?!
ოსტატურად ვარჩევ
კედლის საშენ ქვას...

სირცხვილია, პაპამ
საყვედური თქვას...

## დათვები და ფუტკრები

გარეულ ფუტკრებს დიდ ტყეში
დაუნესტრიათ დათვები.
დასიებიათ დრუნჩები
და ბანჯგვლიანი თათები.

გამწარებული ბღავიან,
დაუბჩენიათ ხახაო.
ამბობენ: — თაფლი, ნეტავი,
თვალითაც არ გვენახაო!

**ტარიელ ხავთასი**

## ციცინათელა

ხან აქ გაჰკრავს, გაკვესავს,
ხან იქ განაპერწკლდება,
ვარსკვლავივით თვალს მიკრავს,
ფრენა როდი ბეზრდება.
შემოივლის ეზოებს,
ღობე-ყორეს ედება.
ციმციმ-ციმციმ-ციმციმით
მიდის, მიმოენთება...
დავსდევთ სიცილ-კისკისით
მე, ნინო და ნათელა,
ნამდვილ ცოცხალ ნაპერწკალს, —
ციცქნა ციცინათელას.

**გული ზუხბა**

## რომ ვისწავლე ცურვა

რომ ვისწავლე ცურვა,
შეამჩნია ზღვამ;
რა ყოჩაღი ბიჭიაო,
ჩემზე ასე თქვა;
— ის ჩემთანაც გამოდგება! —
დაიძახა მთამ,
— ის ჩემთანაც ინავარდებს! —
გადმომძახა ცამ.

## ისე აღარ დაალამო

ისე აღარ დაალამო,
რომ ბუნება არ ამო,
ხე დარგე და გაახარე
გლოცოს დილამ და საღამომ!

## არწივი

არწივი ვარ, არწივი...
წიწილივით არ ვწივი!

მოთხრობა

**ლავრენტი ჭიჭინაძე**

# ბებია მანო

თავიდანვე მოუსვენარი ქალი ყოფილა ბებია მანო. არ არჩევდაო ქალისა და კაცის საქმეს. ყველაფერს ერთნაირად ეჭიდებოდაო. თუმცა, ამ ჭიდილში წაქცევა რას მიქვია, არც კი დაუჩოქიაო.

ახლა?

ახლა მოხუცია ბებია მანო. წელშიც მოიხარა, მაინც მთელი დღე ფუსფუსებს. დილით ვერავინ მოასწრებს ადგომას. ქათმებს საკენკს დაუყრის, რას აღარ დაინახავ მის ხელში. სად აღარ გამოჩნდება. სოფლის ბოლოზე, ჭალაში, ტბასთან ბატებს ჩარეკავს ხოლმე. ხბოს გამოიყვანს, კარგ ბალახიან ადგილს შეურჩევს.

ბებია მანოს უსაქმოდ ვერავინ დაინახავს. მაგრამ შვილები და შვილიშვილები სულ საყვედურობენ... განა იმიტომ, რომ არაფერს აკეთებო, უფრო იმიტომ, რატომ ბევრს აკეთებო.

ეუბნებიან: გაჩერდი, მოისვენე, გეყოფა ამდენი შრომაო. შენ ახლა ვალმოხდილი ხარო. ამდენი შვილები და შვილიშვილები დაგვზარდეო. დაჯექი, ბრძანე, რაც გინდა, ყველაფერს მოგართმევთო.

ბებია მანო მაინც თავისას ამბობს: თქვენი მოსართმევი ჯერ რა მჭირსო.

ქათმებს, ბატებს და ხბოს რომ მორჩება, ალბათ ახლა მაინც მოისვენებსო, იფიქრებს კაცი, მაგრამ რის მოსვენება? წინდის ჩხირებს მოძებნის, თუმცა რა დიდი მოსაძებნი ის არის, სულ სასთუმალთან მიდგმულ სკამზე აქვს დადებული. გამოიტანს პრიალა ჩხირებს, ქსოვს და ქსოვს წინდებს. მთელ ოჯახში დიდსა და პატარას, ყველას ამის მოქსოვილი წინდები აცვია.

მოათავა წინდების ქსოვაც.

მაგრამ ბებია მანომ ფაჩუჩების ქსოვაც იცის, თუ გაიგო ახლო-მახლო რომელიმე ოჯახში ბავშვი დაიბადაო, იტყვის: იმ ბავშვს ფაჩუჩი უნდა მოვუქსოვოო და ქსოვს და ქსოვს ფაჩუჩებს. მერე რა კარგებს, რა ლამაზებს! კარგად ვეღარ იხედება, მაგრამ მაინც ისე ქსოვს, რომ ერთი თვალიც არსად ჩაუვარდება.

ო, რა გაწაფული ხელი აქვს!

არც დასცქერის ჩხირებს. თუ ახლოს ვინმეა, მას ესაუბრება, იხედება მისკენ და ჩხირებს მაინც არ აჩერებს.

ერთ წყვილ ფაჩუჩში ერთ მადლობას უხდიან.

ეს ერთი მადლობის სიტყვა დიდი რამ არის. ბებია მანო ამას თვლის თავისი შრომის ნამდვილ დაფასებად. მეტი რამ არც უნდა.

ერთხელ ბებია მანომ ახალი მოქსოვილი ფაჩუჩები დადო ფანჯრის რაფაზე, აქაოდა, დაინახეთ ეს კარგი ფაჩუჩებიაო.

არც ეს იკმარა.

ახლა რომელიღაც ბავშვის ხალათი გამოძებნა. ის თავის პატარა დაბალ სკამზე დადო. ამაზე ღილები იყო დასაკერებელი. მერე პაწაწკინტელა კალათა გამოიტანა, რომელშიც ძაფები და სანემსე ბალიში იყო ჩალაგებული. ამავე კალათში ეყარა სხვადასხვანაირი ღილები: თეთრი და შავი, წითელი და მწვანე, ლურჯი და ყვითელი და კიდევ...

ბებია მანო დაჯდა თავის პატარა სკამზე. ხალათი მუხლებზე გადაიფინა. ჯერ კოჭი ამოიღო, კარგა გრძელი ძაფი გადაწყვიტა. მერე ნემსებგაყრილი შავი ხავერდის ბალიშს მოჰკიდა ხელი. გამოაძრო ერთი ნემსი.

აი ახლა დადგა ბებია მანოსათვის უძნელესი წუთები. კარგად რომ ვეღარ იხედება, უჭირს ძაფის აგება, მაგრამ მაინც არ ეშვება, არ იტეხს იხტიბარს, ცალ ხელში უკავია ნემსი, მეორეში — ძაფი. ცდილობს ძაფის გაყრას, მხოლოდ ცდილობს! ბევრს ეცადა, მაგრამ არ იქნა და ვერ გაუყარა.

ამას თვალი შეასწრო მისმა შვილიშვილის შვილმა მზიულამ, მიირბინა ბებიასთან, ეუბნება:

— ბებია, ბებიკო, მომეცი ნემსი და ძაფი, მე ავაგებ.

ამ გოგონას მისვლა და გადაკისკისება ერთი იყო.

— რა გაცინებს, გოგო, რა მოხდა?

— აბა ვის არ გაეცინება! ნემსის წვერში ძაფის გაყრა ვის გაუგონია!

— აი, თურმე რატომ ვერ ამიგია. — ჩაილაპარაკა მანო ბებიამ და ის მაინც არ ამოთქვა, რომ დავბერდი, თვალს დამაკლდა, კარგად ვეღარ ვიხედებიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პუშკინის პოეზიის საკავშირო დღეები



### ალექსანდრე პუშკინი

## პოეტს

ნუ გიღირს ძვირად სიყვარული ხალხისა. ვიცი,
გავა ხმაური ალტაცებულ დიდების დიდის
და გაიგონებ სულელთა მსჯავრს, ცივი ბრბოს სიცილს,
მაგრამ შენ დარჩი ისევ მტკიცე, პირქუში, მშვიდი.

შენა ხარ მეფე: იყავ მარტო. გაჰყევი რწმენით
თავისუფლების გზას, საითაც გონება გიხმობს.
სრულყავ ნაყოფი საყვარელი ფიქრების შენის
და ჯილდოს კეთილ საქმეთათვის ნურასდროს ითხოვ;

ნუ ითხოვ, რადგან შენ თვითონ ხარ მისი მფლობელი, —
შენივ მსაჯული უმაღლესი და ულმობელი.
მოგწონს თუ არა, რაც შეჰქმენი წვითა და ლხენით?

თუ მოგწონს, მაშინ დაე გლანძღოს უგნურმა ბრბომა,
დაე მან ზიზღით მიაფურთხოს შენს წმინდა შრომას
და საკურთხეველს, სადაც ცეცხლი ანთია შენი...

თარგმანი რუსულიდან.

გეგეჭკორში დილით ჩავედით.

ცნობილი ამბავია, — „კოლხების ქვეყანას“ ეძახდნენ ძველი ბერძნები ეგრისის სამეფოს. ეს ძველთაძველი ქართული მიწა-წყალი ოდითგანვე განთქმული ყოფილა თავისი მშვენებით, სტუმართმოყვარეობით, ზღაპრული სიმდიდრით... ოქროს საწმისი ხომ აქაურია! მეფე აეტის სტუმართმოყვარეობაც აქაურია, რითაც ასე მუხანათურად ისარგებლა იაზონმა — ბერძენმა მეკობრემ.

„ნუ გაქრება ლაზების სახელი, ვაჟკაცებო!“ — მოუწოდებდა მეფე გუბაზი თავის მეომრებს სპარსელებთან ბრძოლის წინ. მეფის უმაგალითო გმირობით აღფრთოვანებულმა კოლხმა მეომრებმა გრიგალივით გადაიარეს სპარსელთა რიგებზე. სიამაყე გეუფლება კაცს ამის გახსენებისას. ქართველი კაცი ბრძოლით ინარჩუნებდა საკუთარ მიწა-წყალს.

• • •

კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა წარსულზე, მაგრამ ის საოცარი დღევანდელობა — სულის მოთქმად და შვებად რომ აქცია მრავალჭირგადანახადი ქართველი კაცის ცხოვრება, ყოველ ნაბიჯზე ახალ-ახალი მიღწევებით, გამარჯვებებით, ადამიანის ბედზე ზრუნვითა და სხვა შესანიშნავი ამბებით გიზიდავს თავისკენ.

სოფელ სერგიეთის მეცხოველეობა-მერძევეობის კომპლექსის მმართველმა როლანდ არახამიამ უბრალოდ და თბილად თქვა მშრომელი კაცის შესახებ:

— ადამიანებს მოსწონთ კარგი ცხოვრება, მაგრამ გულისხმიერება ყველაფერს ურჩევნიათ. მშრომელ კაცს სიყვარული და მზრუნველობა არ უნდა მოაკლდეს. ლამაზი სოფლები, მიღწევები, ახალი წარმატებები და კიდევ მრავალი სხვა, რაც ადამიანისთვის კეთდება, ყველაფერი კარგია, მაგრამ გულისხმიერებაა მაინც ყველაზე მთავარი, რადგან კაცი გულიდან იწყება.

მშვენივრად თქვა როლანდმა. კაცი მართლაც გულიდან იწყება. შემდეგ კი კაცის გულიდან იწყება ყველაფერი: მამულისა და საქმის სიყვარული, პატიოსნება, ერთგულება, მოვალეობა...

* * *

ბევრი რამ ვნახეთ, მაგრამ ყველაფერს ვერ აღვნიშნავთ, მხოლოდ არსებითსა და მთავარზე შევჩერდებით.

ერთობ საინტერესო იყო გეგეჭკორის ჩაის საწონი ფაბრიკის დათვალიერება. ფაბრიკა მწყობრში ჩადგა 1982 წელს. მისი კოლექტივი თითქმის მთლიანად ახალგაზრდულია.

ფაბრიკაში პირველ რიგში კეთდება კუპაჟი — სხვადასხვა სახის ჩაის ერთ სახეზე დაყვანა, მერე ხდება დაფასოება, ყუთებზე თავის მოჭედვა, დაღალვა.

ფაბრიკის დირექტორი — მურმან ინჯგია — სიმპათიური, წარმოსადეგი, ახალგაზრდა კაცი, გონებამახვილი და ენაწყლიანი მოსაუბრე, ინტელიგენტი — განათლებული, ღრმად ჩახედული თავის პროფესიაში.

ვსაუბრობთ მურმანთან.

თანდათან იკვეთება გაკეთებული და გასაკეთებელი — ის, რაც უმოკლეს დროში უნდა განხორციელდეს. ფაბრიკაში მალე დაიდგმება „ორსკის“ ტიპის მოდული (ოღონდ საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტმა არ უნდა დააყოვნოს მისი გადაცემა ფაბრიკისთვის), ამის შემდეგ ფაბრიკის მუშაობა მთლიანად გადავა ავტომატიზაციაზე. ფაბრიკას საშუალება ექნება, რაიონის ნედლეული მთლიანად ადგილზე გადაამუშაოს. კარგი პერსპექტივებია, მაგრამ გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ მზა ნაწარმის ტრანსპორტირება ძალზე გაუძნელდებათ. ფაბრიკას ყოველდღიურად, საშუალოდ, ოცდახუთი სატვირთო ავტომანქანა დასჭირდება, რათა მზა პროდუქცია გადაზიდოს ცხაკაიაში, საიდანაც ქართული ჩაი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში გაიგზავნება.

ვფიქრობთ (ფიქრი დიდ ცოდვად არ ჩაეთვლება კაცს), კარგი იქნებოდა, თავისი რკინიგზის პატარა ჩიხი ჰქონოდა ქ. გეგეჭკორს. ეს კი პროდუქციის შემოტანისა და გატანის საქმეს მნიშვნელოვნად გააიოლებდა. შეიძლება ვილაცამ იფიქროს, — ეს ამბავი დაკავშირებულია დიდ სახსრებთან, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ სახსრებს, რაც წლების განმავლობაში დაიხარჯება ჩაის ნაწარმის გეგეჭკორიდან ცხაკაიაში გადაზიდვისათვის — ალბათ ბევრად უფრო ხელსაყრელი და იაფი იქნება ყველაზე დაახლოებული პუნქტიდან გეგეჭკორში რკინიგზის შეყვანა...

მურმანმა ეტიკეტის ახალი სლაიდი გვიჩვენა. მასზე გამოსახულია მარტვილის მონასტერი მწვანე თხემის ფონზე. მაისის თვეში მოკრეფილი „მწვანე ოქროსაგან“ ფაბრიკა დაამზადებს სუვენირულ ჩაის — „მარტვილი“, რომელსაც ზემოთ ნახსენები ეტიკეტი გაუკეთდება.

მართალია, ფაბრიკა რამდენიმე თვეა რაც მუშაობს, მაგრამ უკვე ნათლად ჩანს წარმატებათა მკვეთრი კონტურები. არიან მოწინავეებიც, მათ შორის პირველ რიგში უნდა და-

# კარგი [illegible]

ვასახელოთ ახალგაზრდა მუშა ქალიშვილები: ქეთევან ხარებავა, დოდო წულაია, ნარგიზა ბჟალავა...

— ჩვენ ჯერ ისტორია არ გვაქვს, მხოლოდ ვიწყებთ მის შექმნას და, ცხადია, ვცდილობთ, კარგად დავიწყოთ, — გვეუბნება მურმან ინჯგია და დასძენს: კარგ დასაწყისს, ამბობენ, კარგი დასასრულიც აქვსო! ჩვენც ამ გზით ვფიქრობთ წავიდეთ.

თუ მონდომებას საქმის ცოდნა და სიყვარულიც წაეშველება, ჩანაფიქრი უსათუოდ ნაყოფს გამოიღებს.

* * *

კოლხეთში დიდმა ილიამ ბრძანა: — საქართველო ვნახეო!.. ჩვენ ვფიქრობთ, ახლა რომ ენახა, რაღას იტყოდა უგვირგვინო მეფე საქართველოსი!

დავდივართ ამ მადლიან მიწაზე, ვხედავთ საქართველოს— გამშვენიერებულს, გალამაზებულს, განახლებულს. ენაცვლება ერთმანეთს ჩაის მწვანე ბუჩქები, შვრიის აბიბინებული ჯეჯილები, სასიმინდე ნახნავები, ზვრები თუ დაფნის ხეები.

ლეხაინდრაოს კოლმეურნეობის კანტორას მივადექით. პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი თემურ კაკულია გვეუბნება:

— კოლმეურნეობის თავმჯდომარე გივი კალანდია ერთი წელიც არაა, რაც აირჩიეს, მაგრამ უკვე იგრძნობა, საქმეს კარგი პირი უჩანს...

თავმჯდომარის კაბინეტში გაცხოველებული სჯა-ბაასი ჰქონდათ. მაგიდაზე სქემები, მაკეტები, ბუღალტრული ანგარიშები, გეგმები გაეშალათ. სამუშაოების შესრულების შედეგებს აზუსტებდნენ.

გივი კალანდიამ დაწვრილებით გაგვაცნო საქმის ვითარება. კოლმეურნეობა მომზადებული შეხვდა „მწვანე ოქროს" სეზონს. მრავალი მნიშვნელოვანი საქმე კეთდება სოფლისთვის, გლეხკაცისთვის. კოლმეურნეობამ წელს თავისი ტექნიკით, როგორც საკოლმეურნეო მინდვრები, ასევე მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთები ერთდროულად მოხნა. მიმდინარეობს სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა, დაწყებულია აბანოს მშენებლობა, მალე შეუდგებიან გზების შეკეთებას. პირველი სექტემბრიდან ლეხაინდრაოს საშუალო სკოლაში გახანგრძლივებული ჯგუფებისათვის კოლმეურნეობის ხარჯზე შემოიღებენ ბავშვთა უფასო კვებას. რაც ჩამოვთვალეთ, ცოტა როდია, მაგრამ გივი კალანდია თვლის, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია.

— კარგი დასაწყისია, — ვამბობთ ჩვენ, — იმასაც თუ დავუმატებთ, სამოცი ჰექტრის ნაცვლად შვრია ას სამოც ჰექტარზე რომ დათესეთ, ასი სული ლატვიის წაბლა დეკეული რომ ჩამოიყვანეთ და გასულ წელთან შედარებით რძის წარმოება ოთხჯერ გაიზარდა, აგრეთვე, 1125 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის ნაცვლად 1400 ტონის მოკრეფას რომ ფიქრობთ, 200 სული პირუტყვის ტევადობის ფერმის მშენებლობა რომ გაქვთ გადაწყვეტილი, — ცუდი დასაწყისი როდია! არც ის უნდა გამოგვრჩეს, ნაშვრიალზე სიმინდის დათესას აპირებთ, ეს კი საკვების მტკიცე ბაზას შეუქმნის კოლმეურნეობას...

ასე რომ, კოლმეურნეობაში საქმე თანდათან ფართო მასშტაბებს მოიცავს, თანდათანობით იკვეთება მომავალი დღეების სახე, ჩნდება ახალი სურვილები, წარმატებათა ნათელი კონტურები.

კოლმეურნეობას ჰყავს მრავალი მოწინავე ადამიანი — მათ შორის, აღსანიშნავია, მეჩაიეები — ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ნადია ქაჯაია, ციალა კუპრავა, ვარდო დანელია, მესიმინდე ვარლამ ქაჯაია, მწველავი დარეჯან ბართაია, მექანიზატორები — მამა-შვილი ილიკო და ვალიკო დანელიები, ვლადიმერ ხაინდრავა და სხვები.

• • •

ის იყო ნაჯახაოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე აბესალომ წოწონავა კაბინეტიდან გამოდიოდა, ჩვენც მივედით.

— სიმინდის თესვას ვამთავრებთ და მინდვრების დასახედავად მივდიოდი, — გვითხრა აბესალომმა.

აბესალომიც ახალგაზრდა კაცია. ესეც იმაზე მიგვანიშნებს, რომ რაიონში ახალგაზრდა კადრების დაწინაურების ტენდენცია იგრძნობა. ცოდნა, საქმის სიყვარული, ახალგაზრდული შემართება და ენთუზიაზმი საერთოდ წარმატების საწინდარია.

ამ კოლმეურნეობას მრავალი მოწინავე მშრომელი ადამიანი ჰყავს. მაგალითად: დარეჯან დანელია, თვალჩინა იმნაიშვილი, ვარდო ქაჯაია... განსაკუთრებით აღსანიშნავია შალვა ლამქარავას სასახელო შრომითი საქმიანობა. მარტო გასულ წელს მან 12 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა.

სოფელი კარგად ცხოვრობს, მაგრამ მშრომელები გულისტკივილს გამოთქვამენ ზოგიერთ მოუწესრიგებელ საკითხზე. მაგალითად, დიდი ხანია გამოცვლას საჭიროებს ელექტრობოძები. იმედია, რაიონის ელქსელის ხელმძღვანელობა, რომელსაც ეს საქმე უშუალოდ ეხება, მშრომელთა სამართლიან გულისტკივილს გაითვალისწინებს...

...ვინახულეთ ნაგვაზაოსა და ხუნწის კოლმეურნეობები და სალხინოსკენ ავიღეთ გეზი. გზადაგზა გავიარეთ ამწვანებული გორმახები, ჩაის ზურმუხტოვანი პლანტაციები, კოინდარით დამშვენებული სოფლები.

სალხინოს შესასვლელში შინმოუსვლელთა ხეივანი მიუყვება გზისპირებს. ამ აშოლტილი ჰადრების ხეივანში მწარე გულისტკივილი გეუფლება კაცს: სად ჰყავდა ამდენი დასაკარგავი შვილი საქართველოს!..

დიდი პერსპექტივები დგას სოფლის წინაშე. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლოგე წულაია და პარტორგანიზაციის მდივანი ნონა სხულუხია დაწვრილებით გვაცნობენ სოფლის ავ-კარგს.

სოფელს აქვს ორი საშუალო, ერთი რვაწლიანი, ორი დაწყებითი სკოლა და სკოლა-ინტერნატი. სოფელში მუშაობს რამდენიმე საწარმო. მალე აშენდება მინერალური სასუქის ზონალური საწყობი, წყალსადენი, ჩაის მიკროფაბრიკა, დაიწყება მეცხოველეობის ფერმის რეკონსტრუქცია.

...მარტვილიდან ხელისგულივით მოჩანს მწვანეში ჩამჯდარი გარემო. შორს გადაჭიმულ მინდვრებზე ვერცხლის ზოლივით მიიკლაკნება მდინარე აბაშა, მხარმარჯვნივ ლაჟვარდისფრად მილივლივებს მდინარე ინჩხია.

მაღალ ბორცვზე დგას მეშვიდე საუკუნეში ნაგები მარტვილის მონასტერი — ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საოცარი ქმნილება. მის ადგილას ქრისტიანობამდე მუხის (ჭყონის) ხე მდგარა, შემდგომ იგი მოუჭრიათ და ეკლესია აუშენებიათ. (ამიტომაც) ამ ადგილს კარგა ხანს ჭყონდიდი რქმევია (ხომ გახსოვთ დავით აღმაშენებლის აღმზრდელი გიორგი ჭყონდიდელი) შემდეგ კი, მონასტრის გავლენით, სოფელს მარტვილი ეწოდებოდა...

* * *

სერგიეთში მეცხოველეობა-მერძეულობის კომპლექსს გავეცანით. ვნახეთ სახბორეები, საქონლის მექანიზებული სადგომები, ვესაუბრეთ მწყემსებსა და მწველავებს.

კომპლექსში 800 სული საქონელი ჰყავთ (ბაგური წესით კვებავენ), მათ შორის 250 სული მეწველია. დღეში 1800 კილოგრამ რძეს წველიან.

ჰყავთ მრავალი მოწინავე მწველავი, მეხბორე-მომვლელები, რომელთა შორის უნდა აღინიშნონ: ნინო ჯღარკავა, ვენერა ზარქუა, შოთა ხარბედია, ვაჟა ბარათელი, ემხვარ კანკავა, თამარ კანკია, ომარ გაწერელია...

კომპლექსის მმართველი როლანდ არახამია დაფიქრებული, დინჯი და საქმეში ჩახედული ახალგაზრდა კაცია. მან კომპლექსის თითოეული მშრომელის აზრი, გულისტკივილი, სიხარული თუ წუხილი ზედმიწევნით იცის. ხედავს მათ ცხოვრებას, მათ საქმიანობას და ყველას და ყველაფერს გულისხმიერად ეკიდება. ასეთი კაცები (თუ ზემოთ თქმულ მისსავე სიტყვებს გავიმეორებთ) გულიდან იწყებიან...

ნახულით, განცდილით, მოყოლილით კმაყოფილნი ვბრუნდებით დედაქალაქში. მოვდივართ და, არ დაგიმალავთ, ხინჯი მოგვყვება:

ვერა და ვერ ვნახეთ ის ერთი ვაჟკაცი, რომელზეც გვესაუბრნენ, ყველგან აქეს და დალოცეს.

სიტყვა რას გვიქვია! საქმე ვნახეთ, რაიონში მისი დაუღალავი შრომითა და ძიებით წარმოჩენილი საქმე.

რას იზამ — სოფლის საქმეების წინ წასაწევად დედაქალაქში იყო გაგზავნილი საქართველოს კომპარტიის გეგეჭკორის რაიკომის პირველი მდივანი ირაკლი მოწერელია.

ალუდა არაბული,
რევაზ დანელია,
„დროშის" სპეციალური კორესპონდენტები.

# ზაურ ბოლქვაძე 50


ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო ზაურ!

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან შესანიშნავ ქართველ პოეტს, ღირსეულ მამულიშვილს და მოგილოცავენ დაბადების 50 წლისთავს.

1951 წელს გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსი „ნუ შეეხებით, სასიკვდილოა" გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში". მას შემდეგ სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა. ამ ხნის მანძილზე ბევრი შესანიშნავი ნაწარმოებით გაახარეთ ქართველი მკითხველი, რომელმაც შეიყვარა და გაითავისა თქვენი შემოქმედება...

თქვენი პოეტური კრებულები „ღელვის დასაწყისი", „ლექსები", „საქართველოს სასიცოცხლოდ", „მიწის სიმწვანე", „ვარსკვლავები" და სხვ. სარგებლობს მკითხველი საზოგადოებრიობისა და სალიტერატურო კრიტიკის აღიარებით. თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშებმა, რომლებიც თარგმნილია რუსულ და საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხთა ენებზე, საკავშირო მკითხველის მოწონებაც დაიმსახურა. თქვენი ლექსები თარგმნილია აგრეთვე პოლონურ, ბერძნულ, ფრანგულ, ინგლისურ ენებზე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი მოღვაწეობა სატირისა და იუმორის ჟანრში. თქვენი სატირულ-იუმორისტული კრებულები „დახასიათება", „ხმალს დავემსგავსოთ ალესილს", „დღეს პირველი აპრილია", „ახალგაზრდა რობოტის ვნებანი", „სიბრძნე სიცილისა" და სხვა დიდი პოპულარობით სარგებლობს...

თქვენ მრავალი კარგი თარგმანით გაამდიდრეთ ქართული ლიტერატურა...

წლების მანძილზე ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევით. სხვადასხვა დროს მუშაობდით გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" პასუხისმგებელ მდივნად, ჟურნალ „ცისკრის" ლიტერატურულ მუშაკად, ჟურნალ „ნიანგის" პასუხისმგებელ მდივნად და მთავარი რედაქტორის მოადგილედ. ამჟამად ჟურნალ „ნიანგს" რედაქტორობთ და თქვენი წვლილი შეგაქვთ ჟურნალის იდეურმხატვრული დონის ამაღლებაში...

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატი მთელ თქვენს ძალასა და ენერგიას მშობელი ხალხის, მშობელი ქვეყნის სამსახურს ახმართ.

ძვირფასო ზაურ!

კიდევ ერთხელ გულითადად მოგესალმებით, გილოცავთ სახელოვან იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალი შემოქმედებითი მწვერვალების დალაშქვრას საქართველოს სადიდებლად.

---

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მისალმებიდან.

## მრავალჟამიერ

ჩემი მეგობარია იგი, განუყრელი მეგობარი...

როგორც ზაურ ბოლქვაძე უპოეზიოდ ვერ იცოცხლებდა, ვერც მე ალბათ უზაუროდ. იგი ჩვენს საძმოში და ჩვენს სადროშოში პოეზიის ხარისხში აყვანილი კაცია.

ერთგულება გინდა? ზაურ ბოლქვაძისნაირ კაცს უნდა დაუმეგობრდე. ქირისუფლის ცრემლი? ზაურმა იცის ცრემლის ფასი, მოკლედ, განუყრელია იგი მეგობრისათვის.

მის სახელსა და გვარს, მის პიროვნებას, პირადად ჩემთვის, ერთი რამ ძალუმად ამშვენებს — მტრობა არ იცის, ჩემის ღრმა რწმენით, არც თავად ჰყავს მტერი — და თუ ვინმე მტრობს, შეიძლება მეგობართა გამო.

1961 წლიდან მოყოლებული, ჩემთვის მახლობელი მისი პოეზია საქართველოს მზისა და მთვარის მოთაყვანეა, ყველაზე უფრო კი ზაურის პოეზიაში იცით რა მიყვარს — უკანასკნელ თოვლზე საუბარი და არა პირველზე, ქარიშხლით მკვდარი წეროების სევდა, რომელთაც გაფრთხილებად გაჰყოლიათ ჩამორჩენილ წეროთა ბედი და არა, ნიადაგგამოცლილი, გალაღებული სიმღერა, რომელსაც არ ძალუძს დაეუფლოს პოეზიის უსაზღვრო სივრცეს.

„ორმოცდაათიანელთა" საძმოში უკვე ბოლომდე ჩაწერილი ზაურ ბოლქვაძე ღირსეული მემკვიდრეა მშობლიური მიწისა, ღირსეული მემკვიდრეა მშობლიური წინაპრებისა, ღირსეული მეუღლეა და ღირსეული მამა.

მივულოცოთ ნახევარი საუკუნე...

მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ!

ჯანსუღ ჩარკვიანი

## სალაღოგოდ ზაურ ბოლქვაძეს

მომავალ, 1993 წელს გასამართავ
საიუბილეო საღამოზე წასაკითხად.

უპირველესად მგოსანს,
უპირველესად ქართველს,
ლომს ლომობაში რომ ჰგავს,
სულით და ხორცით ჯანმრთელს,

თვალს რომ უსწორებს ყველას,
თავს რომ ყველაფერს ართმევს,
ლექსად რომ გასცემს გულს და
შუქად რომ აქცევს სანთელს.

რაინდს, ო, რომლის ვალი
ცას და ქვეყანას მართებს,
მრუდს რომ უწოდა მრუდი,
კვლავ რომ არ ჩქმალავს
სათქმელს, —
ქუდს მოწიწებით ვუხდი,
ხელს ვაჟკაცურად ვართმევ!

ძმური სიყვარულით

მორის ფოცხიშვილი.

## შენით ვამაყობთ ყველანი

ორმოცდაათი წლის გახდი, მართავ სამოცი წლის „ნიანგს",
იმდენი თავზე თმა გქონდა, რაც შენ სიკეთე გიქნია.

სიყვარულის და სიკეთის დაგიდგამს დიდი კალო და
შენი მიბაძვით, „ნიანგში" ბევრი ბოკვერი გალომდა.

სტუდენტობისას გრგვინავდი, ლექსებით ჰქუხდი მაშინაც,
მადლობა ჯვებე დუმბავას, პირველმა აღმოგაჩინა!

იყავი პ/მგ მდივანი და მოადგილე უზადო,
„ნიანგს" შენსავით მუშაკი, ღმერთმა, დე, ბევრი უზარდოს!

შენს სატირას და იუმორს მკითხველნი ხარბად ელიან,
ბევრი ნატრობს და კითხულობს: „ვინ არის ბათუ მელია?"

თვითონ „ნიანგი", შენს ხელში, ანტიპოდებთან ტიტანობს...
ლექსებს მაშინაც გვიბეჭდავ, თუნდ სულაც არ მოგიტანოთ...

ჩვენთან რომ ხუთი გურული მუშაობს, იცის ქვეყანამ,
„ნიანგი" ჩოხატაურში არ სჯობდა გადაგვეტანა?

როს სალაღობო სტრიქონებს გვიწერ სხვა სტილის, სხვა მოდის,
შენი ყოველი ექსპრომტი ხარისხის ნიშნით გამოდის.

ბრწყინავ სატირის მახვილით, ხან ფელეტონით, ხან — ლექსით,
ანტიპოდებთან ბრძოლაში „ხმალს ემსგავსები, ალესილს!"

გვფენ ღიმილსაც და ლექსის მადლს, რადგან ნიჭი გაქვს ასეთი,
შენით ამაყობს დღეს „დროშა" და ყველა ჟურნალ-გაზეთი.

საქართველოა შენი მზე, შენი დარიც და ავდრებიც,
ლექსებშიც მისთვის იწყები, ლექსებშიც მისთვის თავდები!

დე, დიდხანს გევლოს ლექსებით და იუმორის ციმციმით,
ბევრჯერ გვახარე ასე და ბევრჯერ დაგვწყვიტე სიცილით!..

რომ გეხუმრები თამამად, არ მოგივიდეს გული და,
შენს კარგ ელისოს გაფიცებ, არ მომხსნა სამსახურიდან!

ვანო ცინცაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



კონსტანტინე გამსახურდია

საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი კორნელი სანაძე.





# ფოტოობიექტივით იაპონიაში

ოთარ თურქია










ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოკიოს გარეუბანში.

ტოკიო. გინზას ქუჩა.

სამხარი ტოკიოს ქუჩაზე.

მალამო

ჰიროსიმა. ატომური ბომბის ნაკვალევი.

ტკბილი სიზმარი.

ჰიროსიმელი გოგონას — სადახოს ძეგლი.

სტუდენტობა.

ჰიროსიმას მსხვერპლი.

ნორჩი იაპონელები.

შეხვედრა.

ერთად საყიდლებზე.

საიგულების ოსტატი.




ეროვნული ბიბლიოთეკა












ეროვნული ბიბლიოთეკა





მეუღლის პორტრეტი.

# კორნელი სანაძე

საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი

მანანა.

აწყურის ციხე.



# დავე და ვანე



მზია ხეთაგური

მოთხრობა

საქორწილო სუფრა. დავემ მინდვრის ყვავილები მოაბნია ნეფე-პატარძლის წინ და მკლავებით წრე შემოხაზა ჰაერში. სიცილი.

— უი, შენ კი დაიწვი, დავე, შენა, აჰაა!

— უი, შენ კი მოისპე, დავე, რა მასხარა ხარ, ქა!

— დავე, როგორ იყო შენი და ვანეს სიყვარულის ამბავი?

დავეც დიდი გატაცებით ყვება თავისი სიყვარულის ამბავს:

— ჰოდა, მოვდიოდი ამ სოფლის გზაზედა. ერთი დანჯღრეული ქოხიდანა ვიღაცამ დაიძახა: ვინა ხართ, ხალხო, წყალი დამალევინეთო. მე შევედი და ვხედავ, კაცი წევს. დავალევინე წყალი და ვხედავ, ხეიბარია. მერე ეს კაცი მეკითხება, ჩემთან დარჩებიო? მე კიდევა — დავრჩები-მეთქი და დავრჩი.

— ხო მაგრა გიყვარს ვანეი, ჰა, დავე?

— მა არ მიყვარს?

— იმასა?

— მაშა!

— ჰოდა, ტრისტან და იზოლდასავითა ყოფილა თქვენი საქმე.

დავე ნაზად იღიმება.

— დავე, ნეფე-პატარძალი დალოცე. შენი „პადარკა" ძაან მოეწონათ და აბა შენ იცი! — დავე თავის მირთმეულ, სუფრის შუაგულში დაფენილ მინდვრის ყვავილებს ფრთხილად აკრეფს, გულზე მიიხუტებს, ღვინის ჭიქას ლამის ახალგამოსულ მთვარემდე ასწევს და ილოცება: ემ მთვარესავით გაგბადროთ ღმერთმა. რაც გინდოდეთ, ის მოგცეთ. ისე გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე და ვანესა. ისე ლამაზად გეცხოვროთ, როგორც მე და ვანეი...

გამაყრუებელი სიცილი...

დავე მინდვრის ყვავილებს ამჯერად ეზოში მოფენს და მოწიწებით დასცქერის.

— მაშ ვანემ გითხრა დარჩიო და შენც დარჩი, ჰა?

— ხელი არა გაქვთ მოწერილი? — სიცილით იგუდება ვიღაც.

— ხელი კი არა და...

— მერე არ გეშინია, რომ მიგატოვოს ვანემა?

დავე ხითხითებს: სად წავა რა, ვერ დადის და... მერე სერიოზული სახე უხდება: — ცოდოა, ვერ დადის. კიდეც რომ გაიაროს, ვანე ჩემგან არ წავა.

— ხელი რომ არ მოგიწერიათ? მოგატყუებს იცოდე!

— მაშა! ეგ თქვენ იცით ეგრე! — გაბრაზდა დავე.

— რა ვიცით?

— რაცა!

— მაინც?

— ხელსაც მოაწერთ დიდი ამბითა, ქორწილსაც გადაიხდით ბაქი-ბუქით და... — დავე თვალს ნეფე-პატარძლისაკენ გააპარებს და გაჩუმდება.

— მერე, დავე, მერე? — ცნობისმოყვარედ ეკითხება მედოლე ბიჭი. დავემ ტუჩის კუთხეებში ცერი და საჩვენებელი თითები მოისვა, თვალები ზეცაში აღაპყრო და პოეტური ინტონაციით წარმოთქვა: ჩვენ არც ხელი მოგვიწერია, არც ქორწილი გადაგვიხდია და მთელი სიცოცხლე ერთმანეთის ჭირსა ვჭამთ. ჰო! — დავე უცებ გამხიარულდა — შენ დაუკა!

მედოლე ბიჭი ღრეჭვით უბრახუნებს დოლზე... დავე ცეკვავს. მექორწილეები ტაშს უკრავენ. მეზურნე ამთქნარებს, დაკვრა ეზარება. დავე უზურნოდაც იოლად გადის. დავეს აქეთ-იქიდან შეკითხვებს აყრიან, დავე ცეკვა-ცეკვით პასუხობს:

— რამდენი წლისა ხარ, დავე?

— რა ვიცი აბა, ჩემზე ამბობენ ეგა სამოცისა იქნებაო.

— სამოცისა კი არა და!

— რაკი ამბობენ ალბათა ვაარ!

— ომი გახსოვს, დავე?

— ჭირმა კი წაიღო იმისი თავი! მამაჩემი ომში არ დაზარალდა?! ფეხები რუმბებივით გაუხდა, აი, ამოდენები! — დავე ხელებს მთელ სიგანეზე შლის — მე ვუზელდი ფეხებსა, მაგრამ მაინც მოკვდა.

— დედაშენი სად იყო?

— ჯანდაბაში! რავი მე, დადიოდა აქეთ-იქითა! — დავემ ცეკვის რიტმს მოუმატა.

— მაშინ რამხელა იყავი, დავე?

დავე 7-8 წლის გოგოზე უთითებს:

— აი ამოდენაი.

— თუ ომის დროს მაგხელა იყავი, მაშ ორმოცი წლისა თუ იქნები.

— ორმოცისას ისევ სამოცი მირჩევნია. ორმოცი მიცვალებულებს უხდებათ! — სიცილი.

— რა ახალგაზრდა ყოფილხარ, დავე, აი ახლა ხარ გასათხოვარი. რომელი ბიჭი დაგიწუნებს, აქვე, ამ მექორწილეებში ამოირჩიე ვინც გინდა.

— მაშ, მერე ვანეი? — დაიჯერა და იუარა დავემ, მედოლე ბიჭს დოლზე დაუტყაპუნა ხელები და ნეფე საცეკვაოდ გამოიხმო.

— ვანე რაღად გინდა, ვანე იქნება სწორედ ბარე სამოცი წლისა, — ეცეკვება ნეფე. პატარძალი ტაშს უკრავს და სიცილით კვდება. ტაში გახურდა, მეზურნემაც, აქაოდა ნეფე ცეკვავსო, მთქნარება მოათავა და ზურნას ჩაჰბერა.

— რად გინდა ბებერი კაცი, ქორფა არ გირჩევნია? — შეუძახა დავეს მაყარმა და ნეფეს თვალი ჩაუკრა.

— არ ვუღალატებ-მეთქი, ვერ გაიგეთ? — ბუქნავს დავე.

— აჰა, დავე, კამფეტები, აი ნამცხვარიც მიირთვი! — აწოდებენ აქეთ-იქიდან. დავე ოთხსართულიან კაბას იწევს და სადღაც ინახავს.

— დავე სადაური სახელია? — კითხულობს ქალაქელი სტუმარი.

— დავესკა ჰქვია, — აუხსნა თმაქოჩორა ბიჭმა, — არ გაგიგონია, კარგ საქონელს რომ ვაუსაღებელ ნაჭერს დაადებენ ხოლმე?

— ახ, „დავესკა"? — მიხვდა სტუმარი.

დავე უფრო მოკლეა, „დავესკას" დაძახების თავი ვისა აქვს... — გაუცინა ბიჭმა.

— ე შეჩვენებული „დავესკა" კი არა, ლამის იმპორტული ტუფლია! — სიცილისაგან მაყარს ეხლება „პადრუგა":

ნეფემ დავეს ქაღალდის ფული ჩაუკუჭა. დავემ მაშინვე კაბის სართულებისაკენ გააქანა.

— მედოლეს მიე, დავე, სად მიგაქვს? — ვითომ გაბრაზდა ნეფე.

— იჰ, წავედი ეხლა, ვანე ცოდოა, მოშივდებოდა, — ვითომ ვერ გაიგო დავემ და ჩიტივით გაფრინდა.

— უყურე ერთი, დამკვრელების ფული არ შეიტყაპუნა! — მართლა ბრაზობს ოფლით გაწუწული მედოლე.

* * *

ქორწილის მეორე დღეა, მხიარული დროსტარებაა. მოღლილი პატარძალი ულიმღამოდ ზის. კაცები სვამენ.

— კამპანიას გაუმარჯოს! — ღობიდან ყვირის დავე.

— უჰ, დავე, რა შორიდან იძახი, მოდი; აჰა, გიტარა დაუკარი მარცხენა ხელით შენებურად! — დავე ღობეზე გადმოძვრა, გიტარა უკუღმა დაიჭირა, მარცხენა ხელით დოლივით დაუპარტყუნა და სიმღერაც დაიწყო:

ორი საზამთრო ვიყიდე,

ორივენი დიდებიო — უი, სათაური დამავიწყდა! — დავე ისევ თავიდან იწყებს.

* * *

გადის ერთი თუ ორი წელი. იმ ქორწილის ნეფე-პატარძალს ჩხუნკალი გაუბამთ და — გავიყაროთო... სახლის წინ საბარგო მანქანა დგას, ზედ პატარძლის მზითევი აწყვია. მძღოლს მანქანა ჩართული აქვს, ნეფე ზურგშექცევით დგას და გვერდიდან დაცინვით უყურებს სიდედრს, რომელიც კაბინაში ზის და ბავშვი უჭირავს. ბავშვს კისერი სახლისკენ ეღრიცება, სიდედრი მალი-მალ თავისკენ ატრიალებს. პატარძალმა სახლიდან დიდი ჩარჩოიანი სურათი გამოიტანა. სურათზე გედები და ნახევრად შიშველი ლამაზმანებია გამოსახული. სურათი იღლიაში ამოიჩარა, ხელით კი ვედროს დასწვდა. ვედროში ფეხსაცმლები

ყრია. მეორე ხელით კარებთან მიყუდებულ გიტარას და დახვეულ ხალიჩას დასწვდა. ქმარი უყურებს, როგორ ეწვალება ცოლი; მაგრამ თუთის ძირში დგას, არხეინად თუთას ჭამს და მიხმარებას არ აპირებს. ქალმა, როგორც იქნა, მანქანამდე მიაღწია; მძღოლმა ბღვერით შეხედა ნეფეს, მანქანიდან გადმოვიდა, ქალს ნივთები გამოართვა და მანქანის ძარაზე შეყარა. მერე სწრაფად დაჯდა საჭესთან. ქალმა ძარაზე ასვლა დააპირა, გაუჭირდა. ქმრის დამცინავი მზერა იგრძნო და შერცხვა. მოულოდნელად ამოჭრილმა ქარმა კაბა თავზე წამოაფარა. სურათზე გამოხატული ნახევრად შიშველი ლამაზმანები გაურკვეველი დამოკიდებულებით შესცქეროდნენ ქალის ნახევრადსიშიშვლეს. ქალმა მოახერხა და კაბა ცალი ხელით დააკავა. ქმარმა მძღოლს ისე შეხედა, თითქოს ანიშნა, შენი ბარგი — სულიერი თუ უსულო, — უკვე ადგილზეაო. მძღოლმაც დაიჯერა და ჩართული მანქანა უცებ დაძრა ადგილიდან. ქალი არ ელოდა, შეტორტმანდა და ძარაზე დადგმულ საწოლზე მოადინა ტყაპანი. ქმარმა დაუნდობლად გაიცინა და უცებ გამოჩენილ დავეს უტიფრად გადახვია ხელი. დავე თვალებმოჭუტული, სევდიანად გაჰყურებს მანქანას, რომელმაც გზაზე ავარდნილი მტვერივით წაიყოლა თან საწოლზე უმწეოდ დაგდებული სოფლის ყოფილი რძალი...

ამ დროს მეზობელ ეზოში ზურნა-დოლიც აჭყვიტინდა... ისევ ქორწილია სოფელში. დავეც რას გამოაკლდება — გულზე მიხუტებული მინდვრის· ყვავილებით დგას გაშლილ სუფრასთან და ილოცება: ისე გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე და ვანესა, ისე ლამაზად გეცხოვროთ, როგორც მე და ვანეი...

და კვლავ გამაყრუებელი სიცილი, რომელსაც ზურნა-დოლის ჭყვიტინი ფარავს.

— თავი შეაფარა ვანეს ქოხსა, თავი! უპატრონო იყო, უსახლკარო. — იტყვიან ხოლმე სოფელში დავეზე თორემ ვანე რა შესაყვარებელი იყო. ლოგინში წევს და კითხვის მეტი არაფერი შეუძლია.

— არა, ქალო, ისე უვლის ვანესა, ისე აქათქათებს, ქალაქელ ქალსაც გაუჭირდება ეგეთი სისუფთავე — იცავს ვიღაცა, მაგრამ ის, პირველი, არ ეპუება:

— უვლის, თორემ მაგასაც სულ „კრუქავიანი" ლოგინები აქვს! ძონძებში უწევს და იმას თუ ამოუჭეჭყავს ხოლმე...

— მოიცა ერთი! დავე რაში მეპიტნავება! მიდი, ტიკჭორაანთ რძალზე მითხარი — წელან რო დაიწყე და აღარ დაამთავრე!

ასე ორი სიტყვით მთავრდებოდა დავეს გაჭორვა, რადგან მისი არსებობით არც აკლდებოდათ რამე, არც ემატებოდათ.

შემოდგომა ისე არ ჩაივლის, რომ ერთი ქორწილი მაინც არ გადაიხადოს სოფელმა. ჰოდა, მუჭმუჭელაანთ ბიჭმაც დაადგა თვალი სოფლის მასწავლებლის გოგოსა. დაადგა და არც მოეშვა, სანამ იმათ კარზე გერმანული თოჯინით მორთული მანქანა არ მიაყენა. ქორწილი უფრო „კულტურული" დააპირა — ზურნა-დოლი არაო და ქალაქიდან ესტრადის არტისტები ამოიყვანა. გახურებული ქორწილის დროს ვიღაცამ იკითხა — დავე რა იქნა, რატომ თავისებურად არ დაილოცაო. ატყდა ერთი წიოკი, — რა ვქნა, ის შეჩვენებული, ორი დღეა არ გამოჩენილა, ნეტავი მოსაწვევ „ატრიტკას" ხომ არ ელოდებაო. მოდი, ბიჭო, გაიგე, ერთი რა სიკვდილი ეცა, რა თავს იფასებს, უიმისოდ ქორწილი აბა რა ქორწილიაო. სიცილ-სიცილით დააბარეს მეოთხე კლასელ ბიჭსა, რომელიც გაგზავნა-გამოგზავნაში ძალიან მარდი იყო. ისიც გაიქცა და მალე უკან ამობრუნდა. გაოგნებული და თვალებდაჭყეტილი გაჩერდა ერთ ალაგას და ხმას ვერ იღებდა. როდის-როდის გაახსენდათ, რომ დავეს დასაძახებლად იყო ეს ბიჭი წასული და ჰკითხეს.

— რაო, იმ სამიწემ, რა თქვა, არა მცალიაო?

ბიჭმა ოფლიან შუბლზე ხელი მოისვა და ძლივს ამოილუღლუღა: დავეც მკვდარია და ვანეცაო.

ეს ისე მოულოდნელი იყო, რომ ტიკჭორაანთ ანიკომ ბიჭს შუბლზე ხელი მიადო, სიცხე ხომ არა გაქვსო. ბიჭმა ანიკოს ხელი უხეშად მოიცილა და გაიქცა. ანიკოც გაეკიდა. ანიკოს ორიოდე ქალი აედევნა. იმათ უკვე ნასვამი კაცებიც გამოეკიდნენ და ხალხიც თანდათან უნებურად იმათ გზას გაჰყვა. ვერავინ გაიგო, რა მოხდა, მაგრამ მაინც გარბოდნენ. დავეს სახლი სოფლის ბოლოში იდგა. სახლიდან ჩამი-ჩუმი არ გამოდიოდა. ანიკო შედგა. ბიჭი კი მაინც გარბოდა. სახლში შევარდა, ცოტახანში კარებში გამოჩნდა ჭირისუფალივით თავდახრილი. ანიკო და ქალები ნელა-ნელა დაიძრნენ, ოთახში შევიდნენ და გაშრნენ: ვანე სუფთა, გაქათქათებულ ლოგინში მშვიდი და გაპარსული სახით გულხელდაკრეფილიყო. ნიკელის საწოლის გარშემო ყვავილების ქოთნები ეწყო. მიწის იატაკზე საწოლთან ჭრელ ფარდაგზე დავე იწვა ვანესაკენ გადახრილი. ფარდაგზე სისხლის პატარა გუბე იდგა, იქვე ძველებური ხანჯალი ეგდო. იქვე ეწყო ფულიც. ქალები ერთხანს ხმას ვერ იღებდნენ. მერე ამოძრავდნენ და აფუსფუსდნენ. ხმამაღლა ვერ ლაპარაკობდნენ, რატომღაც ჩურჩული დაიწყეს.

— ვანე მოკვდა, ამას კი თავი მოუკლავს...

— ხანჯალი დაუცია გულზე...

— ლობიო და ბრინჯი გადაურჩევია...

— ჩვენი იმედი არ ჰქონდა და ქელეხისათვის გაუმზადებია.

-- ფულიც დაუტოვებია, ხალხო...

— თავი მოუკლავს, თავი...

— უიმე, ერთი კინო ვნახე, ესე იკლავს თავს ერთი გოგო, შეყვარებული რომ უკვდება.

— ჰო, მეც მახსოვს.

— ისა ცამეტი თუ თოთხმეტი წლის გოგოა...

— იქ ბიჭისა და გოგოს მშობლები სამტროდ იყვნენ გადაკიდებულები და ნება არ დართეს, ჯვარი დაეწერათ...

— მოიცათ, რა დროს კინოა... მიცვალებულებს მივხედოთ.

— როგორ ჰყვარებია ვანეი...

— ეს საცოდავი, ესა, გიჟი მეგონა და...

— სიყვარულით გაგიჟებული არ გინახავთ?

— მოიცათ რა დროს ხუმრობაა.

—ე ქორწილი კი ჩაგვიშხამა დბ...

— მოვიტანოთ ქორწილის ხორაგი და ქელეხიც ის იქნება...

— მაგ ენას ცეცხლი!

— მა თუ დავე არ იქნა, ის რა ქორწილია.

— ყბად ნუ გადაიქეცით! მიაწყ-მოაწყეთ აქაურობა!

— რა მიწყობა უნდა! დავეს ყველაფერი წინდაწინ გაუმზადებია.

— ყვავილებიც რომ დაუწყვია...

— გვერდზედაც რომ მისწოლია ვანესა...

— ვახ, ზუსტად ისე არა წევს, იმ კინოში რო იყო!..

საქართველოს სსრ ლიტერატურისა
და ხელოვნების დღეები მოსკოვში



მოსკოვი. დიდი თეატრი.

მოსკოვი. მონუმენტი — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წელი.

მონუმენტის ავტორია საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ზურაბ წერეთელი, ხოლო არქიტექტორი — პოეტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ანდრეი ვოზნესენსკი.



# შვიდი საღამო კორნელი სანაძესთან

რევაზ მიშველაძე

— დიდებულად, მაგრამ სადაა. ჩვენში სამხატვრო კრიტიკა თითქმის არ არსებობს. არა და როგორ გვჭირდება. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის არა ვარ შეფასებული. ჩემს შემოქმედებაზე ორიოდე სტატიის მეტი არაფერი დანერილა. გიკვირთ?

— დიახ.

— სამწუხაროა, მაგრამ ასეა. იქნებ მე შესაფასებლად არ ვღირვარ ზოგი „ხელოვნებისმცოდნის“ თვალში, მაგრამ, არ გაგიკვირდეთ, ასევე შეუფასებელია ბევრი მხატვარი. არ გამამხილოთ და კრიტიკოსებმა ერთიდაიგივე სახელების ამოჩემება იცით. თუ მხატვართაგან ვინმეზე რამე დაინერა, მხოლოდ ფიროსმანსა და გუდიაშვილზე. სწორედ გამიგეთ, დაინერა და სრულიად სამართლიანადაც. სხვებზე? აი, რატომ ვამბობ, რომ სამხატვრო კრიტიკა არა გვაქვს. საიუბილეო სტატიები ან სახუთნლედო გამოფენათა საზეიმო მიმოხილვები სამხატვრო კრიტიკა არ არის. ხომ მართალია?

— ჭეშმარიტს ბრძანებთ. მიუხედავად ყოველივე ამისა, თუ გაუკრიტიკებიხართ მაინც.

— საქმიანად და საბუთიანად არა, უსაგნოდ და უსაბუთოდ კი. ერთხელ გუდიაშვილი და მე გვიხმეს ერთ რედაქციაში და გვითხრეს; მითითებაა, ხვალ ორივემ გაზეთის ფურცლებიდან პირობა უნდა დადოთ, რომ ფორმალისტები აღარ იქნებითო. ახალგაზრდები ვიყავით. მართლაც, გამოვაქვეყნეთ ასეთი ნერილი. დრო იყო, შეგვეშინდა. თუმცა მე რომელი ფორმალისტი გახლდით. კიდევ ერთი შემთხვევა მახსოვს. ზეთში დავხატე „იმერეთი“. ბრონეულები იყო ნინა პლანზე. ერთმა ხელმძღვანელმა ამხანაგმა გამოფენის გახსნის ნინ სერიოზულად მირჩია (მთლად რჩევასაც არ ჰგავდა): სასურველი იყო, ბრონეულის მაგივრად ფორთოხლის ბაღი დაგეხატათო. ბევრი ვუმტკიცე, მე ნითელი და მნვანე ფერის ჰარმონია მაქვს და მნვანე და ყვითელი ერთმანეთს მაინცდამაინც არ მოუხდება-მეთქი. შუბლი შეიჭმუხნა და გამშორდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩემს „იმერეთს“ არ გამოფენდნენ. ასეც მოხდა. ესაა კრიტიკა? არა და როგორ მინდა ხანდახან, ვინმემ მირჩიოს, ნაკლზე მიმანიშნოს. რემბრანდტი ნახატს რომ დაამთავრებდა, გამოვიდოდა ქუჩაში, პირველივე შემხვედრს შეიყვანდა და ჰკითხავდა, მოგნონს თუ არაო. ყველაზე პირუთვნელად უბრალო გამვლელი გეტყვისო, ამბობდა თურმე.

— განა კრიტიკა არ იყო, ერთ დროს ფორმალიზმი რომ ცაში აიყვანა? აი, თქვენ ბრძანებთ, რომ ფორმალიზმს ვერ იტანთ. რა ვუყოთ აბსტრაქციონისტებს, როგორ უცქერით ფრანგ იმპრესიონისტებს?

— იცით რა, იმპრესიონისტებს ახლა თავი დავანებოთ, ისინი გენიოსები იყვნენ და სკოლა შექმნეს, რაც შეეხება აბსტრაქციონიზმს, მე ყოველგვარი ნიჭიერება მხიბლავს. მხატვრული სიახლე მოსანონი როგორ არ არის, მაგრამ სიახლეცაა და სიახლეც. ყალბი ფორმალიზმით ადვილად შეიძლება მნახველის შეცდენა. რებუსური ნახატი არ მნამს. მე რომ ნახატს ვერ გავიგებ, ის ნახატი არაა. იცი საიდან ინყება მხატვრობა? ფრჩხილების ხატვიდან. თუ ხატვა არ იცი, ვერ დავიჯერებ შენს მოდერნიზმს. გახსოვს პიკასოს „ქალიშვილის პორტრეტი“, ხომ ბრნყინვალე რეალისტური ნახატია? დიახ, პიკასომ მსოფლიო დაარნმუნა იმაში, რომ დიდი მხატვარი იყო და ჰქონდა ფორმალისტური ძიებების უფლება. კიდევ ერთი, „მაგრამ“ სჭირს მოდერნიზმს. ბევრი ჰგავს აბსტრაქციონისტებს, მათი ნაბაძვა ადვილია. ახლა ბევრი „ყალბი“ პიკასო, ნამდვილ პიკასოზე უკეთესად ხატავს, მაგრამ მოდი და დაემსგავსე მიქელანჯელოს, ან ლეონარდოს. გაგიჭირდება, ხომ მართალია? ხოლო ახალგაზრდა ქართველ მხატვარს, ამ ცისა და ამ ფრესკების პატრონს, ულამაზესი ქართული სახეების შემყურე მხატვარს, რაში სჭირდება ევროპული მოდის ნასუფრალი? მე არ მინახავს უფრო რეალისტური და უფრო აბსტრაქციონისტული ნახატი, ვიდრე „ყინნვისის ანგელოსი“ გახლავთ.

— როგორ გესმით ცნება — ეპოქის გამოხატვა და შესძელით თუ არა თქვენი შემოქმედებით თქვენი დროის გამოხატვა?

— ეპოქა ძალიან ფართო და მასშტაბური ცნებაა. შენს დროს, კიდეც რომ მოინდომო, ვერ გაექცევი, თუ ნამდვილი ხელოვანი ხარ. მე, სიმართლე გითხრათ, სპეციალურად არ მიცდია ეპოქის სურათის შექმნა. უფრო ნათლად რომ გითხრათ, ეპოქის ჩვენება ჩემთვის თვითმიზანი არ ყოფილა. ვხატავდი, რაც მეხატებოდა. ზოგს ჰგონია, თუ სკაფანდრიანი კოსმონავტი ან ჩაქუჩიანი კაცი არ დახატე, ესე იგი ეპოქის მხატვარი არა ხარ. ეს მართალი არ არის. ეპოქის სული ყველაფერში იგრძნობა და შენ უნდა შეძლო, დაინახო იგი. თუ შენს შემოქმედებას ეპოქის ათინათი არ დაჰკრავს, ესე იგი შენ ეპიგონი ხარ. სხვის ნაფიქრალს ხატავ და არა საკუთარ სულში გამოტარებულს. ჩვენი ეპოქა ინტელექტუალური ეპოქაა. ჩემი საქმე რომ იყოს, შიშველ, ზედმეტად დაკუნთულსხეულიან სკულპტურებს არ დავდგამდი დღეს.

— თქვენ რომ შიშველ სხეულებს ხშირად ხატავთ?

— მე ვხატავ შიშველ ქალებს და თუ შეამჩნიეთ, უფრო ხშირად ბუნების ფონზე. ამით ადამიანის სულის განთავისუფლებას ვცდილობ ურბანიზმის მარნუხებისაგან. ქალის შიშველი ფორმები რომ მომაჯადოებლად ლამაზია, მე მგონი, საკამათო არ უნდა იყოს.

— პოპულარობა გიზიდავდათ?

— ჩვენ, ხელოვნების ადამიანები, უპირველეს ყოვლისა, არტისტები ვართ. არ დაგიმალავთ თავის გამოჩენის, გახმაურების სურვილი ყოველთვის მქონდა. ახლა, როცა ოთხმოცს მივუახლოვდი, ხანდახნ მეჩვენება, რომ სახელისათვის ბრძოლა სისულელეა. უნდა აკეთო ის, რაც სულიერ კმაყოფილებას მოგანიჭებს. მე იუბილე არ გადამიხდია. სიტყვა „გადამიხდიამ“ არ შეგაშინოთ. დიახ, ზოგი თვითონ ინყობს თავის იუბილეს. როგორ არ შემეძლო. ცოტას მივდგებ-მოვდგებოდი და ერთ საიუბილეო სალამოს გავმართავდი, მაგრამ სხვებს არ შემოუთავაზებიათ და მე არ ვეცადე. არ ვეცადე იმიტომაც რომ, მე მგონი, პატიოსანი კაცი სევდამ უნდა შეიპყროს, როცა იცის, რომ ეს ყვავილები და ეს ტაშ-ფანდურა მისსავე საიუბილეო სალამოზე, მისივე მონყობილია.

ისე, სიმართლე გითხრათ, არტისტი მაინც იბრძვის ჩემში. ამ ბოლო დროს სიკვდილზე ხშირად ვფიქრობ. იცი? სიკვდილი მინდა ფუნჯით ხელში, მაგრამ ასეთ სიკვდილს ვინ გაღირსებს, მე ალბათ, ან მისაღებში მოვკვდები რომელიმე ბიუროკრატის მომლოდინე, ან გაუთავებელ სხდომაზე ჩამომივარდება თავი სამუდამოდ.

— სიკვდილზე ფიქრი ცხრა მთას იქეთ გავისტუმროთ, ბატონო კორნელი, ჯერ ათასი საქმე გაქვთ და ჯანმრთელადაც გამოიყურებით.

— ჰო, რასაკვირველია, შენ ასე უნდა მითხრა ორმოცი ნლისამ სამოცდათხუთმეტი ნლის კაცს. ბუნებრივია. ისე სიკვდილზე ყველა ასაკში უნდა იფიქროს კაცმა, თუ გსურს ნორმალურად იცხოვრო.

— ნორმალურად ცხოვრებას რას ეძახით?

— თუ ხელოვანის ცხოვრებაზე მეკითხებით, ნორმალურად ცხოვრება ნიშნავს, გააკეთო, მოასნრო ის, რაც შენს სულშია. სიცოცხლე მთლიანად მისცე ხელოვნებას. არ გამცეთ და პროფესიონალი მხატვარი საქართველოში, ისე როგორც გასულ საუკუნეში, ახლაც თითო-ოროლაა. ჩვენი შემოქმედება ჩვენი ჩინოვნიკური ყოფისთვის ნართმეული დროის ხარჯზეა შექმნილი და შთამომავლობამ მკაცრად არ უნდა განგვსაჯოს. ჩემს თავზე ვიტყვი: თავი რომ მერჩინა, ათასგან ვიყავი მოდებული. ხან მასნავლებელი გახლდით, ხან დრამნრის ხელმძღვანელი, ხელშეკრულებებით ისეთი ნახატებიც შემიქმნია, რომ გამახსენდება, ყურები მინითლდება. დიდი მხატვრები ისხდნენ და ხატავდნენ. ჩვენი ნახევარი ცხოვრება სირბილს მიაქვს. სირბილს არა სპორტულ-გამაჯანსალებელს, რა თქმა უნდა, სხვანაირ სირბილს.

— დარნმუნებული ვარ, თქვენ არ გულისხმობთ ფულის გამოდევნებას, ასე რომ გაიტაცა ერთი-ორი მხატვარი ამ ბოლო დროს.

— ღმერთმა დაგვიფაროს ამგვარი ცდუნებისაგან. ყვითელ ეშმაკს სულს რომ მიჰყიდის, ის რა ხელოვანია. რა მხატვარია, ლობე-ყორეს რომ ედება და მხატვრულ ინდივიდუალობას არტელის შეფობას და მხატვარ-კომბინატორობას არჩევს. თქვენ მართალი ხართ, ასეთებიც გვყვანან. მე კი ელემენტარულ საჭიროებაზე მოგახსენებთ. იცით რა, თქვენი სამუშაო იარაღი იაფია — ქაღალდი და კალამი. ჩვენი, ცოტა არ იყოს, ძვირი ღირს. მოკლედ, დიდ ტილოს ვერ დახატავ, ასი მანეთი მაინც თუ არ გაქვს ჯიბეში. და მაინც მონუნუნე ხელოვანი მძულს. ნიჭი თავისას იზამს. როცა მხატვარი თავს იმართლებს, საშუალება არ მქონდა, თორემ უკეთესი მხატვარი ვიქნებოდიო, იგი სტყუის, ფიროსმანი კიბის ქვეშ და დუქანთა აბრებზე ხატავდა.

— სხვადასხვა დროს ვინ იყვნენ და ახლა ვინ არიან თქვენი მეგობრები?

— გალაკტიონი, დავით კობიძე, ტერენტი გრანელი, დავით კაკაბაძე, მოსე თოიძე, ბენიტო ბუაჩიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, იოსებ სუმბათაშვილი, პოლიკარპე კაკაბაძე, თამარ აბაკელია, კონსტანტინე გამსახურდია, შალვა ამირანაშვილი, დავით გაჩეჩილაძე, ვიქტორ კუპრაძე, ალექსანდრე ცხაკაია, კონსტანტინე კაპანელი, შალვა ნუცუბიძე (სხვათაშორის, მე და ბატონი შალვა ერთად ვმუშაობდით ამიერკავკასიის ცაკში, შალვა ლიტერატურის კონსულტანტი გახლდათ, მე — მხატვრობის), გიორგი ნატროშვილი, ერემია ქარელიშვილი, უჩა ჯაფარიძე, ლადო გრიგოლია, მორის ფოცხიშვილი, კოკი მახარაძე, დიმიტრი ხახუტაშვილი, ფარნაოზ ლაპიაშვილი, გოგი თოთიბაძე, თამაზ ჯინჭარაძე, თენგიზ სამსონაძე, გივი თოიძე, ედუარდ ამბოკაძე... მაპატიონ, თუ ვინმე გამომრჩა. მოკლედ, ჩემი ცხოვრების მანძილზე ამ ადამიანებს ვთვლიდი ჩემს პირად მეგობრებად, შეიძლება ზოგ მათგანს მეგობრად არც კი მივაჩნდი, ეს უკვე მათი ნებაა...

---

დასასრული. დასანყისი იხ. „დროშა“ № 5.

— თუ გქონიათ საკუთარ ძალებში დაეჭვების მომენტები თქვენს შემოქმედებითს გზაზე?

— ვერ გავიგე.

— მაგალითად ნახატი არ გამოგივიდათ და გული გაგიტყდათ, გაბრაზდით, რწმენა შეგერყათ, ფუნჯის შიშმა შეგიპყროთ.

— მივხვდი, მივხვდი... არა მქონია. ნამეტანი არ უნდა მოინდომო. უნდა ხატო უბრალოდ, ისე როგორც ხედავ. ტრაგედია არ უნდა შექმნა იმისაგან, რომ ველასკესად არ გაგაჩინა ბუნებამ. ნერვიულობ იცი როდის? როცა შენი თავი შეცნობილი არა გაქვს. როცა შენს ძალებზე გადაჭარბებული წარმოდგენა გაქვს. არ დაიჯერებ, არასოდეს ვადარებ ჩემს ნამუშევარს რაფაელის ქმნილებებს; წინააღმდეგ შემთხვევაში ცუდ ხასიათზე დავდგები.

— რას ნიშნავს მხატვრობაში „ეროვნული სპეციფიკა“?

— ეს საკმაოდ ტევადი ცნებაა. გულისხმობს ეროვნულ ტრადიციებზე მყარად დგომას და ა. შ. და ა. შ. ჩემებურად, უბრალოდ რომ აგიხსნა; ყველა ქვეყანას არა მარტო ეროვნულ-ეთნოგრაფიული და ფსიქოლოგიური, სუფთა ხედვითი, ფერწერული სპეციფიკაც აქვს. ავილოთ მაგალითად პარიზი და თბილისი. პარიზს რალაც ცისფერი ბურუსი დაჰკრავს. ყოფილხართ პარიზში?

— კი.

— თუ დაკვირვებიხართ, მონმარტი შორიდან ცისფრად დაბურული ჩანს. იქნებ მე მომეჩვენა ასე. ნახატებშიც ასეა. ერთი სიტყვით პარიზი ისე არ არის მზით განათებული, როგორც თბილისი. ჩვენთან უფრო კონტრასტული ფერებია. ჩრდილიც უფრო მკვეთრია, მოშავო. პარიზში კი საგნებს უფრო მქრქალი ჩრდილი აქვთ. ჩვენი განათება და იტალიისა უფრო ჰგავს ერთმანეთს. ძალიან ხომ არ გავუტიე? ესეც სპეციფიკაა. არ უნდა აგერიოს ერთმანეთში. რუსთაველის პროსპექტი ძალიან ჰგავს პარიზის სან მიშელს, მაგრამ ამ ორ ქუჩას ერთნაირი ფერებით ვერ გამოხატავ. გამიგეთ?

— კი ბატონო, მაგრამ ეროვნული სპეციფიკა, თქვენი ბრძანებისა არ იყოს, უფრო ფართო ცნებაა და თავისებურებათა მთელ კომპლექსს მოიცავს.

— გეთანხმებით.

— მხატვარს ცოდნა ძალიან სჭირდება?

— ცოდნას რა გაგებით ბრძანებთ?

— ფართო განათლება. გარკვევა მსოფლიო მხატვრობაში.

— ჩვენს შორის დარჩეს და გენიოსები ხანდახან ისე დაგაბნევენ, რომ მერე საკუთარ თავს ველარ პოულობ. შენეულს ველარ ხატავ. ჯერ უნდა მომაგრდე მუხლებში, როგორც ხელოვანი და მერე იმოგზაურო მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში. ისე, რა თქმა უნდა, გათვითცნობიერებული უნდა იყო ხელოვნებაში, რომ უნებლიედ სხვის გზას არ გაჰყვე, სხვა არ გაიმეორო.

— არ მახსოვს მხატვართა ყრილობებზე მომხსენებელს არ ეთქვას: ამ ბოლო დროს ჩვენი სახვითი ხელოვნების დონე გაიზარდაო. თუ ამ ლოგიკით ვიმსჯელებთ, ძალიან შორს წასული უნდა ვიყოთ დავით კაკაბაძის, გიგო გაბაშვილის და სერგო ქობულაძის დონისაგან?

— „დონის გაზრდა“ ყოველ წელიწადს რომ ასე შესამჩნევი იყოს, რა გვიჭირდა. რა დასამალია და ჩვენ სამოქალაქო მხატვრობა გასულ საუკუნეში დავიწყეთ, მანამდე არ გვქონია. განსაცვიფრებელია, რომ სვეტიცხოვლის და ნიკორწმინდის ქვეყანაში არც მოქანდაკეები ჩანდნენ. ასე რომ ჩვენ ჯერ კიდევ დასაწყის სტადიაში ვართ და კეთილ ვინებოთ და ასე უცებ ნუ მოგვთხოვთ „ლაოკოონს“ და „საიდუმლო სერობას“. ჩნდებიან ახალი საინტერესო მხატვრები, მაგრამ დაბეჯითებით მოგახსენებთ, რომ დავით კაკაბაძის და სერგო ქობულაძის დონის მხატვარს ამ ბოლო ოცწლეულში მე ვერ ვხედავ. „დონის გაზრდაზე“ გაუთავებელი ლალადისი, მხოლოდ თვითდამშვიდებაა...

— ბატონო კორნელი, ხშირად დავდივარ გამოფენებზე და ყოველთვის ერთი და იგივე სინანული მიღრღნის გულს. ჯერ ერთი, ბევრი ნახატი დაუმთავრებლის შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს ჩქარობდა მხატვარი და ბოლომდე არ დაადო ყველა ფერი თავის ქმნილებას, მეორეც, მეჩვენება, რომ ხელოვანი რალაც პომპეზურის, ყალბის, განუცდელი ჭეშმარიტებების ტყვეობაშია.

— პირველი თქვენი შენიშვნა პროფესიონალიზმს შეეხება და აქ მე ვერაფერს გეტყვით. ნერვები! ნერვები! ჩვენი აჩქარებული დრო, რიტმი ყველგან და ყველაფერში, იქნებ ესეცაა დამნაშავე, რომ რენესანსის წარმომადგენელთათვის ჩვეული „ჩაჯდომის უნარი“ ჩვენს ბუნებაში არ ალმოჩნდა. კი, პაიპარად ხატავს ზოგიერთი. რაც შეეხება ყალბ პათეტიკას, ეს ინერცია პლაკატომანიის ეპოქისა ჯერ კიდევ ძლიერია ჩვენში. არავინ არ გაძალებს გუნდრუკი უკმიო იმას, რაც არა გჯერა. მეც ვცდილობ, არ ვიყო პათეტიკური, მაგრამ ზოგჯერ არ გამომდის.

— რასა ბრძანებთ!

— თუ შეიძლება ჩემი ლექსის ორიოდე სტრიქონს წაგიკითხავთ, სადაც, მე მგონი, შევძელი ჩვენი პროფესიის სიძნელისთვის გამესვა ხაზი.

— ბრძანეთ.

...ფერმა რატომ დამწყევლა, ლექსმა რატომ
მაწვალა?
ვერ დავწერე რაც მინდა, ვერ დავხატე ვერავინ,
წმინდა ნინოს ნაწნავი პალიტრაზე დამწვარა
და ჩახმახზე შემდგარა შემართული მერანი.

ო, რამდენჯერ მაწამა, ო, რამდენჯერ მატირა,
არა ქალის ალერსმა, ან შავმა წამწამებმა,
წამით შორით წასულმა ახლობელმა ნაპირმა,
თეთრ ტილოსთან ნაგრძნობმა ცივმა
გარდაცვალებამ.

— რა ადგილს აკუთვნებთ თქვენს შემოქმედებაში პოეზიას?

— თითქმის ისეთსავეს, როგორც მხატვრობას. არავინ იფიქროს, რომ მე ლექსს სასხვათაშორისოდ, თავისუფალ დროს ვწერდე. ერთმა ნაცნობმა შარშან ნახევარხუმრობით მკადრა, მე მეგონა, თქვენ ლექსს სერიოზულად კი არა, ისე, თავშესაქცევად წერდითო. დღესაც არ ველაპარაკები ამ ავყიაობის გამო. კაცმა არ იცის, მომავლის კაცს ჩემი ნალვაწიდან რა უფრო დასჭირდება: ლექსი თუ ნახატი. ერთს კი გაგიმხელ; ჩემთვის არც ერთ ნახატს იმხელა შემოსავალი არ მოუცია, რამდენიც პაწაწკინტელა ლექსმა — „საყვარელ ქუჩაზე“. რამდენჯერაც შეასრულებენ რადიოში ან ტელევიზიაში, აგერ ოცი წელია, ფულს მიგზავნიან. მართლაც რომ კარგი სიმღერა დაწერა სანდრო მირიანაშვილმა. ერთ დროს მთელი თბილისი „ისევ ის ბიჭი ვარ ხუჭუჭა პატარას“ ღიღინებდა.

— ლექსების რამდენი წიგნი გაქვთ გამოცემული?

— სამი. პირველი წიგნი 1927 წელს გალაკტიონის შუამდგომლობით გამოვიდა და ამით ვამაყობ. გალაკტიონი მიმყვა სოსიკო მერკვილაძესთან და უთხრა: ამ ჩემს ძმაკაცს წიგნის დაბეჭდვა უნდაო. სოსიკომ თვრამეტი მანეთი გადამახდევინა (მაშინ ავტორი ფულს თვითონ იხდიდა წიგნის დაბეჭდვაში) და დამაიმედა; თუ შენი წიგნი გაიყიდა, ამ თვრამეტ მანეთსაც დაგიბრუნებ და ხუთ მანეთ პრემიასაც მოგცემ, თუ არა და რა გიყო, შვილოო. ორ კვირაში ჩემი ლექსების პირველი წიგნი ხელში მეჭირა.

— გაიყიდა?

— ალბათ. მე ისე ვიყავი წიგნის გამოცემით გახარებული, რომ სოსიკო მერკვილაძესთან პრემიის მისალებად ალარ მივსულვარ. მეორე წიგნი 1969 წელს გამოვიდა, მესამე კი — 1975 წელს. ახლა ჩემი ლექსების რჩეულს ვამზადებ, თუ ღმერთმა დამაცალა.

— გალაკტიონს თუ უკითხავდით თქვენს ლექსებს?

— ხშირად.

— მოსწონდა?

— მე მგონი, კი. ისე, საერთოდ ვერ შეატყობდი. სხვისი ლექსით [illegible] გალაკტიონი მე არ [illegible]. განსაკუთრებით არ [illegible]ლებდა; ყოჩაღ, ძამიკო, ყოჩაღო, გეტყოდა; გულში, ვინ იცის, რას ფიქრობდა.

— რას გაიხსენებდით ახლა, ცხელ გულზე, გალაკტიონის ცხოვრებიდან?

— გალაკტიონთან, წლების განმავლობაში, ახლო მეგობრობა მაკავშირებდა. დასახატავად კი 1935 წლამდე ვერ მოვიხელთე. ამ დროიდან სისტემატურად, თითქმის ყოველ წელს, ვხატავდი. ოციოდე პორტრეტი მაქვს გალაკტიონის, ნატურიდან დახატული.

— როგორი იყო გალაკტიონი მენატურე?

— ძნელი დასახატავი გახლდათ. ერთ ადგილზე ვერ გააჩერებდი. დადიოდა, ლაპარაკობდა. ხანაც თავისთვის ბუტბუტებდა.

— ბუტბუტებდაო, თქვენ ბრძანეთ.

— ჰო, უმეტეს შემთხვევაში ლექსებს კითხულობდა თავისთვის, ჩუმად და როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, რუსი პოეტების — ტიუტჩევის, ბლოკის და ბრიუსოვის ლექსებს. გალაკტიონი სიფხიზლეშიც კი ცაში დაფრინავდა. როცა გესაუბრებოდა, ვერ გაიგებდი, როდის ხუმრობდა და როდის იყო გულწრფელი. ხან მთლად გაგიშინაურდებოდა, ხან კი თქვენობით ლაპარაკზე გადავიდოდა. ირონიას ხშირად მიმართავდა. როცა ნასვამი იყო, მთლიანად სხვა სამყაროში გადასახლდებოდა. სიმთვრალე, თითქოსდა, ჯავშანი იყო მისთვის, სადაც კუსავით შეიყუჟებოდა და ამა ქვეყნის მტვერს არ იკარებდა.

— მხატვრობაში?

— ძალიან კარგად ერკვეოდა. მხატვარი ის არის, ვინც დაგხატავს და დაგამსგავსებს, სხვა ყველაფერი უმწეობააო, მეტყოდა ზოგჯერ ხუმრობით. მაშინაც კი, თვით რომ ფორმალიზმით იყო გატაცებული პოეზიაში, მხატვარ-ფორმალისტებს ვერ იტანდა. ვის ატყუებენ, ვის დასცინიანო, ბრაზდებოდა. განსაკუთრებით მოსწონდა ქართული ფრესკები. რამდენჯერმე ქალაქგარეთაც გამიყოლია. ერთად ვიყავით ბეთანიაში, უფლისციხეში, ატენში, ყინწვისში. ერთხელ, შაბათ საღამოს, შევთანხმდით, დილით მატარებლით ატენში წავსულიყავით. ღამის 11 საათზე ელბაქიძეზე მთვრალი შემხვდა-რატომ დალიე, დილით ხომ ველარ წამოხვალ-მეთქი, ვუსაყვედურე. წადი, ბიძიკო, დაიძინე, ჩემი საქმე მე ვიციო. დილის ექვს საათზე გადიოდა მატარებელი. ცოტას ნვიმდა კიდეც. იმედდაკარგული გავედი სადგურზე. საათის ქვეშ (ახლა ის საათი და შენობა რატომღაც დაანგრიეს!) იდგა და მელოდა. მიმიხვდა სიხარულს, აბა რა გეგონა შენო, ვაჟკაცის სიტყვა სიტყვა უნდა იყოსო. დალევა ხელს რომ მიშლიდეს რამეში, წვეთს ალარ დავლევდიო...

— პირველად სად შეხვდით, თუ გახსოვთ?

— 1924 წელს გავიცანი. ოფიციალურად არავის წარვუდგენივარ. ცერემონიების კაცი არ იყო. სრულიად უცნობსაც გამოელაპარაკებოდა მისებურად, ალალად, გულწრფელად, უშუალოდ. ერთხელ მწერალთა ბაღში იჯდა და თავისთვის ბუტბუტებდა, — პოეტს ფული სჭირდება და არ აძლევს, კაცია ესო? ამხედ-დამხედა, — აქ რამ მოგიყვანაო, შინაურულად მკითხა. მხატვარი ვარ მეთქი. წამოხტა და გადამეხვია. ეს რა მითხარი, ძამიკო, მხატვარი რანაირად ხარ, ასე პატარა ბიჭიო. ვიფიქრე, მეტ შთაბეჭდილებას მოვახდენ მეთქი და; პოეტიც გახლავარ-მეთქი, წელში გავიმართე. ჩემი პოეტობა მაინცდამაინც არ ესიამოვნა. აბა, ერთი ლექსი მითხარიო. არ მახსოვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელი, ჩემი ადრეული ლექსის ორი სტროფი წავუკითხე. კარგა ხანს იჯდა თავჩაქინდრული. მერე, როდის, როდის, თავი ასწია, თანაგრძნობით სავსე თვალები მომაპყრო და ყრუ ხმით მკითხა: მხატვარიც მაგნაირი ხარ, ძამიკო? წამოდგა, ხელი გადამხვია და რუსთაველის პროსპექტი ასე ჩავიარეთ. ბესიკის აღმართზე თორნის გვერდით, მენალე ობოლაშვილი ცხოვრობდა. მენალე ლექსებსაც წერდა. მის სახელოსნოში ვიკრიბებოდით გალაკტიონი, პოეტი ნიკოლოზ ჩერნიაევსკი, მხატვარი კოლია ჩუდეცკი, გენო ქელბაქიანი, ტერენტი გრანელი, გიორგი ქუჩიშვილი და მე. რაკი ღვინოს არ გეახლებოდით, მასპინძელი ჩემთვის კაკაოს ამზადებდა. მახსოვს, ერთხელ გალაკტიონმა ექსპრომტით მიმართა ობოლაშვილს: „ჩვენ ღვინოს გვასმევ, მხატვარს კაკაოს, მე და გიორგი რამ დაგვაკაოს“. ასე დავმეგობრდით. მერე ის იყო სოსიკო მერკვილაძესთან მიშუამდგომლა.

— დახატვა თქვენ შესთავაზეთ?

— აღარც მახსოვს. თქვენ იმის კითხვა ხომ არ გინდათ, ზედმეტად მოკრძალებული იყო თუ არა გალაკტიონი. არა, ჩემო ბატონო, გალაკტიონმა თავისი ფასი მშვენივრად იცოდა და ირგვლივ მყოფთაც ხშირად აიძულებდა, ეცნოთ გენიოსად. ამას ყველაფერს ისე აკეთებდა, რომ უხდებოდა კიდეც. თუ მაშინ, სიცოცხლეში, ვინმე ვერ უგებდა, ახლა ხომ ვრწმუნდებით, რომ მართალი იყო. ერთხელ წყნეთში, გალაკტიონის აგარაკის აივანზე ვისხედით. წამოდგა და ხელი გაიშვირა: — შეხედე, კორნელი, რა სასახლეები წამოჭიმეს, ბიჭებმა, მე კი ეს ფარლალალა სახლი დავდგი, მეტი ვერ მოვახერხეო. მერე ეშმაკურად მოჭუტა თვალები და ჩაიღიმილა: — სამაგიეროდ გალაკტიონს ლექსები აქვს, ძამიკო, იმათ ლექსები არა აქვთო.

ერთხელ მხატვართა კავშირს საზარგო მანქანა მოაყენა და ორმოცი გამზადებული, გადაკრული ტილო მოიტანა. მხატვართა კავშირის თავმჯდომარე იხმო და აუხსნა: დაურიგე ეს ტილოები ორმოც კარგ მხატვარს, ძამიკო, და დაავალე დამხატონ, სანამ გვიან არ არისო. თავმჯდომარეს გაუკვირდა და ცოტა ეწყინა კიდეც. ზოგს არ სცალია, ბატონო გალაკტიონ, და რამდენიმე მხატვარს ვთხოვ თქვენი სახელითო. გაწყრა გალაკტიონი. რა აქვთ გალაკტიონის პორტრეტის შექმნაზე უფრო დიდი საქმე ქართველ მხატვრებს, გამაგებინეთ ერთიო.

ხშირად დადიოდა თბილისის ქუჩებში და თავისი ძეგლისთვის ადგილს ეძებდა.

სიკვდილამდე ორი წლით ადრე საავადმყოფოდან დამირეკა; ამიხსენი ერთი კორნელი, ტილოს ნახატი როგორ უნდა მოაშოროო. მე ვუთხარი თბილი წყლით უნდა დაალბო და მერე უნდა აფხიკო-მეთქი. თანაც გამიკვირდა, საავადმყოფოში რაში დასჭირდა ნახატის გადაფხეკვა-მეთქი. არ გაუვლია სამ დღეს, მუშებმა სამმეტრიანი, ჩარჩოში ჩასმული, გადაფხეკილი ტილო მომიტანეს. მალე ტელეფონიც აწკრიალდა: ხომ კარგი ტილოა, ძამიკო, აქ საავადმყოფოს სარდაფში ერთი გადაგდებული პორტრეტი აღმოვაჩინე, სამი დღეა გადავყევი მაგის ფხეკას, სწორედ ამ ტილოზე უნდა დახატო შენი გალაკტიონი, ფეხზე მდგარი, ლექსების წიგნით ხელშიო. იმ ხანებში მართლა არ მეცალა და უარი ვკადრე. მალე თვითონვე გადაავიწყდა ეს უზარმაზარი ჩარჩო. იმ ხანებში უკვე სერიოზულად იყო ავად. დამირეკა, მოვდივარ და გაემზადე, უნდა დამხატოო. მსახიობი ლაფაჩი მყავდა დაბარებული, ბოდიში მოვუხადე და გავისტუმრე, მოლბერტი გავამზადე და გალაკტიონს დაველოდე. მოვიდა, დავსვი და დავხატე ფანქრით. ნუხდა, შფოთავდა, გულზე ხელს იდებდა, — მოხუცდი, აღარ შეიძლება შენთვის დალევა, გთხოვ, ნუ იკლავ თავს, გაანებე სასმელს თავი-მეთქი, — მალე ვეღარც მთვრალს მნახავ, ძამიკო, და ვეღარც ფხიზელსო, მრავალმნიშვნელოვნად მითხრა. კიდევ კარგი, დღეს რომ დამხატე, თორემ ხვალ გვიან იქნებოდაო. დიდხანს უყურა თავის პორტრეტს, მერე ხელი ჩაიქნია და წავიდა, მეტი აღარ მინახავს ცოცხალი.

ვერცხლის გვირგვინი მივიტანეთ მხატვრებმა გალაკტიონის დასაფლავებაზე. ერთად წავედით: ელენე ახვლედიანი, ლადო გუდიაშვილი, აპოლონ ქუთათელაძე, მე და კიდევ რამდენიმე მხატვარი. გზებია შეკრული. არ გვიშვებენ. — მე ელენე ახვლედიანი ვარ, ეს კი ლადო გუდიაშვილიაო, ელიჩკამ. ვინც არ უნდა იყოთ, ნაბრძანები გვაქვს, ვერ გაგატარებთო, მილიციის სერჟანტმა. ელიჩკამ სახელოში მოჰკიდა ხელი და ისე შეუკურთხა უდანაშაულო წესრიგის დამცველს, რომ მე და გუდიაშვილმა ყურებზე თითები წავივლეთ. ხმაურზე ვილაც მაღალი ჩინის კაცი მოვიდა და, როგორც იქნა, გაგვატარეს. გალაკტიონის დასაფლავებისადმი მიძღვნილი ლექსი ჯიბეში მედო, მაგრამ ვინ წამაკითხა.

— ტერენტი გრანელი ახსენეთ.

— რუსთაველის პროსპექტზე, იქ სადაც ახლა კულტურის სამინისტროა, მარგანეცის აქციონერული საზოგადოება „ჩემო“ იყო მოთავსებული, 1923 წელს „ჩემო“ დაიწვა. მოსე თოიძემ იმ დამწვარ შენობაში თავის მოწაფეთა გამოფენა გამართა. მეც მივიღე მონაწილეობა. რამდენიმე ნახატით წარვუდექი თბილისს. მათ შორის ერთს „დატანჯული საქართველო“ დავარქვი. ლამაზ ქალს გველები ეხვეოდა—ასეთი სიმბოლური ტილო გახლდათ. ერთ დღეს გაბურძგნული, გამხდარი, ღია ფერის თმის მქონე, საშუალო ტანის ახალგაზრდა კაცი მომიახლოვდა და მითხრა: „მხატვარო, მომწონს მე შენი ნახატები,—ხელი გამომიწოდა — ტერენტი გრანელი ვარ“. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გამეგონა,წამეკითხა, მაგრამ პირადად არ ვიცნობდი. ერთი კვირის შემდეგ თქეში წვიმა წამოვიდა და ქარიშხალი ატყდა. მივხვდი, რომ ღია ცის ქვეშ ჩვენს გამოფენას კარგი დღე არ დაადგებოდა და მაშინვე იქეთ გავიქეცი. მოსე თოიძე და რამდენიმე კაცი დამხვდნენ. ყველაზე მეტად ტერენტი აქტიურობდა. „არიქა, არიქაო“ ყვიროდა და ნახატებს იქეთ-აქეთ დაარბენინებდა. ზოგ მათგანს გულზე იხუტებდა და წვიმისგან რომ დაეცვა, თავის გაცვეთილ პიჯაკს აფარებდა. ამის მერე, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ხშირად ვხვდებოდით ობოლაშვილის სახელოსნოში. ერთხელ მითხრა — მე დიდი პოეტი ვარ და ჩემი პორტრეტი უსათუოდ უნდა დახატოო. ბატონი ბრძანდები-მეთქი. სიუჟეტიც თვითონ შემომთავაზა! დამხატე სასაფლაოზე, ვითომ ჩონჩხი სადღაც მიმათრევს, მე კი ვუძალიანდებიო. მართლაც დავხატე და 1924 წელს ჩემს პირველ გამოფენაზე წარვადგინე ასეთი სურათი „აგონიას“ სახელწოდებით.

— სვამდა?

— ცოტას. თავის ტკივილებს უჩიოდა. სუსტი აღნაგობის კაცი იყო. ერთხელ ობოლაშვილთან, მორიგ შეკრებაზე, ლექსი წავიკითხე. ცოტა არ იყოს ხმამაღალი ლექსი იყო. თვალები აემღვრა ტერენტის, წამოხტა—ეს რა სისულელე დაგიწერიაო. დაიყვირა და ჯიქურ შემომიტია. ძლივს დააშოშმინა გალაკტიონმა. სულით დავრდომილთა თავშესაფრიდან რამდენჯერმე გამოიქცა. მოგვძებნიდა გალაკტიონს, დავით გაჩეჩილაძეს, დავით კობიძეს და მე. ცოტა ხანს იჯდა ჩვენთან წყნარად, გვესაუბრებოდა. უეცრად აენთებოდა, აგვიხირდებოდა, გაგვლანძღავდა, წამოხტებოდა და გაიქცეოდა. რომ გარდაიცვალა, დავწერე ტრაგედია „ტერენტი გრანელი“. ეს იყო ჩემი პირველი და უკანასკნელი ცდა დრამატურგიის ჟანრში. რა თქმა უნდა, არ დაუდგამთ სცენაზე. ცხოვრებაში გათამაშდა ტრაგედია ტერენტი გრანელი, სცენაზე კი არავითარი საჭირო არააო, — მითხრა რეპერტკომის ერთმა უფროსმა და პიესა უკან გამომატანა.

— კონსტანტინე გამსახურდიაზეც მითხარით რაიმე, ბატონო კორნელი.

— გინახავთ ჩემი „კონსტანტინე გამსახურდია“?

— დიახ, ცოტა არ იყოს გაბრაზებული ჩანს იმ პორტრეტზე „მთვარის მოტაცების“ ავტორი.

— ჩვენი ურთიერთობა უცნაურად დაიწყო. უნივერსიტეტის წინ შემხვდა, წელი აღარ მახსოვს. ვიცნობდი, მაგრამ ახლოს არ ვიყავით ერთმანეთთან. სულ მეჩვენებოდა, რომ მიუკარებელი კაცი იყო და, სიმართლე გითხრათ, მეც გავურბოდი. შევატყვე ხასიათზე არაა. — როგორ გაბედე და „მთვარის მოტაცების“ დასურათებაზე უარი უთხარ გამომცემლობასო. იქნებ არ მოგწონვარ, როგორც მწერალიო. მართლაც შემომთავაზეს „მთვარის მოტაცების“ გაფორმება, მაგრამ მხოლოდ იმის შემდეგ, რაც რომელიღაც „დიდ“ მხატვარს უარი ეთქვა. თანაც ერთ კვირაში უნდა დამეხატა. ვერ მოვასწრებ-მეთქი და უარი ვთქვი. დავუყვავე. — რას ბრძანებთ, ბატონო კონსტანტინე, პირიქით, ძალიან რომ მიყვარხართ იმიტომ ვთქვი უარი. ერთ კვირაში ვერ მოვასწრებდი-მეთქი. დამშვიდდა. ხელი გამომდო და შერიგების ნიშნად მითხრა—რაკი ასეა, ერთი კარგი პორტრეტი შენზე იყოსო. მერე ომი დაიწყო და ვერ მოიცალა. ერთ დღეს გაუფრთხილებლად მომადგა. წიგნისთვის პორტრეტი მჭირდება და დამხატეო. მაშინვე შევუდექი საქმეს. ექვსი სეანსი დამჭირდა იმ პორტრეტისთვის, შენ რომ ახსენე. ჭირვეულობდა. არ მოსწონდა. ძალიან მოხუცს მხატავო. ამდენი ნაოჭები საიდან მოიტანეო. წითელი ჰალსტუხით დავხატე. ბოლო სეანსზე მწვანე ჰალსტუხით მოვიდა და, სანამ ჰალსტუხი მწვანედ არ შემაცვლევინა, არ მოისვენა. მერე დავმეგობრდით და ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ერთ დღეს ქალბატონ მირანდასთან ერთად მობრძანდა, ხელში მოკლე საბლით თავისი ცნობილი მწევარი ეჭირა. ოჯახური პორტრეტი უნდა დამიხატო — მე, მირანდა და ეს ძაღლიო, კატეგორიულად მითხრა. რასაკვირველია, დავეთანხმე. მეორე დღესვე დავიწყე მუშაობა, მაგრამ ვეღარ გავაგრძელე, ქალბატონი მირანდა ავად გახდა, ლოგინად ჩავარდა და მალე გარდაიცვალა.

— გიორგი ლეონიძე?

ხატვა შეწყვიტა, მეორე ოთახში გავიდა და მინაში ჩასმული, ფანქრით დახატული პორტრეტი გამოიტანა.

— გოგლა ერთადერთჯერ დავხატე ფანქრით. ეს არის და ეს. ზეთის საღებავით მინდოდა დამეხატა, მაგრამ ვეღარ მოვასწარ. ერთხელ დამირეკა. ჩემი გამოფენა ენახა და სურვილი გასჩენოდა, რომ დამეხატა. მაშინ ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი იყო, — აბა, წამოიღე შენი იარაღები და ჩემს კაბინეტში გელოდები, უნდა დამხატოო. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა. — ბატონო გოგლა, სახელოსნოში უნდა მობრძანდეთ, სხვანაირად არ გამოვა-მეთქი. ეწყინა, — სადა მცალიან შენთან მოსასვლელადო. — რა მოხდა, შე კაი კაცო, მხატვრებთან მეფეებიც კი სახელოსნოში დადიოდნენ-მეთქი. არაფერი უთქვამს, ყურმილი დამიდო და ხუთი წელი არ შემხმაურებია. ქუჩაშიც არ მესალმებოდა. აშკარად ჩანდა, ნაწყენი იყო. 1966 წლის 16 მარტს დამირეკა; მოვდივარ და დამიხვდიო. ერთ საათში მოვიდა. თან მომხიბვლელი ქალიშვილი მოჰყვა. ცოტა ხანს დარჩა. ფლომასტერით ჩავიხატე, დახედა და კარგიაო მითხრა. გამატანე, წავიღებო. ჯერ დაუმთავრებელია, დასამუშავებელია, კიდევ რამდენჯერმე უნდა მობრძანდეთ-მეთქი. შენ რა ჭირვეული ყოფილხარო. წავიდა და ათი დღე არ გამოჩენილა. ათი დღის შემდეგ დამირეკა; მანქანით გამოგივლი, პატარძეულში უნდა წაგიყვანოო. წავედით. წინონწმინდაში ბალახზე გააშლევინა მძღოლს სუფრა. სანოვაგე თურმე საბარგულში



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ედო. მოვილხინეთ. თავის ღონიერ, მძიმე ხელს მხარზე მირტყამდა და მეუბნებოდა: — რა დროს ებერდებით, ჩემო კორნელიო. ახლაც ყურში ჩამესმის მისი ბუხუნა ხმა. თბილისში რომ დავბრუნდით, გამომშვიდობებისას მითხრა: ხვალიდან უნდა დაიწყო ჩემი დიდი პორტრეტის ხატვაო.

შევთანხმდით. მეორე დღეს არ მოვიდა. ვერც მომდევნო დღეებში მოიცალა. ქალაქში ხმა რომ გავარდა, გოგლა ლოგინად ჩავარდაო, წყნეთში ასვლას ვაპირებდი, დამირეკა: „გოგლა ვარ, მაპატიე, კორნელი, რომ დაგალალატე, თუ ფეხზე წამოვდექი, უსათუოდ გეწვევიო“. მერე სულთმობრძავი ვინახულე წყნეთში. უკანასკნელად კი კუბოში ვნახე.

— დღიურებს თუ წერთ, ბატონო კორნელი?

— რატომ მეკითხებით?

— საინტერესო ცხოვრება გაქვთ გავლილი, თანაც ძალიან მიმზიდველად ჰყვებით.

— დღიურებს არა, მაგრამ ჩანაწერებს თითქმის ყოველდღე ვაკეთებ. გალაკტიონთან, გამსახურდიასთან, გოგლასთან, თვითოეული შეხვედრა აღწერილი მაქვს. სხვათაშორის აკაკის დასაფლავებას დავსწრებივარ. მაიაკოვსკისაც შევხვედრივარ. აპოლონ ქუთათელაძემ მიმიყვანა, მგონი, 1927 წელი იყო. სასტუმრო „თბილისში“ გახლდათ ჩამომხტარი... დავაკაკუნე. „შემოდით!“ მოგვესმა ძლიერი ბარიტონით, ქართულად. შევაღეთ ნომრის კარი. აბაზანაში ბანაობდა. აბაზანის კარი ღია ჰქონდა. წამოდგა და დედიშობილა აღიმართა ჩვენს წინაშე ორმეტრიანი მაიაკოვსკი. რომ შევცბით, გვკითხა: რა იყო, შიშველი კაცი არ გინახავთო? ქართულად გვესაუბრებოდა, ოდნავ შესამჩნევი რუსული აქცენტით. მერე ტრუსების ამარა ჩამოგვიჯდა მაგიდაზე და ორსაათიანი საუბარი გაგვიმართა მხატვრობაზე. არც კი მეგონა, თუ დავამახსოვრდებოდი. კარგა ხნის შემდეგ მოსკოვში შევხვდი გორკის ქუჩაზე. ალბათ, ვერ მიცნობსმეთქი და უბრად ჩავლა დავაპირე — როგორაა პოეზიის და მხატვრობის საქმეები, ქართველო? — ყურებს არ დავუჯერე. მაიაკოვსკი ხელგაშლილი ჩემსკენ მოდის, ეჰ, ვინ მოსთვლის რამდენი ასეთი ბედნიერი წუთი მქონდა ცხოვრებაში. არა, არა, ღირს ცხოვრება ამ ქვეყანაზე.

— რის დახატვას ნატრობთ?

— მინდა, დავხატო დიდი ტილო „გალაკტიონის გარდაცვალება“. გალაკტიონის კუბოსთან ყველა მისი მეგობარი და დამფასებელი დგას თავდახრილი.

— კიდევ?

— „გიორგი სააკაძეს პაატას თავი მიართვეს“ — ეს თემა მოსვენებას არ მაძლევს. რა წინაპრები გვყავდა. შვილის გაწირვა მამულისათვის, ეს ხომ თავგანწირვაზე უფრო დიდი საქმეა.

* * *

ვატყობ დაიღალა.

ქალბატონ თინათინს ადესის კომპოტი შემოაქვს, ნახატს ათვალიერებს. თქმით არაფერს ამბობს.

— დღეს დავამთავროთ, ბატონო კორნელი, დაისვენეთ.

— ხვალაც უნდა მოხვიდე.

— გეახლებით.

— ნახე.

ფანქარი კიდევ ერთხელ ჩამოუსვა და უკუდგა.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო კორნელი, — ღიმილით ვუქნევ თავს.

— ხვალ გელოდები, იცოდე, ძებნა არ დამაწყებინო.

კარებამდე მომყვება. გასაღებს ატრიალებს და მანამ დგას კარებში, სანამ კიბეებს ჩავივლი და ქუჩაში გავალ.

## ბახჩოე ისკო

### რუსეთს

ხალხებს წინ უძღვის შენი სინათლე,
ქართველთ მამულიც შენს ძმურ გულს ენდო,
ცხრაასჩვიდმეტის მებაირახტრევ,
თავისუფლების დროშავ, რუსეთო.

სიკეთის ბურჯად დგახარ მთასავით,
არც მტრის წინ იცი დახრა ქედისა,
ხარ შუქმდიდარი შუქურვარსკვლავი
თხუთმეტთა თანავარსკვლავედისა.

და აი ერთი ქურთი პოეტი
გულით გიმღერი საქართველოდან,
უშენოდ ამ შუქს ვერც მე ვპოვებდი —
გულზე ღამის ფრთა გადამფენოდა.

დევნილს მშობლიურ ქურთულ მიწიდან
მემშობლიურა საბჭოთა მიწა,
მის დროშას ვუთხარ საძმო ფიცი და
შენში უფროსი ძმის სითბო ვიცან.

მადლობა შენდა! სწვდება სამყაროს
შენი ძახილი საგანთიადო,
მშვიდობის ბურჯო, ლიბომაგარო,
ძმათა მრავალთა კერავ დიადო!

თარგმანი თეიმურაზ ჯანგულაშვილისა.

## ჯარდოე ასადი

### მთები მიყვარს

მუდამ ეს აზრი მდევს,
მუდამ ამ ფიქრში ვტკბები:
მე მირჩევნია ზღვებს
ეს აშოლტილი მთები.

მთები ახარებს თვალს,
უცებ მშვიდდება გული.
უფრო ახლოა ცა
და უფრო ვწვდები სურვილს.

მივდევ დახვეულ გზას,
ღრუბლებს მივაპობ მკერდით.
მათი სიმაღლე მწვავს
და მეც სიმაღლეს ვეტრფი.

ფერი ამშვენებს ფერს,
ჰფანტავს ელვაზე ელვას.
კლდიდან გადმომსკდარ ცრემლს
ვაქსოვ მეც სულის ღელვას.

აქ საუფლო აქვს შველს,
ცა რქით უჭირავთ ჯიხვებს,
არწივთა წყურვილს ჰკლავს,
წყარო ლაჟვარდს რომ იხვევს.

მუდამ ეს აზრი მდევს,
მუდამ ამ ფიქრში ვტკბები.
მე მირჩევნია ზღვებს,
ეს აშოლტილი მთები.

### ფიქრებო ჩემო

ხან ზღვის ტალღებს ხართ შერთული,
ხან ღრუბლებს მისდევთ ზემოთ,
ხან ელვის რაშით მიფრინავთ,
სადღაც, ფიქრებო ჩემო.

ღამით მთვარის შუქს გულს ანდობთ,
ეძებთ ვარსკვლავთა ჩეროს.
დღისით მზის ბრწყინვალებაში
ფრთებს შლით, ფიქრებო ჩემო.

სადაც არ უნდა ვილტვოდე,
გზაა შორი თუ ახლო,
თქვენც იქ ხართ, ჩემო ფიქრებო,
ერთ ნათელ ჭერქვეშ ვსახლობთ.

გრიგალებს იხვევს ხმელეთი,
თუ მზე აღარ ჩანს ზღვაზე,
მე მაინც, ჩემო ფიქრებო,
თქვენ სიყვარულით მავსებთ.

ხან ზღვის ტალღებს ხართ შერთული,
ხან ღრუბლებს მისდევთ ზემოთ,
ხან ელვის რაშით მიფრინავთ,
სადღაც, ფიქრებო ჩემო.

თარგმანი ვახტანგ გორგანელისა.

## ჯულიეტა ჩოლოიანი

### მზე მისი ეშხით მომკიდებია

მე დავიბადე საქართველოში
და გავიზარდე როგორც ქართველი,
მე ჯადოსნური მხარე ვიხილე
და ვარდ-ყვავილთა სუნთქვით დავთვერი.

მისი ანკარა წყარო დავლიე,
მზე მისი ეშხით მომკიდებია,
ეს ბერმუხები ჩემი ძმებია,
ეს ტირიფები ჩემი დებია.

ჩემი ოცნების მწვერვალზე დგანან
მარადისობის დიდი მხლებლები,
ქართველი ხალხის ბრძენი შვილები,
ჩემი უკვდავი მასწავლებლები

ვაჟა, აკაკი, ილია, შოთა —
მეუფეები გულთა და დროთა.

მომხიბლა პირველმავე სტრიქონმა: „სიყვარულს მხოლოდ სიმღერა უყვარს“. ვაგრძელებ ლექსის კითხვას: „სიყვარულს მხოლოდ გაგება უნდა, ყოველ ასაკში სტუმრობა უყვარს, კარებს გააღებ — შემობრძანდება, თუ არ გაუღებ, მაინც შემოვა“. ამ სტრიქონების ავტორია თბილისელი ქურთი ქალიშვილი ლია კასოევა, ეს-ეს არის საშუალო სკოლა რომ დაუმთავრებია.

„მე დავიბადე საქართველოში და გავიზარდე როგორც ქართველი“ — მახსენდება მეორე ქურთი ქალიშვილის ჯულიეტა ჩოლოიანის სტრიქონები (ჟურნალი „დროშა“ ამ ლექსს აქვე სთავაზობს მკითხველს).

ჭეშმარიტად „სიყვარულს მხოლოდ სიმღერა უყვარს!“

მოძმის სიყვარული, სამშობლოდ ქცეული ქვეყნის სიყვარული, სიცოცხლისა და ადამიანური გულის მშვენიერება ამღერებთ ჩვენს ძმებს, ცნობილ ქურთ პოეტებს — ბაღჩოე ისკოს და ტოგარ ბროევს, აზიზე ისკოს და ჯარდოე ასადს, ჯალილე აჯოეს და მორო მამედოვს, ადოე ჯანგოს, ლატიფ ჰუსეინ ბროიანს, შკოე ჰასანს... ქართველი კოლეგების მიერ თარგმნილი მათი ნაწარმოებები გამოდის ცალკე კრებულად. ბოლო წლებში სახელოვან პოეტებს მხარში ამოუდგნენ ნიჭიერი ახალგაზრდები — თენგიზ ბაღოიანი, ლია კასოევა, ჯულიეტა ჩოლოიანი.

საქართველოში მცხოვრები ქურთი პოეტების სიყვარულით შთაგონებული ხმამაღალი სიმღერის ხმებში ხშირად გულიდან წამოსული კვნესაც გამოერევა ხოლმე — ეს არის ტკივილი მათი წინაპრების სამშობლოზე, მრავალტანჯულ ქურთისტანზე.

ბოლო წლებში საგრძნობლად მომძლავრდა ქურთული ინტელიგენცია. ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მოღვაწეობენ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ლამარა ფაშაევა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ლუსია ალოევა, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი ქერიმ ამოევი... ახლახან თბილისში საფუძველი ჩაეყარა ქურთულ სახალხო თეატრს, რომელსაც სათავეში ნიჭიერი ჟურნალისტი მრაზ ჯაფაროვი უდგას. ნაყოფიერად მუშაობს პროფკავშირების სასახლესთან არსებული ქურთული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. საქართველოს რადიომაუწყებლობასთან შექმნილია ქურთული გადაცემების რედაქცია.

მრავალეროვანი რესპუბლიკის ძმურ ოჯახში ცხოვრობენ და შრომობენ ჩვენი ძვირფასი ქურთი მეგობრები. ხმა მათი ალალი და ვაჟკაცური გულისა ძალუმად ისმის საქართველოს მიწა-წყალზე შექმნილ ქურთულ პოეზიაშიც, რომლის რამდენიმე ნიმუშსაც მკითხველი ამ ნომერში გაეცნობა.

**თეიმურაზ ჯანგულაშვილი**

**აზიზე ისკო**

## საქართველოს

ჩემმა პაპებმა, დევნილებმა მშობელ მიწიდან,
მიწავ ქართულო, შენს კალთაში ჰპოვეს ნუგეში,
მეც თურმე შენი მშობლიური კალთა მიცდიდა —
დავიბადე და გავიზარდე შენს თბილ უბეში.

ეს შენ მანოვე უტკბილესი ძუძუ დედისა,
ედემის ბაღში დამირწიე ნაზად აკვანი,
ნანას მიმღერდნენ ფერიები, დილამ მტრედისფრად
გამიღო დიდი სიყვარულის ყველა ცხრა კარი.

ავიდგი ფეხი, დავვაჟკაცდი — მზით მოელვარე
გამიხსენ გზები და მე იმ გზებს გავყევი გზნებით,
შენ მაზიარე სინათლის და ცოდნის მწვერვალებს,
გულში ნათელი სიყვარული ჩამინთე ძმების.

მე შენს მიწაზე გავიზარდე, ტკბილმშობლიურო,
არ მომკლებია შენი ზრუნვა, შენი ამაგი,
ყველგან თანა მდევს შენი გულის სითბო მზიური,
ვმღერი, ვივსები სიხარულით და სიამაყით.

და თუ ოდესმე შეესია შენს ცას ღრუბლები,
საქვეყნოდ შერცხვეს და არ იყოს სიცოცხლის ღირსი,
ვინც შენი მზის და თავისუფლების
დაცვისთვის ომში დაიშუროს სიცოცხლე თვისი.

თარგმანი თეიმურაზ ჯანგულაშვილისა

პროფესიით გეოლოგი, ამჟამად საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ფოტოსექციის თავმჯდომარე, საქინფორმის ფოტოინფორმაციის მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორი, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი ოთარ თურქია ჩვენს ქვეყანაში და უცხოეთში მრავალი ფოტოგამოფენის მონაწილეა.

ამ გამოფენებზე ქართველმა ხელოვანმა ბევრჯერ ისახელა თავი. მისმა ნამუშევრებმა საერთო მოწონება, დიპლომები და ქების სიგელები დაიმსახურა.

ცნობილ ფოტოჟურნალისტს ოთარ თურქიას 60 წელი შეუსრულდა. ჟურნალ „დროშის“ რედაქცია ძველ თანამშრომელს გულითადად ულოცავს ამ საიუბილეო თარიღს და ჯანმრთელობას, პირად ბედნიერებას, ახალ შრომით წარმატებებს უსურვებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მილოცვა

ჟურნალ „დროშის“ ჩანართის შიდა გვერდებზე მკითხველებს ვთავაზობთ ფოტოსურათებს, რომლებიც ოთარ თურქიამ ახლახან გადაიღო იაპონიაში.

**საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები რსფსრ-ში**




სასტუმრო „სვერდლოვსკი“ ქალაქ სვერდლოვსკში.



სურათზე: ურალი ეგებება სტუმრებს. პიონერთა ბანაკ „მზის ქალაქში“.

## თამარ დემეტრაშვილი

### იმედი

პატარა, პატარა ბიჭი,
პატარა, პატარა გოგო,
ფიქრები, ფიქრები დიდი,
იმედი, იმედი დიდი,
ლოდინი, ლოდინი ხვალის,
ოცნება, ფიქრები ხვალის,
მომავლის ნათელი დილა,
მომავლის ნათელი სხივი.
შორს არის სიბერე, დაღლა,
შორს არის ტკივილი, დარდი,
შორს არის სათევი ღამე.
შორს არის, შორს არის ჯერაც
იმედის გატეხა ხვალის.
ჰოდა ამ პატარა ბიჭის,
ჰოდა ამ პატარა გოგოს
თვალებში ციმციმებს სხივი
მომავლის ნათელი დილის.

### ზამთრის საღამო

ჭიქაში გამომწყვდეულა
ასიათასი მზე,
და ბერიკაცი მიმჯდარა
ბუხრის კუთხეში დღეს,
მოვერცხლილ ყანწით დალოცავს
ჯერ მამულს, მერე ერს,
ომში წასულთაც ნაუქცევს,
და გაიხსენებს ძმებს,
პურს ყუას ჩამოატეხავს,
ლოცავს ასულს და ძეს,
და მიწის მადლის, ბარაქის
სადღეგრძელებელს სწევს.
...ეს ბერიკაცი მიმჯდარა
ბუხრის კუთხეში დღეს,
დააბინავა ნაშრომი,
ლოცავს მამულს და ერს.

## ქრისტინე ჟინჟარაული

### ათას ხუთასი სანთელი

ვუძღვნი თიანეთის რაიონიდან ომში დაღუპულ 1500 ვაჟკაცის ხსოვნას.

შენს ბარათს ვეთაყვანები
გაცვეთილს დედის უბეში,
ეს იყო დედის იმედი,
დედის სითბო და ნუგეში.
სწერ: „მშობლის დაცვა ოდითგან
შვილის ვალი და წესია,
ორჯერ დავიჭერ, დედილო,
ერთხელ არ დამიკვნესია.
ნუ დარდობ, დედავ, გვერდს მყვანან
შენებრ სხვა დედის შვილები,
ან ჩამიხუტებ ვალმოხდილს,
ან მამულს შევეწირები!“
ვერ დაუბრუნდი დედილოს,
ფიქრი ვერ დაუფრთიანე!

და უცხო მხარეს ცხრა ძმასთან
სამარე გაიზიარე.
ასე ჰქნებოდა იმედი,
ათასი, ერთი კი არა,
ასე გაუჩნდა მთებს გულში
ათასხუთასი იარა.
სამშობლოს გმირთა [illegible]
მოგიძებნიათ ადგილი,
ცის კიდეს [illegible]
[illegible] ქართული მანდილის
გეამბორებით როგორც ძმებს,
ნაბრძოლთ, ნატანჯთ და ნატყვიართ.
თქვენი გმირული მარჯვენა
ჩვენს სოფლებს ჯერაც ატყვია
აყვავდა ია, ენძელა,
მაისი ისევ მაისობს,
მთამ არწივების მართვებით
უბე კვლავ უხვად აივსო.
ივრის ნაპირას აგინთეთ
1500 სანთელი.
წინ უძღვის ახალგაზრდობას
თქვენი გმირობის ნათელი.

## გაბრიელ გარსია მარკესი

# სიკვდილის ბატალიონი

კუბურმა გაზეთმა „გრანმა“-მ გამოაქვეყნა სახელგანთქმული კოლუმბიელი მწერლის გაბრიელ გარსია მარკესის სტატია იმ ტერორისტული ბანდის შესახებ, რომელიც მას სიკვდილით დაემუქრა. მკითხველს ვთავაზობთ ამ პუბლიკაციას მცირედი შემოკლებით.

ბოგოტას ქუჩაზე თავში პისტოლეტის ხუთი გასროლით მოჰკლეს ყველაზე საჩინო ადვოკატი, პოლიტიკურ პატიმართა უფლებების დამცველი ენრიკე ჩიპაგუატა გალვისი. რამდენიმე საათის შემდეგ ერთ-ერთმა იატაკქვეშა ჯგუფმა („სიკვდილის ბატალიონი“) იკისრა მთელი პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისათვის და მასობრივ ინფორმაციათა საშუალებებს წარუდგინა თავის მომდევნო მსხვერპლთა სია. ამ სიაშია ჟურნალისტი ქალი მარია ხიმენა დუსანი. სიაში მეორე ნომრად მითითებულია დოქტორი ალფრედო ვასკეს კარისორა — ალფონსო ლოპეს მიქელსენის მთავრობის დროის ელჩი ლონდონში და მოქალაქეთა უფლებების დაცვის კოლუმბიის კომიტეტის ახლანდელი თავმჯდომარე. მესამედ, — როგორც ჩანს, მოკრძალების ნიშნით, — ჩემი სახელი წერია.

აღნიშნული ჯგუფი, მისივე წევრების თქმით, შეიქმნა ვითომ იმისათვის, რომ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა გატაცებების წინააღმდეგ ებრძოლა კოლუმბიაში, რის გამოც წარმოიქმნა მისი სახელწოდება...

ხმები დადის, ამ ორგანიზაციის წევრები ყოფილი გადამდგარი სამხედრო მოსამსახურენი არიანო, რომელთაც მანამდე ნარკოტიკებით მოვაჭრეთა მაფია აფინანსებდა და ზოგიერთის ოჯახიც თავად ქცეულა ამ გატაცებების მსხვერპლად. კოლუმბიის ხელისუფალნი მუდამ ხმაგაკმენდილნი იყვნენ ჯგუფის გამომწვევი მოქმედების მიმართ, თავდაცვის მინისტრმა, გენერალმა ლუის კარლოს კამაჩომ კი ერთი ასეთი ფრაზით დაახასიათა ორგანიზაცია: — „მაფიის შენიღბული ხალხი“.

ეჭვი არ არის, კანონის წარმომადგენლის მკვლელობა და იმ ადამიანების დაშინება, რომელთაც საერთო არაფერი ჰქონიათ გატაცებებთან, და არც რაიმე ურთიერთობაში ყოფილან მაფიასთან, თავ-თავის ადგილზე აწყობს ყოველივეს. ეს ის ჯგუფია, რომელიც შეიქმნა პოლიტიკურ მოღვაწეებთან კანონსაწინააღმდეგო მეთოდებით საბრძოლველად, არსებული რეჟიმით უკმაყოფილო ადამიანების ფიზიკური მოსპობის მიზნით. არსებითად, ამ ჯგუფის წევრები არიან „კომანდოს“ — არგენტინელ, ურუგვაელ და ჩილელ კოლეგათა ყაიდაზე გაწვრთნილი არმიული დაზვერვის მოსამსახურენი. და მართლაც, დღეს ყველამ შეიტყო ის სიმართლე, რომ ეგრეთ წოდებულ „სიკვდილის ბატალიონებს“ ამ ქვეყნებში იმ პროფესიონალი სამხედროთაგან აყალიბებენ, ან საკუთარი მოწოდებით, ან სხვათა ჩაგონებით რომ აურჩევიათ ადამიანის ფიზიკური მოსპობის ოსტატთა საზარელი სპეციალობა. თავიანთ ქვეყნებში დავალებათა აღსრულების შემდეგ მრავალი მათგანი, როგორც ირკვევა, საკუთარ სამსახურს სხვა სახელმწიფოებსაც სთავაზობს. ისინი თავს იყრიან ჰონდურასში — ნიკარაგუას წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციებისათვის, ტოტალური ტერორისა და სიკვდილის ხელოვნებას ასწავლიან სალვადორის ხუნტას. ყველგან შეაღწევენ ხოლმე, ჩვენი კონტინენტიდან ძლიერი დაშორებით, თვით სამხრეთ აფრიკაშიც, სადაც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე რეპრესიული მთავრობა ერთობ დიდად აფასებს მათს უნაკლო პროფესიონალიზმს პირახდილი მკვლელობებისას. მთავრობის მიერ განუწყვეტელ უარყოფათა მიუხედავად, კოლუმბიაში სრულიად აშკარაა ამ ტერორისტულ ორგანიზაციათა არსებობა. 1980 წლის ივლისს ბოგოტას გაზეთების რედაქციებში დაიგზავნა მამხილებელი წერილი, რომელიც, რასაკვირველია, არც ერთმა ბეჭდვითმა ორგანომ არ გამოაქვეყნა. იგი ეკუთვნის „სიკვდილის ბატალიონის“ ყოფილი წევრის, არმიული ლეიტენანტის კალამს და მას ხელს აწერენ მისი ამხანაგები: ორი სერჟანტი და კაპრალი, როგორც თვითონ ამბობენ, დაზვერვისა და კონტრდაზვერვის იმ ბატალიონის მოსამსახურენი, რომელსაც „გარი სოლანოს ბატალიონის“ სახელწოდებით გაეთქვა სახელი.

აღნიშნულ წერილში ისე დაწვრილებით იყო აღწერილი დანამდვილებით მომხდარი ამბავი, რომ აქ უძლურია ნებისმიერი ავტორი ლიტერატურული ფანტასტიკისა. მოთხრობილი იყო, თუ როგორ შეიქმნა 1978 წელს კოლუმბიაში ერთი ჯგუფი „სამი A“-ს სახელწოდებით. ჯგუფის სახელწოდებაც და მისი ფუნქციებიც მთლიანად და სრულად შეესიტყვებოდნენ არგენტინაში მოქმედ მსგავს ბანდას. ამ ბანდაში შედიოდა „ესკადრონი პროპაგანდის ხაზით“, რომლის ამოცანასაც შეადგენდა სახლების კედლებზე სალებავით რეაქციული ლოზუნგების დათხაპნვა. „იმ შემთხვევაში, თუკი მოგვიხელთებდნენ, — ეწერა წერილში, — ჩვენ შეგვეძლო უშიშრად დავნებებულიყავით ხელისუფალთ, რადგან ბოლოს მაინც გაგვათავისუფლებდნენ“. ამ ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა ყუმბარები ჩაუწყო ბოგოტას სამი პროგრესული გაზეთის რედაქციებს: „ალტერნატივას“, „ბოგოტანოს“ და „ვოზ პროლეტარიას“. ამ ჯგუფის საქმიანობა ზუსტად შეესაბამება იმას, რასაც სულ უფრო და უფრო სისტემატურად და მზარდი, საშიში მასშტაბებით აწარმოებს.

წერილში მოყვანილია ერთი პარტიზანული ხელმძღვანელის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ორგანიზატორთა ნამდვილი სახელები. ჯერ საშინლად აწამეს მანუელ მარტინეს კუიროსა და შემდეგ კი გულგრილად დახვრიტეს. ზოგიერთი მოყვანილი ფაქტი სისასტიკით თავზარსა გცემს:

„ექიმ მარია ლოპესს სამართებელი მისცეს ხელში და უბრძანეს, თავი მოეკლა. და მან, აუტანელი ტანჯვის შიშით, გადაიჭრა სისხლძარღვები...“

წერილში რამდენჯერმე მეორდება: „მზად ვართ ნებისმიერ დროს წარმოვადგინოთ ჩადენილ დანაშაულობათა და მათი მეთოდების დამამტკიცებელი საბუთები“.

მოკლედ, ჩვენთან, კოლუმბიაში, ამჟამად საკუთარი „სიკვდილის ესკადრონი“ გვყავს, რომლის „კეთილ“ ნებაზეა დამოკიდებული ჩვენი ბედიღბალი. მე აღვიქვამ ამ საშიშროებას მთელი სერიოზულობით, რასაც იგი იმსახურებს. არაერთხელ განმიცხადებია, რომ მძულს ტერორის ნებისმიერი ფორმა, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს და რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს, რადგან მიმაჩნია, იგი ბრძოლის უღირს, უკანონო მეთოდად.

ამ წუთისოფლად ჩემს მოკვლაზე სამარცხვინო საქმეს ვერც მოძებნი: თავდაცვის არავითარი იარაღი არ გამაჩნია, გარდა საბეჭდი მანქანისა. მაგრამ მე სულაც არ ვაპირებ საკუთარი პრინციპებისა და რწმენის უარყოფას მხოლოდ იმისათვის, რომ რამდენიმე ზედმეტი წელი კიდევ ვიცოცხლო!

თარგმანი ვახილ მჭედლიშვილისა

# დიდ გზაგასაყარზე

დალი ჭილაია

ქართული სიტყვის დიდი ოსტატი ლეო ქიაჩელი რევოლუციური საქართველოს ჭეშმარიტი მემატიანეა. დიდი რეალისტის თვალით არის გაცოცხლებული 1905 წლის რევოლუციური საქართველო „ტარიელ გოლუაში“, რეაქციის ეპოქა — „სისხლში“. „ჰაკი აძბაში“ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებით გამოწვეული უსასტიკესი სამოქალაქო ომის რეალური სურათია დახატული. საბჭოთა ხელისუფლება შეუპოვრად ებრძოდა რევოლუციის მტრებს „შავ ზღვაზე და მის სანაპიროებში სისხლის თქეში იდგა და წითელი რისხვა ჰქუხდა კიდით კიდემდე. მისი ექო მკაფიოდ ისმოდა აფხაზეთში“.

ერთბაშად შევყავართ ავტორს პოლიტიკური ცხოვრების მორევში, ასევე ერთბაშად გამოჩნდება ბოლშევიკების კრეისერი „შმიდტი“ და მისი მეთაური „მრისხანედ“ წოდებული კუზმა კილგა.

ამბავი, რომელსაც ავტორი მოგვითხრობს, მოხდა ქალაქ სოხუმში 1918 წელს. ძველი და ახალი რუსეთი სამკვდრო-სასიცოცხლოდ შესჭიდებია ერთმანეთს. ქალაქი ძველისა და ახლის გზაგასაყარზეა ნაჩვენები. მოთხრობაში მკვეთრადაა გამოხატული რევოლუციური რუსეთი და მისგან ისტორიის სანაგვე ყუთში გადასროლილი ძველი, დიდგვაროვანი წოდებანი, მათი მხედრიონნი. ავტორი დასაწყისშივე გვაფრთხილებს, რომ მთავარი გმირი კუზმა კილგა ულმობელია ყოველივე იმის მიმართ, რაც რევოლუციას ებრძვის.

ძველ მეზღვაურს, 1905 წლის მეამბოხე ბოცმანს, კუზმა კილგას მეფის მთავრობამ შმიდტის აჯანყებაში მონაწილეობის მიღებისათვის უვადო კატორღა მიუსაჯა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ კილგა ისევ თავის საქმეს დაუბრუნდა და შავი ზღვის ფლოტში თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა. მისი სახელი მალე ცნობილი შეიქმნა. მტრებმა მას „მრისხანე“ შეარქვეს, რაც მის უწყინარსა და უბრალო სახელს გვარის მაგიერ მიემატა და მერე ისე შეეზარდა, როგორც აუცილებელი და მრავლისმეტყველი ეპითეტი — კუზმა მრისხანე.

საბჭოთა მთავრობამაც იგი დიდი ნდობით აღჭურვა, თავისი უძლიერესი სამხედრო გემის — კრეისერი „შმიდტის“ — მეთაურობა ჩააბარა.

კუზმა კილგას პორტრეტს უმალ მოსდევს ქალაქის თავის სამსონ დავანაძის დახასიათება. — „თვითონ თავი ძველ რევოლუციონერად მოჰქონდა, ბოლშევიკების არ ეშინოდა. — მეფის დროს ციმბირში იყო გადასახლებული რევოლუციონერობისათვის“. მაგრამ მაინც ორჭოფობდა, თუ როგორ დახვედროდა ბოლშევიკების კრეისერ „შმიდტს“.

„თუ მოყვრულად დავხვდი, — ფიქრობდა იგი, — შენი მტერია, ბოლშევიკობას შემწამებენ... თუ მტრულად — გაბედე, თუ ვაჟკაცი ხარ: ნავი კი არ არის, კრეისერია ნამდვილი, მერე ისიც ბოლშევიკების, რისი იმედით? ის კუზმა მრისხანეც უთუოდ ტყვილად არ ატარებს თავის სახელწოდებას“.

საგონებელში ჩავარდა ქალაქის თავი. იგი მერყევი და მშიშარაა, ეძებს გზას თავი დააღწიოს შექმნილ რთულ სიტუაციას. „პირველი ნაბიჯი“, რომელიც მან გადადგა ეს იყო, თბილისში საიდუმლო დეპეშა გაგზავნა: „ასეა საქმე და როგორ მოვიქცეთო“. მაგრამ საქმეში ჩახედულმა სამსონ დავანაძემ იცოდა, რომ დროზე არავინ უპასუხებდა. „მას სწორედ დეპეშის შედგენის დროს მოაგონდა, რომ სოხუმშიაც არსებობდა მუშათა,- გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, რომლის თავმჯდომარედ დავანაძის კარგი მეგობარი ნარიქ ეშბა ითვლებოდა“.

სწორედ ნარიქ ეშბა გამოიძახა თავისთან ქალაქის თავმა. მან კი ურჩია, მოეწვიათ მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რათა გადაეწყვიტათ, რა სახით დახვედროდა ქალაქი ბოლშევიკებს.

მოყვანილი ადგილიდან არა მარტო ისაა ნათელი, რომ ნარიქ ეშბა ჭკვიანი და მოხერხებული კაცია, არამედ ის, რომ იმჟამად სოხუმში მოქმედი ყველა პოლიტიკური ჯგუფი ცდილობს, თავიდან აიცდინოს პასუხისმგებლობა, ბოლშევიკების კრეისერთან შეხვედრისა, ამიტომაც სხდომაზე არ გამოცხადდნენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. სხდომა ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ ბექირბი ჩაჩბამ გახსნა.

— „რა ვქნათ, ბოლშევიკები კარს მოგვადგნენო.

სიჩუმე ჩამოვარდა.

მაშინ წამოდგა უპარტიო რაჟდენ თორია, ხმოსანი და მდიდარი მესაკუთრე. სხდომაზე საგანგებოდ მოწვეული, როგორც სოხუმის გავლენიანი პირი და სიტყვა ითხოვა.

— რაკი ჩვენი პოლიტიკური ხელმძღვანელები სდუმან, ნებას ვაძლევ ჩემს თავს მოგახსენოთ შემდეგი სოხუმის ყველა მცხოვრებლის სახელით. აქ არიან ბევრნი და კიდევაც დამეთანხმებიან. მე მგონია, ლაპარაკისათვის დროც არა გვაქვს, მაგრამ საკითხი ისედაც ნათელია. ახლა პოლიტიკური ანგარიშების გასწორების დღე არ გვადგია. ჩვენ, უბრალო ხალხი, ამ ანგარიშებში არც ვერევით. ეს ჩვენი საქმე არ არის. ღმერთმაც დაგვიფაროს. არც მივცემთ არავის ნებას ისედაც გართულებული მდგომარეობა დღეს უფრო მეტად გავართულოთ. ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთი რამ: რადგანაც კრეისერი „შმიდტის“ ერთი გასროლაც კი საკმარისია, რომ ჩვენი სახლები და მთელი ჩვენი სარჩო-საბადებელი, რაც კი გაგვაჩნია, ცეცხლმა თვალის დახამხამებაში ჩანთქას, ჩვენი ყოფაქცევაც ამ უეჭველი გარემოებიდან უნდა გამომდინარეობდეს. გემიც და მისი მეზღვაურებიც მთელმა ქალაქმა ისეთი პატივისცემით უნდა მიიღოს, რომ ეჭვიც კი არავის არ უნდა დაებადოს ჩვენს მათდამი თანაგრძნობასა და მეგობრულ განწყობილებაში, მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ გემის ყველა მოთხოვნილება, რაც კი იქნება, დაუყოვნებლივ უნდა დავაკმაყოფილოთ, რაც უნდა დაგვიჯდეს მაინც. ვინც სხვანაირად გვირჩევს, იმათ, ალბათ, ჩვენი დაღუპვა უნდათ.

მთელმა დარბაზმა ერთხმად წამოიძახა:

— მართალია, სწორია“.

ამ ვრცელი ამონაწერიდან ნათლად ჩანს სამეულის — თავად ნარიქ ეშბას, ქალაქის თავის სამსონ დავანაძის და ანგარიშიანი კაცის, კერძო მესაკუთრის ტიპიური წარმომადგენლის რაჟდენ თორიას სახე. ყველა მათგანს საკუთარი თავის გადარჩენის ინტერესი ამოძრავებს.

მუსიკით, ზარ-ზეიმით მოუწყვეს შეხვედრა ბოლშევიკების კრეისერ „შმიდტს“. ხელისუფლების თავკაცები ფაცი-ფუცობდნენ, სასტუმროს რესტორანში სუფრას შლიდნენ ასი კაცისათვის.

ამავე სასტუმროს მეორე სართულზე ფანჯრებდახშულ ოთახში ხუთი კაცისაგან შემდგარი ჯგუფი წინა ღამის ნავახშმევს დაწყებულ ბანქოს თამაშს განაგრძობდა. მაგიდა ფულით იყო მოფენილი. თამაშობდნენ ოთხნი. მეხუთეს, თავად უჯუშ ემხას, ეძინა.

მთელი ეს სცენა საოცარი გულთამხილაობით და მხატვრული გარდასახვითაა აღწერილი, სიზმრის სახითაა წარმოდგენილი ის, რაც შემდეგ ახდება კიდეც. ეს მხატვრული ხერხი საოცრად გვაგონებს აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკში“ გამოყენებულ სიზმრის სცენას. თავად ლეო ქიაჩელი სამი წლით ადრე წერდა: „ყველაზე უფრო ხშირად სიზმარს მიმართავდნენ, როგორც საიდუმლოების ელემენტარულ სახეს. მოვიგონოთ ხალხური ზღაპრები. სიზმარი დაბადებაშიაც არის გამოყენებული და აი აკაკიც „ბაში-აჩუკში“ უწინარეს ყოვლისა ამ ნაცად ხერხს მიმართავს. ხოლო აკაკის ხელოვნება იმაში გამოიხატება, რომ ეს გაცვეთილი ხერხი ისე თავისებურად გამოიყენა, ისე ჩააქსოვა მოთხრობის სხეულში, რომ სრულად ჩააბუნებრივა, ხერხის სახე დაუკარგა და სიუჟეტის განვითარების ერთ-ერთი მამოძრავებელ ძალად გახადა“ (ლ. ქიაჩელი, ტ. IV, გვ. 315). ლეო ქიაჩელმაც ამავე პრინციპით გამოიყენა „ჰაკი აძბაში“ სიზმარი. ასე გვიხატავს მწერალი მძინარე უჯუშ ემხას:

„მიუხედავად იმისა, რომ ეძინა, სახეზე რაღაც ღრმა წუხილის ლაქები მიმოცურბოდნენ, რომლებიც დახუჭული თვალების საბუდეებში ღამის შავი ფრთებით ეფინებოდნენ. ნისკარტივით მოხრილი მომცრო ცხვირის ნესტოები მოხშირებულ სუნთქვისაგან უფართქავდნენ, ემლებოდნენ და ეკეცებოდნენ, როგორც ნატიფად ნაზარდ ჯიშიანცხენს ძლიერ, შეუფერებელ ტვირთის ქვეშ. შვინდისფერი მოკლე ახალუხი ტანზე ბუნებრივი კანივით შემოკეროდა და უხორცო გულმკერდის ძვლის ზოდებსა და კუნთებს უჩენდა. წელის ნაკვს ორი თითი შემოწვდებოდა.

ეს იყო აფხაზი თავადი უჯუშ ემხა, მეფის დაშლილი ჯარის ოფიცერი, — შტაბროტმისტრი ჩერქეზთა რაზმის აფხაზური ასეულისა, რომელიც ომის დროს ავსტრიის ფრონტზე იბრძოდა.

დაშლილი ფრონტიდან წამოსული მხოლოდ ახლახან დაბრუნებულიყო სამშობლოში, სამ თვეზე მეტი სამოქალაქო ომის ცეცხლში ეტრიალა. აჯანყებული ჯარისკაცების შურისძიების გუგუნს „ჰკა მაგას“ გადარჩენოდა, მრავალი საფრთხისა და განსაცდელისაგან თავი დაეღწია განუყრელად მასთან მყოფი ურთგულესი ძიძიშვილის ჰაკი აძბას დახმარებით, რომელთანაც ერთად მშობელ კერას უვნებელი დაბრუნებოდა.

სიცოცხლის გარდა, ორი რამ განძი ჩამოყოლოდა, რომლებსაც სიცოცხლეზე უფრო აფასებდა და უფრთხილდებოდა. ეს იყო სიყრმიდანვე მისი საოცნებო ოფიცრის ეპოლეტები და ოფიცრისვე გიორგის ოქროს ორდენი.

მაგრამ ერთი რამ საჩუქარი მისთვის სამოქალაქო ომსაც გამოეტანებია: ეს კი იყო მისი პრიმიტიულ სულზე შიშის ლანდების სახით დასმული უჩინარი დაღი, რომელიც ისევე არ შორდებოდა მის შინაგან არსებას, როგორც გიორგის ჯვარი მკერდს და ეპოლეტები მხრებს“.

მოტანილ ეპიზოდში სრული სახით არის წარმოდგენილი უჯუშ ემხას პორტრეტი, ამავე დროს საოცარი ფსიქოლოგიური სიმართლით არის გამოხატული ოქტომბრის რევოლუციისაგან დამარცხებული თეთრი ოფიცრის სულიერი მოძრაობის ყველა ტრაგიკული ნიუანსი.

ხასიათის ამგვარი სისრულით დახატვა ჩვეულებრივ ნოველისათვის არ არის დამახასიათებელი. სამეცნიერო ლიტერატურაში კი ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბა“ ნოველად არის აღიარებული. ჩვენი აზრით, „ჰაკი აძბა“ თავისი კომპოზიციით, შინაარსის სისრულით, ხასიათების დახატვის სისავსით, წერის მანერით უფრო მოთხრობაა, ვიდრე ნოველა. აქ მთავარი პერსონაჟები წარმოდგენილია მთელი ფსიქოლოგიური, სოციალური და პოლიტიკური კრედოთი.

თვით ამბავი ეპოქალურია, მაშტაბური, ვრცელი. ძველისა და ახ-

ლის ბრძოლა, ტრადიციულისა და რევოლუციურის ურთიერთ შეჯახება აქ წარმოდგენილია საოცრად ამაღლებულად და განზოგადებულად. თანაც ისე, რომ მწერალი არც ერთ მხარეს არ აკლებს ფერებსა და სალებავებს. ხასიათების ფსიქოლოგიური სიმართლით გამოხატვის თვალსაზრისით შეუმცდარია ავტორის ალღო.

მივყვეთ მოთხრობას. უჯუშ ემხა სიზმრისაგან შეძრწუნებული ბორგავს. მას ეჩვენება, რომ ბოლშევიკები მოსდევენ მოსაკლავად. სიზმარში მშფოთავ ემხას აღვიძებენ ბანქოს მოთამაშენი.

ასე თანდათანობით სიზმარი ცხადში, ნამდვილში გადადის. სოხუმს მართლა მოადგა ბოლშევიკების კრეისერი და სოხუმელები მას ზეიმით ხვდებიან; მუსიკის ხმები ოთახში შეაღწევს. მეგობრები უკვე ხედავენ კრეისერს. ბურანიდან გამოსული ემხა იმეორებს „შმიდტია... ბოლშევიკების გემი“. სიზმარი აცხადდა, ემხა და მისი მეგობრები ნავსადგურისაკენ გაემართნენ. გზაზე მათ ბოლშევიკების კრეისერის სამი მეზღვაური შეეყრება, რომელთაც ხრიატინიუკი ხელმძღვანელობს. ხრიატინიუკის თვალებს ცოფის ალი შეუკიდეს ემხას ოფიცრის ეპოლეტებმა და იგი ეუბნება:

„ოფიცერო, კრეისერ შმიდტის მეზღვაური გახლავარ, ვასკა-პირატი, აბა მითხარი, შენ ვინა ხარ? ემხა არ შენძრეულა. მედიდურად და დამცინავად გადახედა მეზღვაურს. ბრაზი მოერია ვასკა პირატს. ერთხელ კიდევ შეჰყვირა ვასკამ ოფიცერს და მარჯვენა ხელი ემხას ეპოლეტში ჩაასო მოსაგლეჯად. იმავე წამს რევოლვერი გავარდა და განგმირული ვასილ ხრიატინიუკი მიწაზე გაიშხლართა უსულოდ“.

დაიღვარა სისხლი, რევოლუციონერი ჯარისკაცების სისხლი. ასე ტრაგიკული გამოდგა ეს შეხვედრა. ზეიმით დაწყებული მიღება ტრაგედიით დასრულდა — ერთი მეზღვაური მოკვდა, მეორე კი დაიჭრა. კუზმამ თავის მხრივ, მძევლები მოითხოვა, ვიდრე ემხას მიჰგვრიდნენ მას. დაიძაბა მოთხრობის სიუჟეტი. თანდათანობით ვუახლოვდებით ქარიშხალს. მონახავენ უჯუშ ემხას. მას ძუძუმტე ჰაკი აძბასთან ერთად იპოვნიან.

მოქმედება ქალაქიდან რევოლუციურ გემ „შმიდტზე“ გადაინაცვლებს. ჰაკი აძბა, ემხა რომ იხსნას სიკვდილისაგან, თვით დაიბრალებს მეზღვაურის მკვლელობას. აქ საბოლოოდ გამოიკვეთა ჰაკის თავგანწირული ერთგულება ძუძუმტისადმი. მაგრამ სიკვდილს გადარჩენილი მეზღვაური გამოიცნობს ნამდვილ მკვლელს. ემხას დახვრეტენ და ზღვაში გადაისვრიან. კუზმას მოქმედებით გაბოროტებული ჰაკი აძბა ბრძოლაში გამოიწვევს კუზმასა და მის ეკიპაჟს.

— „შესდექ! — დაიგმინა კუზმამ და მარჯვენა ხელი რევოლვერისაკენ გააქანა. ჰაკი არ შესდგა, მაგრამ სანამ ტანს მოაჯირზე გადასახტომად მოიმარჯვებდა, კუზმასაკენ მოიხედა შეღრინებით.

— შენ სიკვდილი გეკუთვნის ჩემგან! — შესძახა კუზმამ, და ამავე წამს მისი რევოლვერიც გავარდა.

შუბლგანგმირული ჰაკი აძბა იატაკზე გაიშხლართა. წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— სულ ერთია, ეს მონა ადამიანად მაინც არ გამოდგებოდა... აიღეთ, გადააგდეთ.

დამშვიდებული ხმით წარმოთქვა კუზმამ და მოკლე, მაგრამ ბეჯითი ნაბიჯით თავის კაბინისკენ გაემართა“.

როგორც ცნობილია, მწერალმა ამ მოთხრობის ფინალი 1965 წლის გამოცემაში შეცვალა. ამ ვარიანტით გამოდის, რომ კუზმა კი არ კლავს ჰაკი აძბას, არამედ ჰაკი აძბა „შეურიგებლობის“ ცეცხლით ანთებული ზღვაში გადავარდება და თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს. ჩვენის აზრით, ხასიათის ფსიქოლოგიური სიმართლის გამოხატვის თვალსაზრისით პირველი, ანდრინდელი ფინალი, უფრო ძლიერიც იყო და ზუსტიც, ავტორის განზრახვა გასაგებია, მას სურს კუზმას მრისხანება „შეამსუბუქოს“, მაგრამ ამ ბოლო ვარიანტით ხასიათი მაინც არ იცვლება...

ადამიანის ზნეობრივი ქცევის საზომი ბოროტისა და კეთილის ბრძოლაში, კეთილის გამარჯვებას უნდა ეფუძნებოდეს. ამავე დროს ადამიანს ვაჟკაცობა, მეორე ადამიანზე ზრუნვა ამშვენებს. ჰაკი რომ იცავს ძმადნაფიცს ემხას, ეს მისთვის და ტრადიციის მიხედვითაც ბუნებრივია, ძმადნაფიცობის კოდექსით მის მოვალეობაში შედის. მაგრამ როცა მას უმტკიცებენ, რომ მისი ძმადნაფიცი რევოლუციის მტერია, ემხა ბოროტზე კეთილის გამარჯვების მოწინააღმდეგეა და ჰაკი, როგორც გლეხის შვილი, მოვალეა რევოლუციის მხარეზე იყოს, ეს კლასობრივი მიდგომა ჰაკის შეგნებაში არ შედის. ის ბოლომდის ერთგული რჩება ძმადნაფიცობის. აქ გაიყრება გზები რევოლუციონერ კუზმასა და ძველი ადათის დამცველ ჰაკი აძბას შორის. ჰაკისათვის არ არსებობს კითხვა, თუ ვინ არის რევოლუციის თვალსაზრისით ემხა. მას ფანატიკურად უყვარს იგი. ძმადნაფიცობის ვალდებულება უკარნახებს, თავი შესწიროს ემხას, სხვა საზომი, სხვა შეფასება, სხვა განსჯა გამორიცხულია მის აზროვნებაში. მაგრამ სწორად ამას ჰქვია მონური ერთგულება. ეს ახელებს კუზმა მრისხანეს. მისი ზნეობრივი განწყობა სწორედ ამ მონური ზნეობრივი ფსიქოლოგიური განწყობის წინააღმდეგაა ამხედრებული, როცა საკუთარი ხელით წირავს გლეხის შვილს, მაგრამ რევოლუციური მორალის წინააღმდეგ მოქმედ ჰაკის, კუზმას სიძულვილი ამოქმედებს, სიძულვილი ყოველივე არა რევოლუციურისადმი. აკი ამბობს ავტორი: „ეს იყო რკინისა და ფოლადისაგან შეკრული კრეისერი „შმიდტი“, რომელიც ზღვის სიღრმისაკენ შეუპოვრად გზას მიიკვლევდა ცეცხლით, ორთქლით და მებრძოლი ადამიანთა უდრეკი ნებისყოფით აღჭურვილი... კუზმას შეუძლებლად მიაჩნდა, რომ აფხაზ გლეხის შეგნებაში არ აღმოჩენილიყო სულ მცირე ნიადაგი მაინც რევოლუციური იდეის შესათვისებლად. ძველი მეზღვაური და რევოლუციონერი ერთგვარი შეჯიბრების გრძნობამ მოიცვა...

რევოლუციონერი კუზმა მრისხანე დარწმუნებულია, რომ კლასობრივ გრძნობას გამოუღვიძებს გლეხს, ჰაკი აძბას, რევოლუციის სამსახურში ჩააყენებს მშრომელი ხალხის შვილს, რევოლუციური იდეის შესათვისებლად ამზადებს თავადიშვილის მონა ძუძუმტეს. იგი შთაგონებულად მიმართავს კლასობრივად ბრმა ჰაკი აძბას: „შენ კი აქამდის ჩვენს მოსისხლე მტერს მხარს უჭერდი, ჰაკი. მაშინაც კი ეხმარებოდი, როცა მან ერთი მებრძოლი ამხანაგი ვერაგულად მოგვიკლა, ხოლო მეორე დაგვიჭრა... ორივე შენისთანა ხალხის, მუშებისა და გლეხების, თავისუფლებისათვის იბრძოდა... ჩვენი მტერი — შენი მტერიცაა, ეს უნდა იცოდე“. ღრმა სოციალური შინაარსის მომცველია ეს სიტყვები. ამ პოზიციით უნდოდა კაპიტანს დაეახლოებინა და რევოლუციის ჯარისკაცი გაეხადა ჰაკი აძბა. ჰაკი აძბა კი სხვანაირად ფიქრობდა, იგი ჯიუტად იცავდა თავის ძუძუმტეს, ემხას. ჰაკი აძბას თავისი მორალი, ტრადიციის ერთგული კაცის მორალი ამოძრავებს და ამოქმედებს.

ძუძუმტეობის ტრადიციაზე აღზრდილი აძბა ბოლომდე ერთგული რჩება ემხასი და მსხვერპლად შეეწირა კიდეც მას.

ემხაც თავის მხრივ მეფის ოფიცრის მუნდირს იცავს და კლავს მეზღვაურ ჯარისკაცს. შინაგანი სიამაყე და ტრადიციული აღზრდა უბიძგებს ამისაკენ. ასეა აღზრდილი ის მეფის ჯარში და ამ წესის ერთგული რჩება, როგორც თავადიშვილი და როგორც ოფიცერი. იგი მშიშარა როდია. აკი ჰაკის თავგანწირვის წინააღმდეგ აღსდგა და უშიშრად განაცხადა — „აქ ვარ მეზღვაურის ნამდვილი მკვლელი და გნებდებით. გთხოვთ, ახლავე გაანთავისუფლოთ ბექირბი ჩაჩბა და დედაჩემი, მოგყვებით, სადაც საჭიროა“. ასე ხატავს მწერალი ყველას თავისი ღირსებით და სისუსტით. ამ ორი მორალის ორი პოზიციის ბრძოლაში იმარჯვებს რეალობა. რეალობა რევოლუციაა და ის ამარცხებს ძველს. ამავე დროს იგი ზუსტად გამოხატავს კლასობრივ პოზიციას. ამ მხრივ მაღლა დგას კუზმას კლასობრივი პოზიცია, მეზღვაური რევოლუციონერის პოზიცია.

საზოგადოდ მწერალი კლასობრივი პოზიციით ხატავს და წყვეტს გმირთა შორის ურთიერთ დამოკიდებულებას:

„ჰაკი!

ახლა ხუთიოდე თავადის ხელის გული პირზე აეფარა და სუნთქვა შეუკრა.

— უჯუშ, ხმა არ ამოიღო.

და ისე ვიწროდ შეჰკრეს წრე მის გარშემო, რომ გასაქანი არ მისცეს, შებორკეს და შეზუქეს.

— ძიძიშვილი რომ არის, თავიც უნდა გასწიროს შენთვის, კარგად იქცევა, იცოდე, სიტყვა არ დასძრა.

— ერთი გლეხი რომ შენისთანა თავადს შეეწიროს რა დიდი ამბავია“.

აი თავადიშვილების კლასობრივი ლოგიკა.

ამ ბოლო დროს გაჩნდა ისეთი შეხედულებაც, რომ ჰაკი აძბა აფხაზ ხალხში ისტორიულად ჩამოყალიბებული ადათ-წესების პოზიციებით უნდა შეფასდეს. მაშინ იგი, ამ მორალური კოდექსით, თავის მოქმედებაში მართალია. ამ ავტორებისათვის ტრადიციული მორალური, ეთიკური პოზიციაა ამოსავალი პრინციპი.

ლეო ქიაჩელის მიერ დახატული ხასიათები თავისი შინაგანი ლოგიკითა და ფსიქოლოგიური სიმართლით არიან გამოძერწილნი და ყველას მხატვრული ნიღაბი აქ რეალისტ მწერალს გამოყენებული აქვს ხასიათის ფსიქოლოგიური სიმართლის გამოსავლინებლად. ამ გზით აღწევს, პირუთვნელად ასახოს სინამდვილე, დადებითი და უარყოფითი მოვლენები, გმირები, ხასიათები.

სამოქალაქო ომის თემატიკაზე აგებულ მოთხრობაში „ჰაკი აძბაში“ ავტორმა გვიჩვენა ახალი ცხოვრების დამკვიდრებით გამოწვეული ტრაგედია წარმავალი კლასების და დიდი რომანტიკა და ოპტიმიზმი რევოლუციისათვის თავდადებული გმირებისა. და ეს ყველაფერი ისე გამოძერწა, რომ ფერები და სალებავები, ფსიქოლოგიური სიმართლე არ დააკლო არც რევოლუციის მტრებსა და არც რევოლუციის მომხრეებს. ცხოვრებისეული სიმართლე და მიმზიდველობა შეუნარჩუნა ყველა აქ გამოყვანილ გმირებს. რასაკვირველია, ტრადიციულ ჰაკი აძბას შეურყეველ, მტკიცე ხასიათში ბევრი რამ არის, რომელიც მხარდაჭერასა და განვითარებას მოითხოვს, მაგრამ ყველაფერი ეს ისტორიული თვალსაზრისით უნდა შევაფასოთ, კონკრეტული სიტუაციის მიხედვით უნდა განვსაჯოთ. მაშინ, რასაკვირველია, ძველისა და ახლის, დრომოჭმულისა და რევოლუციურის შედარება. შეპირისპირებაში უპირატესობა იმას უნდა მივაკუთნოთ, რაც მომავლის, ახლის განმტკიცებასა და გამარჯვებას ემსახურება. ამ თვალსაზრისით ოქტომბრის რევოლუციის ინტერესებით მოქმედებს კუზმა მრისხანე. ტრადიციულის გამომხატველია ჰაკი აძბა. ამ ორ პოზიციის ბრძოლაში თვით მწერალი ლეო ქიაჩელი რევოლუციურს, მოწინავეს, პროგრესულს უჭერს მხარს. ამ მოთხრობის მთელი პათოსი სწორედ ამაშია გამოხატული.

# 1 ივნისი — ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე!



ფოტო ბონდო დვალიშვილისა.

მომავლის ღიმილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეს ხშირ-ხშირი რეკლამები...

საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას უბადლო შემოქმედება და მისი პირადი ცხოვრება შთაგონების წყაროდ იქცა პოეტების, ფუნჯის, საჭრეთლის, კინოსა და სცენის ოსტატთათვის. მწერლისავე სიცოცხლეში დაისტამბა მისადმი მიძღვნილი ლექსები და გამოკვლევები. დაიწერა სადისერტაციო შრომები. კონსტანტინე გამსახურდიას პორტრეტები შექმნეს ლადო გუდიაშვილმა და უჩა ჯაფარიძემ, ქეთევან მაღალაშვილმა და კორნელი სანაძემ, ფრანგმა მხატვარმა ჟან დორვილმა. მწერლის ცნობილ ნაწარმოებთა მიხედვით შეიქმნა ოპერები, კინოფილმები და სპექტაკლები...

ცხადზე უცხადესია სულ ფათერაკების მაძიებელი და საინტერესო, მრავალფეროვანი თავგადასავლების მქონე მწერალი მხედველობიდან არ გამორჩენიათ ჩვენს მხატვარ-კარიკატურისტებსა და სალაღობო ლექსების მთხზველთ. მართლაც, ქართულმა სატირულ-იუმორისტულმა ჟურნალებმა „ტარტაროზმა", „ნიანგმა", აგრეთვე გაზეთებმა მრავალი მეგობრული შარჟი და ლექსი უძღვნეს მწერალს. თუ როგორ ალიქვამდა დიდოსტატი ყოველივე ამას, შესანიშნავად ჩანს „ნიანგის" ათი წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ნომერში დასტამბული ლექსიდან:

„ნიანგო!", ღმერთს გეფიცები,
გულში სულაც არ გემდური;
არ დავფარავ, თუმცა მითქვამს
ბევრჯერ შენი საყვედური.
ვწუწუნებდი: „შესაჭმელად,
ხედავთ, ყველას ვეამები!"
და ჩუმად კი მიხაროდა
მე ხშირ-ხშირი რეკლამები".

მე, როგორც კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა, საყვარელი მწერლის საიუბილეოდ შევაგროვე პრესის ფურცლებზე დასტამბული მეგობრული შარჟები და სალაღობო ლექსები. მართლაც, ისინი მძივებივით ამოვკრიფე ჟურნალ-გაზეთებიდან და ერთ პატარა კრებულად შევკარი.

ამჟამად მკითხველს ვთავაზობთ ერთ ფოტოს (მწერალი და შვილიშვილი) და რამდენიმე მეგობრულ შარჟს.

**დავით გუზუკაშვილი,**
ჟურნალისტი.



კონსტანტინე გამსახურდია შვილიშვილთან ერთად.



მეგობრული შარჟი დონისა.



მეგობრული შარჟი თენგიზ გოგოლაძისა.

გარეკანის პირველ გვერდზე: „სიხარული", ფოტო ანატოლი რუხაძისა;
მეოთხე გვერდზე: „სვანეთის პეიზაჟები". მხატვარი ა. კოხოგოვი.

კორექტორი ცისანა სიჭინავა
მონტაჟი მზია ლობჟანიძისა

გადაეცა წარმოებას 17. V. 83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 4. VII. 83 წ. უე 03879, ქაღალდის ზომა 70×108 1/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 8, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,93, ტირაჟი 49600 შეკვ. № 1335. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთავარი რედაქტორის—99-54-80,
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-89,
პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეგობრული შარჟი ლადო გუდიაშვილისა



მეგობრული შარჟი გიგლა ფირცხალავასი.




მეგობრული შარჟი მ. თალაკვაძისა.



მეგობრული შარჟი გიგლა ფირცხალავასი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა







ინდექსი 76056

დროშა